მაია გურამიშვილი

# პოლიტიკური კონფლიქტები და მათი დარეგულირების გზები

თბილისი
2009

მაია გურამიშვილი: პოლიტიკური კონფლიქტები და მათი დარეგულირების გზები. გვ. 116
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია". თბილისი, 2009.

ნაშრომი ეყრდნობა კონფლიქტოლოგიის უახლეს მიღწევებს. მასში განხილულია: პიროვნულ-სოციალური, პოლიტიკური, გლობალურ-პოლიტიკური, ეთნო-პოლიტიკური, რელიგიური და ტერორიზმის ფაქტორები პოლიტიკურ კონფლიქტებში.

ნაშრომში განხილული თემები აქტუალურია და შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სამეცნიერო-კვლევით ასევე სასწავლო პროცესში.

უწინარეს ყოვლისა ნაშრომი გამიზნულია სოციალ-პოლიტიკური მეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის.

სერიის რედაქტორი: *მაია გურამიშვილი*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

რეცენზენტები: *ნათელა ჯორჯიკია*
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

*როზა გაფრინდაშვილი*
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ISBN 978-9941-9087-9-8

# თავი 1.

## პოლიტიკური კონფლიქტები

პოლიტიკური კონფლიქტები – სოციალური კონფლიქტების ერთ-ერთი სახეა. შეჯახება პოლიტიკური სუბიექტების ძალაუფლების ურთიერთობის მიზეზით (ბრძოლა ძალაუფლებისთვის და ძალაუფლება დამორჩილებისთვის).

ერთ-ერთი თავისებურება პოლიტიკური კონფლიქტის მდგომარეობს იმაში, რომ ის უშუალოდ და არაუშუალოდ ეხება ინტერესებს დიდი სოციალური ჯგუფის, სოციალურ ფენას, კლასებს, საზოგადოებას მთლიანობაში. ამიტომ სუბიექტები პოლიტიკური კონფლიქტების (პოლიტიკური ორგანიზაციები, ინსტიტუტები, ცალკეული ლიდერები) ყოველთვის გამოდიან განსაზღვრული სოციალური საზოგადოების სახელით. თავიანთი ინტერესების დასაცავად და ფასეულობის განსასაზღვრავად მოქალაქეები ერთიანდებიან საზოგადოებაში ქმნიან თავიანთ ორგანიზაციებს, ინსტიტუტებს და ასეთი სახით ხდებიან სუბიექტები პოლიტიკური კონფლიქტების. მაშასადამე, პოლიტიკური კონფლიქტი – ეს არის ორგანიზებული ინსტიტუციალური კონფლიქტი.

სხვაგვარი განსაკუთრებულობა პოლიტიკური კონფლიქტის არის ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ძალაუფლების დამორჩილება. ძალაუფლება საზოგადოებაში – ეს არის ერთადერთი მოქმედი საშუალება და ხერხი მმართველობის სხვა ხალხებისადმი და მიღწევა თავიანთი მიზნის. მაშასადამე, ის ფლობს დიდ მიზიდულობის ძალას. კაცო-

ბრიობის ისტორიაში ბრძოლა ძალაუფლებისათვის გრძელდებოდა ყველაზე სასტიკ და უკომპრომისო კონფლიქტურ სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის.

პოლიტიკური კონფლიქტების თავისებურებები შეიძლება მივაკუთვნოთ მისი ფასეული ასპექტი, რომელიც ფლობს სულიერ ცოდნას, სპეციალურად მიკუთვნებულ მთლიანი და იდეური ორიენტაციის პოლიტიკური მოქმედების ადამიანებისთვის. ის ასრულებს ფუნქციას ორგანიზაციის, იდენტიფიკაციას და მობილიზაციას სუბიექტების და მომხრეების პოლიტიკური კონფლიქტის გადასვლისას თეორეტიკულ-კონცეპტუალურ, პროგრამულ-პოლიტიკურ დონეზე. იდეოლოგია გადაიქცევა აუცილებელ პოლიტიკური ბრძოლის პროგრამად.

## 1.1. პოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგია და წარმომქმნელი მიზეზები

პოლიტიკური კონფლიქტები საზოგადოებაში შეიძლება დავყოთ ორად, ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად.

ჰორიზონტალურ-პოლიტიკური კონფლიქტები: მასში არის ბრძოლა. ძალაუფლებისთვის დამორჩილება მიდის არსებობის ჩარჩოებში, მაგალითად მთავრობასა და პარლამენტს შორის. სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებისადმი მმართველ ელიტაში, სახელმწიფო ცალკეული პოლიტიკური სუბიექტებისადმი წარმომქნელი მიზეზები, ჰორიზონტალური კონფლიქტის არსებობა არსებული ძალაუფლების სისტემაში. მაგალითად, მმართველი ელიტის ცალკეული კორექტირება პოლიტიკური კურსის გადიდება და დაპატარავება მმართველი ან სხვა პოლიტიკური სუბიექტების და ა.შ.

დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში ჰორიზონტალური პოლიტიკური კონფლიქტები ინსტიტუციონალური და გარკვეულწილად დაპროგრამებულია. უმეტესი მათ შორის კონფლიქტები გახსნილია და აქვს სახალხო ხასიათი. მაგალითად, პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი არჩევნები. მიმართვა კონსტიტუციურ სასამართლოს და ა.შ. ტოტალიტარული რეჟიმი მთავრობაში არ აღიარებს არც ერთ პოლიტიკურ რეჟიმს და მიისწრაფვის ის არ დაუშვას, მაგრამ თუ ჰორიზონტალური კონფლიქტები ტოტალურ პოლიტიკურ სისტემაში მაინც ხდება, მაშინ იღებს ფორმებს შეთქმულების ანდა მთავრობის დამხობის. ჰორიზონტალური კონფლიქტები ტოტალურ სახელმწიფოში შეიძლება ემსახურებოდეს არეულობას. 1964 წ. ცენტრალური კომიტეტის (ცკ) პირველი მდივნის პოსტი პლენუმმა გადაუწყვიტა განთავისუფლების საკითხი ნ. ხრუშჩოვს. რიგგარეშე შეიკრიბა თავისი მდივნის განთავისუფლებაზე უმეტესობა იყო შეთქმულების მონაწილე.

## 1.2. ვერტიკალური პოლიტიკური კონფლიქტები

მათში კონფრონტაცია მიდის ხაზით 'ძალაუფლება-საზოგადოება" სოციალური პოლიტიკური კულტურა საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვანია. სხვადასხვა სოციალური კლასები და ეთნიკური ჯგუფები, ამ სტრუქტურაში იკავებენ სხვადასხვა პოზიციებს და თამაშობენ სხვადასხვა როლს. არასწორია მიდგომა ძალაუფლების რესურსებისადმი აფერხებენ პოლიტიკურ კონფლიქტებს ყველა სახის დონეზე.

ვერტიკალური პოლიტიკური კონფლიქტები თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ ქვესახედ.

1) სტატუს-როლი კონფლიქტები გამოიყენება ბრძოლაში პირადი და ჯგუფური სტატუსის ამაღლებაში. პოლიტიკურ სტრუქტურაში საზოგადოება მისაბაძად ითვლება კონფლიქტი ცენტრსა და თანამედროვე რუსეთის.

სტატუს-როლი კონფლიქტი წარმოიქმნება არა მარტო ვერტიკალურად "ზევით-ქვევით", არამედ ჰორიზონტალურად – პოლიტიკური სუბიექტებისადმი. იმყოფება რა, მაგალითად, თანაბარ კიბეზე სტატუს-როლი სტრუქტურები (ბრძოლა პარტიების და ფრაქციების და პარტიების).

2) რეჟიმური პოლიტიკური კონფლიქტები ემსახურება მიზანს – დამხობა არსებული პოლიტიკური ხაზის ანდა რადიკალური შეცვლა პოლიტიკური კურსის.

ყველა მრავალაზროვანი მიზეზი წარმოქმნილი რეჟიმული კონფლიქტი შეიძლება დავყოთ ორ ძირითადად.

1. ზარალი სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკურ მოთხოვნილების და ინტერესების გარკვეულ სახელმწიფოს მცხოვრებთა ნაწილს.

2. განსხვავება შეფასებაში, ფასეულ ორიენტაციაზე, მიზნის დროს წარმოდგენილი მიზეზები პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საზოგადოების განვითარება. ზარალი საბაზო მოთხოვნილებების შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით.

ობიექტური ფაქტორები:

კრიზისი ბუნებრივი სოციალ'ურ-ეკონომიკური განვითარება საზოგადოების (კრიზისი რუსეთის – 80-იანი წლები).

1. სიძნელეები დაკავშირებული რადიკალური რეფორმების სოციალურ-პოლიტიკური საზოგადოების სისტემით.

2. რეზულტატი გაუთვალისწინებელი მდგომარეობით.

სუბიექტური ფაქტორები:

1. მთავარი გათვლები სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში (არაკომპეტენტურობა).

2. მმართველი ელიტის დაკავება, ძირეული ინტერესების და მოთხოვნილების განსაზღვრა.

3. გაცნობიერება ძალაუფლების – სოციალური ფენების და კლასების არსებული როლი ელიტური სისტემის განსაზღვრა რესურსების როგორც არასამართლიანი და არაკანონიერი.

რაც არ უნდა იყოს მიზეზები ადამიანის მოთხოვნილებების თუ გარკვეული ნაწილი მცხოვრებლები ქვეყნის ვერ პოულობენ თავიანთ ადგილს არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებში, საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს თავისი საბაზისო მოთხოვნილებები სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების არსებულ ჩარჩოებში. ის მიისწრაფვის დაანგრიოს ან რადიკალურად შეცვალოს ეს ინსტიტუტები.

## 13. პოლიტიკური კონფლიქტების სახეები

პოლიტიკური კონფლიქტების სახეები – გამოყოფენ კონფლიქტურ ფასეულობას და კონფლიქტურ ინტერესებს. წინააღმდეგობები გვხვდება სხვადასხვა წარმომადგენლებზე ყველა პოლიტიკურ სისტემაში, ქვეყნის პოლიტიკურ კურსზე. კონფლიქტებში ინტერესების ბრძოლა მიდის სხვადასხვა რესურსების გადანაწილების სფეროში. ერთ-ერთი სახეობა პოლიტიკური კონფლიქტისა არის კონფლიქტი კულტურათა შორის. ამ კონფლიქტში ფასეულობები, ტრადიციები, პოლიტიკური მოქცევა, ფასეული ორიენტაცია და მისი პოლიტიკური განვითარება შესამჩნევია. ამ კონფლიქტის დროს დგება რადიკალური რეფორმების პერიოდი საზოგადოებაში, როცა ეჯახება ახალი და ძველი პოლიტიკური კულტურა, მაგალითად ბრძოლა პოლიტიკური კულტურის ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში.

გამოყოფენ აგრეთვე პოლიტიკური კონფლიქტების ობიექტების ნიშანს. ნამდვილი გამომწვევი ობიექტური ურთიერთგამორიცხვა. შემთხვევით, კიდევ არ აღიარებული უბნებით. შერეული მხოლოდ დაკავშირებული ობიექტურის ურთიერთგამორიცხვებით, მიწერილი ჩვენებით, სუბიექტზე, რომლებიც არ არიან კონფლიქტში, რომლებსაც არ აქვთ რეალური მიზეზები ბინძურ პოლიტიკაში მიდის კონფლიქტების რეალური ობიექტების შეცვლა მცდარი შერეული არასწორად მიწერილი და სხვებით.

პოლიტიკური კონფლიქტებში განსაკუთრებით მთავარია სიღრმისეული განსხვავებანი. ამერიკელი პოლიტოლოგის ა. რაპოაორტის აზრით არსებობს კონფლიქტების ტიპი:

‘დაჭერა“, როცა მთავარი კონფლიქტის დევს შეურიგებელი ურთიერთგამორიცხვა. ‘დებატების“ ტიპის, სადაც შეიძლება კომპრომისი. ‘თამაშის“ ტიპის, სადაც ორივე მხარეები მოქმედებენ ერთიანი ჩარჩოების სიმართლეში და არ ანგრევენ ურთიერთობას.

როგორც სხვა სოციალური პოლიტიკური კონფლიქტური კონფლიქტები არსებობენ, ლოკალურები, საერთოები, მოკლევადიანები, გრძელვადიანები, სუბიექტურ-ობიექტურები, ძალადობრივი, მშვიდობიანი და მოქმედებენ ცენტრის დონეზე ცალკეული ქალაქის და რაიონის.

## 1.4. დაშვება და დარეგულირება პოლიტიკური კონფლიქტების

მეთოდების დარეგულირება პოლიტიკური კონფლიქტების, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია განსხვავება კონფლიქტების სახეების, რომლის სუბიექტები, როგორც წესი, გამოდიან პოლიტიკური ინსტიტუტები და ორგანიზაციები ფუნქციონირებულ არსებულ ჩარჩოებში პოლიტიკური სისტემის მოცემული კონფლიქტი არის მთლიანად ინსტიტუციონალიზირებული და ასეთი კონფლიქტების დარეგულირება ბევრად დამოკიდებულია პოლიტიკური ლიდერების ხელოვნებაზე, რომლებიც იყენებენ ჯგუფურ დახმარებას, არსებობს კომპრომისები: თუ დისკუსიების, დებატების, მოლაპარაკებების დროს კომისიების მუშაობა შეთანხმებული არა, არ მოიძებნება კომპრომისი, კონფლიქტები შედის ჩიხში, მაშინ პოლიტიკურ სისტემაში არსებობს ალტერნატიული ვარიანტები.

1) მიმართვა კონსტიტუციურ სასამართლოს.

2) უფლებამოსილების შეჩერება მთავრობის.

3) პარლამენტის დათხოვნა და დანიშვნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების.

4) ორგანიზაცია და ჩატარება რეფერენდუმის იოლი შეკითხვების და სხვა.

ყველაზე რთული გეგმა რეგულირების არის ვერტიკალური კონფლიქტი, წარმოქმნილი ცენტრსა და რეგიონს შორის. რეგიონებს შეუძლიათ განასხვაონ არა მარტო დაწინაურება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური სტატუსის, არამედ მთლიანი პოლიტიკური თავისუფლება, ასეთმა კონფლიქტებმა შეიძლება მიგვიყვანოს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებამდე მრავალრიცხოვანი მსხვერპლით. თვალსაჩინო მაგალითია კონფლიქტი, ომი — ჩეჩნეთში. საუკეთესო გამოსავალი ასეთი კონფლიქტების გადაჭრისა არის მოლაპარაკება.

სუბიექტური კონფლიქტების დროს გამოდიან ერთი მხრივ სახელმწიფო ორგანიზაციები, გამოხატავენ ინტერესებს სახელმწიფო და მმართველი ელიტის, მეორე მხრივ — ოპოზიციური ორგანიზაციების წარმომადგენელი მასებით. პოლიტიკური კონფლიქტის რეჟიმი არის არსებული პოლიტიკური სისტემის ცვლა. ასეთ კონფლიქტებში დიდია შეცდომები, ნეგატიურმა განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს საერთო სამოქალაქო ომთან.

დაშვება პოლიტიკური კონფლიქტების რეჟიმისა ითვლება, რომ ოპოზიციურმა მხარემ შეიძლება იგნორირება გაუკეთოს ბრძოლას პოლიტიკური წესებისა. მოითხოვონ შეცვლა, იმოქმედონ არასწორი მეთოდებით, ამ ბრძოლაში

კანონიერება და არაკანონიერება ატარებენ ურთიერთგადამსვლელ ხასიათს. პოზიციის გამარჯვების შემთხვევაში შეიძენენ კანონიერების სტატუსს, დაზარალებული მმართველი ელიტა ხდება არაკანონიერად, რომ არ დავუშვათ ნეგატიური სვლა განვითარება რადიკალურ-პოლიტიკური კონფლიქტისა, აუცილებელია დროული და მრავალმხრივი ანალიზი კონფლიქტური სიტუაციისა, სადაც უნდა იყოს გამოყოფილი შემდეგი საკითხები:

- რა მიზეზებია კონფლიქტის წარმოშობისა?
- როგორია ჭეშმარიტი განზრახვა და მხარეების მიზნები?
- როგორი ძალებია ჩართული ამ კონფლიქტში და როგორ ძალებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა კონფლიქტის მიმდინარეობის დროს?
- რომელი მხარესთვისაა მომგებიანი კონფლიქტური სიტუაციის განვითარება?
- დაკვირვებაზე მიღებული დასკვნები ჩნდებიან შეძლებისდაგვარად. შევადგინოთ პროგნოზი მიმდინარე განვითარებაზე.
- გამოვარკვიოთ დასაშვები ვარიანტები კონფლიქტის დარეგულირებაში.
- შევიმუშაოთ გეგმა დარეგულირების და ნებართვა კონფლიქტებისა.
- გამოვარკვიოთ ტაქტიკური და სტრატეგიული ამოცანები არაპრაქტიკული გეგმის.

რეალიზაცია გვთავაზობს შემდეგ მოქმედებას:

ზუსტად გამოვარკვიოთ საგანი კონფლიქტის და მოვახდინოთ კონფლიქტის ლოკალიზება.

ორგანიზაცია გავუკეთოთ კონფლიქტური მხარეების დიალოგს და ღიად საზოგადოება იყოს ინფორმირებული ორივე მხარის პოზიციით და მიღებული გადაწყვეტილებით კონფლიქტების დარეგულირებაში.

გამოვარკვიოთ პრობლემების მონაწილეების სუბიექტური დაინტერესებები და ყურადღება გავამახვილოთ მათ რეალიზაციებზე. თუ მიღებული გადაწყვეტილებების რეზულტატის ლოკალიზება ვერ მოხერხდა და მომავალი განვითარებები საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, სამთავრობო სტრუქტურები უნდა იყვნენ მზად გამოიყენონ ძალა ანდა შეაჩერონ კონფლიქტის განვითარება მუქარის გამოყენებით.

## თავი 2.

## კონფლიქტოლოგიის გლობალურ-პოლიტიკური ასპექტები

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონში თავი იჩინა ეთნოკონფლიქტებმა, გაღვივდა ეროვნული შუღლი, განსაკუთრებით (უკანასკნელ პერიოდში) მომრავლდა შეიარაღებული კონფლიქტები. უმთავრესად, ამან განაპირობა ის, რომ თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერების, კერძოდ, პოლიტოლოგიის კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა საზოგადოებაში ეთნოკონფლიქტების აღმოცენება-განვითარებისა და დაძლევის საკითხთა მეცნიერულად განსჯა.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში კრიზისული ვითარების წარმოშობიდანვე, საზოგადოებრივი სენის აღმოცენებიდანვე ყოველთვის მიმდინარეობდა კრიზისისაგან, სენისაგან თავის გადარჩენის სტრატეგიის შემუშავება, 'განკურნების" მტკივნეული პროცესის განხორციელება; ყალიბდებოდა შესაბამისი მოსაზრებები, თეორიები, ისახებოდა წარმოქმნილი წინააღმდეგობების, კონფლიქტების ეფექტურად გადაჭრის, ნორმალურად მართვის გზები. მართალია, კონფლიქტის პრობლემა ადამიანთა საზოგადოებას იმთავითვე თანამგზავრად მოჰყვებოდა, მაგრამ პოლიტიკურ მოაზროვნეებს XVIII საუკუნემდე იგი ბატონობისა და დამორჩილების პრობლემამდე დაჰყავდათ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ კონფლიქტს, როგორც სოციალურ მოვლენას, საფუძვლიანად შეეხო ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტი ადამ სმიტი.

მის მიერ 1776 წელს გამოცემულ ნაშრომში 'გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: – კაპიტალისტს, მიწის მესაკუთრეს და დაქირავებულ მუშას შორის მეტოქეობა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა". მას შემდეგ კონფლიქტის თეორიას როგორც მარქსიზმის, ასევე სხვა მიმართულების მეცნიერებმა მიუძღვნეს არაერთი ნაშრომი, მაგრამ საზოგადოებრივი კონფლიქტის თეორია მეცნიერული დასაბუთებებით XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დამდეგს გამდიდრდა. ასე, მაგალითად, ინგლისელმა სოციოლოგმა, სოციოლოგიური პოზიტივიზმისა და სახელმწიფოს ორგანული თეორიის წარმომადგენელმა ჰერბერტ სპენსერმა (1820-1903 წ.წ.) სოციალური კონფლიქტი დარვინიზმის პოზიციებიდან განიხილა და კონფლიქტები, როგორც ასეთი, საზოგადოების ისტორიაში გარდაუვალ მოვლენად – საზოგადოების განვითარების პირობად მიიჩნია. ჰერბერტ სპენსერის შეხედულების მიმდევარი იყო გერმანელი ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი მაქს ვებერი (1864-1920 წ.წ.). გერმანელმა მეცნიერმა გეორგ ზიმელმა (1858-1918 წ.წ.) სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად შემოიტანა ტერმინი 'კონფლიქტის სოციოლოგია". ამას მოჰყვა ე.წ. 'ფილოსოფიური სკოლის" წარმოშობა, სკოლისა, რომლის წარმომადგენლები საზოგადოებაში არსებულ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს პროგრესის სტიმულირების, სოციალური სტრუქტურების, სამამულო ინსტიტუტებისა და ურთიერთობების სრულყოფის ფაქტორის მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

დასავლეთის მეცნიერები კონფლიქტის კონცეფციათა შორის ყურადღებას ამახვილებენ 'პოზიციურ-ფუნქციონალურ კონფლიქტზე", 'საზოგადოების კონფლიქტური მოდელისა" და 'კონფლიქტის ზოგადი თეორიის" კონცეფციებზე. აქედან პირველის ავტორია ამერიკელი სოციოლოგი ლ. კოზერი, მეორისა – გერმანელი პოლიტოლოგი რ. როდენდორფი, მესამისა – ამერიკელი პოლიტოლოგი კ. ბილდინგი. არსი ამ სამი კონცეფციისა მდგომარეობს შემდეგში: ლუის კოზერი – სოციალურ კონფლიქტად მიიჩნევს ფასეულობისათვის ისეთ ბრძოლას და ამა თუ იმ სტატუსზე ისეთ პრეტენზიას, რასაც თან ახლავს მოწინააღმდეგისათვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება ან მისი განადგურება. მისი აზრით, კონფლიქტი საზოგადოების საშინაო ცხოვრების პროდუქტია. რალ როდენდორფს სავალდებულოდ არ მიაჩნია კონფლიქტების, სოციალური ანტაგონიზმის, მიზეზების სიღრმისეული კვლევა, საზოგადოება უნდა წავიდეს არა რევოლუციის, არამედ ევოლუციის გზით; კონფლიქტები დემოკრატიულ საზოგადოებაში ფეთქებადსაშიში არაა; ვისაც ძალუძს აღიარება და შეუძლია რეგულირების გზით მოუაროს კონფლიქტებს, ის ისტორიის რიტმს თავის კონტროლს უქვემდებარებს, ხოლო ვინც ასეთ შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებს, ამ რიტმს თავის საწინააღმდეგოდ მიიღებს. სოციოლოგი ბოულდინგი გვთავაზობს სოციალური კონფლიქტის 'სტატიკურ" და 'დინამიკურ მოდელს". 'სტატიკური მოდელი" ითვალისწინებს მოწინააღმდეგეთა გაანალიზებას. იგი კონფლიქტის კონკურენციულ სიტუაციად მიიჩნევს მხარეების მიერ თავიანთი პოზიციების შემრიგებლობის გათვითცნობიერებას. მისი 'დინამიკური მოდ-

ელი" კონფლიქტს იხილავს, როგორც მხარეთა წამქეზებლურ მოქმედებას. სოციალური კონფლიქტის არსს ადამიანის სტრუქტურულ რეაქციებში ხედავს და ყოველი კონფლიქტის გადალახვა-გადაჭრა ინდივიდთა რეაქციების, ფასეულობებისა და მისწრაფებების შესწავლის, მანიპულირებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობების მდგრადობის გზით მიაჩნია.

ნებისმიერი მოვლენის კვლევა-ძიების დროს უპირველესია მიზეზის დადგენა. კონფლიქტების შესწავლისას კი ეს უმთავრესია. დასავლეთის სოციოლოგები და პოლიტოლოგები აცხადებდნენ, რომ კონფლიქტის მიზეზის დასადგენად მთავარია იმის გარკვევა, თუ სად უნდა ვეძიოთ იგი. ისინი ამბობენ: კონფლიქტის მიზეზი უნდა ვეძიოთ ადამიანის მიერ საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობის უთანასწორობაში ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძალაუფლებაში. ავტორთა ერთი ნაწილი კონფლიქტების აღმოცენებას საზოგადოების "ზედა" და 'ქვედა" ფენებად დაყოფაში ხედავს. დასავლეთის პოლიტოლოგები კონფლიქტების გამომწვევ მიზეზთა შორის ასახელებენ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის შეუსაბამობას, პიროვნების მოლოდინს, პრაქტიკულ მიზნებსა და ქცევას შორის უთანხმოებას; კონფლიქტის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევენ მხარეთა პრეტენზიების შეუთავსებლობათა შეზღუდულობას; კონფლიქტი მათთვის მუდმივი პროცესია და თვლიან, რომ შესაძლებელია ისეთი საზოგადოების შექმნა, რომლის დროს სოციალური პირობებისა და მატერიალური დოვლათის განაწილება საზოგადოების ყველა წევრს დააკმაყოფილებს; რაც უფრო ღარიბია საზოგადოე-

ბა და დეფიციტურია მოხმარების საგნები, კონფლიქტები მით უფრო ხშირია, უფრო საშიში და უფრო ღრმა.

საზოგადოების ორგანიზაციის შესაბამისად, კონფლიქტების კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

– კონფლიქტები ინდივიდის დონეზე;

– კონფლიქტები ჯგუფების დონეზე;

– კონფლიქტები საზოგადოების კლასებად და ფენებად დაყოფის დონეზე;

– კონფლიქტები მთლიანად მოცემული საზოგადოების დონეზე;

– კონფლიქტები სხვადასხვა სისტემის ან ქვეყნის დონეზე;

– კონფლიქტები რეგიონალურ ან გლობალურ დონეზე.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი მ. დოიჩი კონფლიქტებს ექვს ტიპად წარმოგვიდგენს. მისი მოსაზრებით, პირველ ტიპს მიეკუთვნება 'ნამდვილი კონფლიქტი", როცა ხდება მხარეთა შეჯახება, უთანხმოება, დაპირისპირება და დამოკიდებული არ არის ადვილად ცვლად ფაქტორებზე; მეორე ტიპი – "შემთხვევითი ან პირობითი კონფლიქტი", რომელიც დამოკიდებულია ადვილად ცვლად გარემოებაზე და მისი მონაწილეების მიერ არ არის გაცნობიერებული; მესამე ტიპი – 'გადანაწილებული კონფლიქტი", როცა კონფლიქტის შემქმნელი მიზეზები მხოლოდ ირიბად არის ობიექტურ მიზეზებთან დაკავშირებული; მეოთხე ტიპი – 'არასწორად მიწერილი კონფლიქტი", რომლის დროს კონფლიქტი არ მიეწერება იმ მხარეს, რომელთა შორის ნამდ-

ვილი კონფლიქტია გაჩაღებული ან ეს ხდება წინასწარ ორგანიზებულად, როცა მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის ხდება შეტაკების პროვოცირება და ამ გზით ასრულებენ მას; მეხუთე ტიპი – 'ლატენტური კონფლიქტი" – როდესაც ობიექტზე მიზეზის გამო კონფლიქტს უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ აქტუალურობას არ იჩენს, შეიძლება იყოს გაუთვითცნობიერებელი, 'გადანაცვლებული", 'არასწორად მიწერილი" ან ადამიანთა შეგნებაში ერთნაირად არ იყოს წარმოდგენილი; მეექვსე ტიპი – 'ცრუ კონფლიქტი",რომელსაც არავითარი ობიექტური საფუძველი არ გააჩნია და მცდარი წარმოდგენების ან გაუგებრობის შედეგადაა წარმოდგენილი. კონფლიქტი შეიძლება დაიწყოს, როგორც 'მცდარი", მაგრამ მონაწილე მხარეების ახალი მოტივებისა და განწყობის ჩამოყალიბების შედეგად გადაიზარდოს 'ნამდვილში".

ამ ტიპოლოგიიდან გამომდინარე, კონფლიქტები იყოფა ძალადობის, სიმწვავის და ინტელექტუალობის ან არაინტელექტუალობის მიხედვით; ანტაგონისტურ ან არაანტაგონისტურ ნიადაგზე 'ძირითადი" და 'არაძირითადი" საკითხების დაპირისპირების (შეტაკების) მიხედვით; 'რეალისტურისა" და 'არარეალისტურის" მიხედვით და ა.შ. კონფლიქტი შეიძლება იყოს აგრეთვე ქვეყნებს, ერებს, საწარმოებს, მუშებს, ადმინისტრაციას, კოლეგებს შორის. შეიძლება აღმოცენდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და სხვა ნიადაგზე.

რამდენადაც ამ პარაგრაფში ჩვენი მიზანია პოლიტიკური კონფლიქტოლოგიის ასპექტების გაშუქება, ქვემოთ

უმთავრესად ვიმსჯელებთ 'პოლიტიკური კონფლიქტის" საკითხებზე.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, 'პოლიტიკური კონფლიქტის" ცნება მთელ საზოგადოებას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციას მოიცავს. 'პოლიტიკური კონფლიქტი" შეიძლება ორ ნაწილად – შიგაპოლიტიკურ და გარეპოლიტიკურ კონფლიქტებად გავყოთ. შიგაპოლიტიკურ კონფლიქტებს განეკუთვნება: კლასთა შორის ბრძოლა, პოლიტიკური პარტიების უთანხმოება, პარტიებს შიგნით ბრძოლა, სახელმწიფოს მმართველობაში და არჩევნების დროს ტერორის, მკვლელობის მაგალითები, დეპუტატებზე ზემოქმედება, ეროვნებათშორისი ბრძოლა და სხვ. გარეპოლიტიკურ კონფლიქტებს განეკუთვნება: საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, საერთაშორისო პოლიტიკური კავშირებისა და მათი წახალისების არსებული სისტემა, საერთაშორისო არენაზე მათი გავლენის ხარისხი, მოკავშირე ქვეყნების მხრიდან ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა, კონფლიქტის მონაწილე მხარეების ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობა – რესურსები, ფინანსები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მოსახლეობის მორალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

რამდენადაც საერთაშორისო კონფლიქტების ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს კონფლიქტების, კლასობრივი, სოციალურ-პოლიტიკური ბუნება და შინაარსი, საერთაშორისო კონფლიქტები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: პირველ ჯგუფში მოვაქციოთ ის საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებიც უშუალოდ ასახავენ სხვადასხვა სისტემის ქვეყნების წინააღმდეგობასა და ბრძოლას (მა-

გალითად, კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემებს შორის); მეორე ჯგუფში – ის საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ხალხთა ბრძოლის ჩახშობის მცდელობითაა გამოწვეული; მესამე ჯგუფში – ის საერთაშორისო კონფლიქტები, რომლებშიც სახელმწიფოს ამა თუ იმ სისტემის შიგა წინააღმდეგობებსა და ბრძოლას ასახავენ (მაგალითად, მსხვილ, საშუალო და მცირე კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და ა.შ.).

პოლიტიკურ კონფლიქტებს აქვს განვითარების თავისებური სტადიები. ცნობილია ექვსი სტადია. პირველი სტადია – კონფლიქტურ ფორმაში ჩამოყალიბებულ მხარეთა კონფლიქტური წინააღმდეგობები ან გარკვეული ჯგუფების წინააღმდეგობები; მეორე სტადია – არსებულ წინააღმდეგობათა გადაჭრისათვის მხარეთა სტრატეგიის, მიზნებისა და ბრძოლის ფორმების განსაზღვრა; მესამე სტადია – ბლოკებისა და ხელშეკრულებების შემუშავების საფუძველზე ბრძოლაში სხვა მონაწილეების ჩართვა; მეოთხე სტადია – ბრძოლის გაძლიერება ორი მხარის ეტაპობრივი მონაწილეობით კრიზისამდე; მეხუთე სტადია – ერთ-ერთი მხარის პირველადი დემონსტრირებით ან შეზღუდული მასშტაბის ძალის პრაქტიკულ გამოყენებაზე გადასვლა, რათა აიძულოს მოწინააღმდეგე – დააკმაყოფილოს იმ მხარის ინტერესები, რომელმაც ძალის დემონსტრაცია დაიწყო; მეექვსე სტადია – შეიარაღებული კონფლიქტების, რომელიც შეზღუდული კონფლიქტით იწყება და გარკვეულ ვითარებაში შესაძლოა ყველა მონაწილეს შორის ბრძოლაში გადაიზარდოს.

კონფლიქტოლოგიაში მთავარია ანალიტიკური კვლევა-ძიება. კონფლიქტის გაანალიზება ეტაპებად უნდა დაიყოს. კონფლიქტის ანალიზის პირველი ეტაპია მისი დროში განვითარების შესწავლა. დადგენილი უნდა იქნეს კონფლიქტის დაწყების, გამწვავების ან შერბილების და მოგვარების დრო. ამას წინ უნდა უძღოდეს კონფლიქტში მონაწილეთა (მხარეთა) შემადგენლობის, გამომწვევი მიზეზების ისტორიული ფესვები, დაძაბულობის დონის შესწავლა. მეორე ეტაპი – მონაწილე მხარეების, მათი მოკავშირეების კონფლიქტში მონაწილეობის მიღებით ან მხარდაჭერით დაინტერესებულთა მოქმედების ხასიათი და ფორმა. ანალიზის ამ ეტაპზე, საერთაშორისო კონფლიქტის განსაზღვრის დროს, საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს მატერიალური სტრუქტურების, სასარგებლო წიაღისეულის, განსაკუთრებით სტრატეგიული ნედლეულის მარაგის, წარმოების დონის, სახელმწიფო ინტერესების დაცვაში ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთობის, შეიარაღების, არმიის შემადგენლობისა და ხარისხის, შიგაპოლიტიკური ინტერესების დადგენას. კონფლიქტის ანალიზის მესამე ეტაპი – ტერიტორიული დავის, ეროვნული წინააღმდეგობების, რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანხმოებების შესწავლა. მეოთხე ეტაპი – იმ მოვლენების დადგენა, რამაც განაპირობა, ე.ი. რამაც საქმე კონფლიქტამდე მიიყვანა. კერძოდ, იმის შესწავლა, ხომ არ ჰქონდა ადგილი საერთაშორისო ნორმების დარღვევას, მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის უფლებების შელახვა-დარღვევას, წინასწარ გამიზნულ პროვოცირებას, უკანონო ადმინისტრაციული აქტების განხორციელებას, საბაჟო შეზღუდვების შემოღებას და სხვა გამაღიზ-

იანებელ მომენტებს. მეხუთე ეტაპი – კონფლიქტის საწყის და მიმდინარე ეტაპზე მხარეთა შორის დამოკიდებულების შესწავლა. იმის გარკვევა, თუ როგორი სოციალური ჯგუფის მიერ წარმოიშვა კონფლიქტი, როგორია წამოჭრილი კონფლიქტისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება, ხომ არ არის გაჩაღებული მოსახლეობის ყურადღების მოდუნების ან სხვა გარემოებებზე განზრახ გადატანის მიზნით და სხვ. მეექვსე ეტაპი – კონფლიქტის ესკალაციის ახალ საფეხურზე ამყვან გარემოებათა (მიტინგები, გაფიცვები, დემონსტრაციები და სხვ.) შესწავლა-დადგენა.

კონფლიქტის ანალიზის ყველა სტადიის არა სქემატურად, არამედ მეცნიერულ დონეზე ჩატარების შემდეგ, ანალიზის მასალების საფუძველზე, კონფლიქტის გადაჭრის კონკრეტული გზის გამოძებნა. საამისოდ პოლიტიკური არაერთი მეთოდია ცნობილი. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ზოგიერთ მათგანს.

პირველი – კონფლიქტის თავიდან აცილების მეთოდი, რაც ყველაზე უფრო მეტადაა გავრცელებული. ესაა პოლიტიკური ასპარეზიდან ამა თუ იმ სახელმწიფო ან პოლიტიკური მოღვაწის გადადგომის (გადადგომა, ცხადია, შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან იძულებითი), ან მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბრძოლის ველიდან საერთოდ წასვლის, მოწინააღმდეგე მხარის მიერ თავისი მოქმედების ველის დატოვების, პოზიციის დათმობის მეთოდი. ეს მეთოდი პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკაში აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ბრძოლის პროცესში, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი მეთოდია, მაგრამ პოლიტიკური კონფლიქტის ამ გზით გადაჭრა არ ხდება;

მეორე – შუამავლობით კონფლიქტის რეგულირების მეთოდი. ამ მეთოდით ხდება მოწინააღმდეგე მხარეთა მორიგება. მათი პოზიციების დაახლოება. შუამავლის როლი შეიძლება შეასრულოს საგამოძიებო ჯგუფმა, შემთანხმებელმა კომისიამ, პოლიტიკურმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა. ამ მეთოდის მიზანია კონფლიქტის მხარეებისათვის დახმარების აღმოჩენა, მათთვის მისაღები გადაწყვეტილების გამოძებნა;

მესამე – კონფლიქტის სამედიატორო განხილვის ან არბიტრაჟის მეთოდი. მოდავე მხარეები ნებაყოფლობით გადასცემენ თავიანთ დავას გადასაჭრელად მესამე მხარეს. კონფლიქტის გარჩევის დროს მედიატორები, არბიტრები ეყრდნობიან საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ქვეყნის კონსტიტუციას, ხელშეკრულებათა ნორმებს და სხვა მარეგულირებელ აქტებს.

მეოთხე – კონფლიქტის გადაჭრის მოლაპარაკებითი მეთოდი. ეს მეთოდი კონფლიქტების მოგვარების პრაქტიკაში, სხვა მეთოდებთან შედარებით, სულ უფრო მეტად ინერგება. ამ გზით კონფლიქტის მოგვარება შეიძლება წარიმართოს ლმობიერი, ე.ი. დათმობითი, აგრეთვე მკაცრი მოლაპარაკების ფორმით.

პოლიტიკურ მეცნიერებაში კონფლიქტოლოგიის მიმართულებით არაერთი თეორიაა ცნობილი. თეორიათა ავტორებს შორის ინტერესმოკლებული არ იქნება თუ წარმოვადგენთ პოლიტოლოგების ჯ. ბარტონის, რ. დალის, რ. პრეტორიუსის, რ. დარენდორფისა და სხვათა მოსაზრებებს:

– ამერიკელი პოლიტოლოგი ჯონ ბარტონის აზრით, კონფლიქტი მოგვარებულად (გადაჭრილად) იმ შემთხვევა-

ში ჩაითვლება, თუ კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარე მას სავსებით დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, თუ გამოვლენილი და თავიდან აცილებული იქნება უთანხმოებათა და შეტაკებათა (წინააღმდეგობათა) ნამდვილი მიზეზები და მიღწეული იქნება მათი დაძლევის თაობაზე მხარეთა სრული თანხმობა.

– ამერიკელ პოლიტოლოგს რ. დალის კონფლიქტების გადასაჭრელად საჭიროდ მიაჩნია ინტერნაციონალური განათლების არსებობა, შეთანხმებათა ფართო სპექტრის შექმნა, დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი, საზოგადოების წევრთა პოზიტიური ინფორმაციები, მხარეთა შორის მომავალი ძალოვანი დაპირისპირებისათვის გამოსაყენებელი საშუალებების თანაბარი განაწილება, მხარეთა მშვიდობიანი მოლაპარაკების ნების სიჭარბე.

– დასავლეთის პოლიტოლოგები გამოყოფენ ეთნოკონფლიქტებში გარე ძალების ჩარევის ხუთ ტიპს,ესენია: უცხოეთის ძალების ჩარევის შედეგად კონფლიქტის გამწვავება, დაინტერესებული ძალების ჩარევის შედეგად კონფლიქტის გაძლიერება, საერთაშორისო ზემოქმედებისა და ზეწოლის შედეგად კონფლიქტის შეჩერება, გარე ძალების შუამავლობით ან მათი უშუალო ჩარევით კონფლიქტის მონაწილე მხარეების მორიგება, კონფლიქტის სახის შეცვლა – ეთნიკური კონფლიქტის გადაქცევა არაეთნიკურად;

– პოლიტოლოგი რეინერ პრეტორიუსი თავის წიგნში 'კონფლიქტის თეორია" მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობებს და სოციალურ ჯგუფებს შორის წარმოებს დისკუსია, კამათი კონფლიქტის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე. ყველაზე

მეტად ეს პროცესი დამახასიათებელია პოლიტიკური სოციოლოგიისათვის, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიყო ორ ბანაკად: 'კონფლიქტურ სკოლად" და 'კონსენსუსის სკოლად".

— პოლიტოლოგი რალფ დარენდორფი აღნიშნავს, რომ საზოგადოებაში კონფლიქტები სოციალური პროცესების დროს ბუნებრივია და არ არის აუცილებელი ჰქონდეს მხოლოდ მუქარის ხასიათი. ამით დარენდორფმა ინტეგრირება გაუკეთა კონფლიქტების ცნებას სოციალური კონფლიქტის კონცეფციაში და განასხვავა იგი მხოლოდ სოციალური სტრუქტურებიდან გამომდინარე, ამასთან, კონფლიქტზე მსჯელობა შეიზღუდა სოციალურ ჯგუფებსა და ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის არსებულ ურთიერთობათა ჩარჩოებში;

— პოლიტოლოგმა ორენც ფონ შტაინმა ფორმულირება გაუკეთა კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო თავისი აპარატის მეშვეობით, კომპრომისებზე წასვლით არეგულირებს კრიზისულ კონფლიქტურ სიტუაციას;

— მიუნჰენში გამოცემულ პოლიტიკურ ლექსიკონში ნათქვამია: საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის პოლიტოლოგიურმა თეორიებმა ორი მიმართულება მიიღო. პირველი მიმართულების მიმდევრები ეთანხმებიან კ. მარქსის შეხედულებას იმის თაობაზე, რომ კონფრონტაციას საზოგადოებაში განიხილავენ როგორც სოციალურ ჯგუფებსა და კლასებს შორის კონფლიქტებს, რომლის მიზანია არსებული პოლიტიკური სისტემების შეცვლა; მეორე მიმართულების ავტორების შეხედულებები კონცენტრირებულია კონფლიქტის თეორიის ინდივიდუალიზაციის კონცეფციაში; მათი

აზრით, წინააღმდეგობა საბოლოოდ გამოდის სუბიექტად. ამრიგად, პირველი მიმართულების მიმდევრები კონფლიქტების აღმოჩენას ცდილობენ 'პოლიტიზაციის" სტადიაში, მის კოლექტიურ გამოვლინებაში, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენლები აყალიბებენ კონფლიქტის 'პრივატიზაციის" კონცეფციას.

თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში პოლიტოლოგები აქცენტს აკეთებენ კონფლიქტური სიტუაციის გადაწყვეტის მექანიზმზე (ტექნიკაზე), ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი უნივერსალური მეთოდები და ხერხები, რომლებიც გამოსადეგი იქნება სხვადასხვა სიტუაციებში გამოსაყენებლად. კონფლიქტოლოგიის დარგში ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი ბარტონი განმარტავს, რომ თანამედროვე კონფლიქტოლოგიამ უნდა შეიმუშაოს სრულიად განსხვავებული ენა, რომელიც დაეყრდნობა ისეთ გაგებას, რომელიც შეძლებს ზუსტად განასხვაოს სხვადასხვა მიდგომები ერთმანეთისაგან და შეიმუშაოს ყველა თეორიისათვის ადეკვატური და მისაღები მოსაზრება (Burton J. Preface to the Series Introduction // Conflict: Human Needs Theory. L.: Macmillian. 1990, p. 11).

კონფლიქტოლოგიის დარგში სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდებისა და მეთოდოლოგიების ავტორები კონფლიქტურ სიტუაციაში ხედავენ მხარეთა ინტერესების შეჯახებას და ცდილობენ მათ შერიგებას რაციონალური მიდგომით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მიდგომა შედეგს ვერ გამოიტანს, რეკომენდაციას იძლევიან (მიუხედავად მხარეების ნება-სურვილისა) შერიგება მოხდეს სამართლიანი ნორმების (აქტების) მიხედვით (Фишер Р., ЮриУ. Путь согласию, или переговоры без поражения. М.: Наука. 1990, стр. 19).

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკური გლობალისტიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი ირინა ვასილენკო ამბობს: სამართლის ნორმები და ობიექტური კრიტერიუმები გავრცელებულია მხოლოდ ვიწრო ფარგლებში, უპირატესად ტექნიკურ და ეკონომიკურ სიტუაციებში. ტექნიკური კრიტერიუმები მყარად ეფუძნება უნივერსალურ სამეცნიერო მეთოდებს. ეკონომიკური კრიტერიუმების საერთო მნიშვნელობა უფრო საეჭვოა, მაგრამ გაერთიანების (საზოგადოებრივ) პირობებში ერთიანი, მყარი ეკონომიკური უფლებით, ეკონომიკური საქციელის ერთიანი ნორმებით ასეთ სიტუაციას შეიძლება ჰქონდეს ადგილი სოციალურ სფეროში. ყველა სხვა კონფლიქტი სულიერ ცხოვრებაში, კულტურაში ობიექტური კრიტერიუმებით არაა უზრუნველყოფილი. ამიტომ თანამედროვე კონფლიქტოლოგიაში კრიზისი ბევრადაა განპირობებული იმით, რომ მეცნიერები ცდილობენ ისარგებლონ ე.წ. 'ამხსნელი" პარადიგმით, რომელიც სულიერ სფეროში კონტაქტისათვის თავსდება საბუნებისმეტყველო მეცნიერების ჩარჩოში. თუმცა, კულტურის ფენომენი მათემატიკურ და რწმენის პროცედურებს ჯეროვნად ვერ აძლევს გენეტიკურ, მატერიალურ და სტრუქტურულ ახსნას (И.А. Василенко. Политическая глобалистика. Учебное пособие. М. Логос. 2000, стр. 323).

პოლიტიკური დიალოგი სწორედ კულტურის ნაყოფია. ფართო გაგებით, ის არის ორი ან რამდენიმე პირის საუბარი რაიმე საკითხთან დაკავშირებით. პოლიტიკური დიალოგი,

როგორც წესი, წარმოებს ზეპირად. დიალოგი შეიძლება იყოს წინასწარ მომზადებული ან სტიქიური, მოულოდნელად აღმოცენებული. პოლიტიკური დიალოგი შეიძლება გავიგოთ, როგორც საჯარო საუბარი, რომელიც იმართება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების მონაწილეობით. პოლიტიკური დიალოგი – ესაა პოლიტიკური ბრძოლა ძალაუფლებისათვის. მთავარი მიზანი ამ ბრძოლაში პოლიტიკოსისათვის ხდება არა ჭეშმარიტების მეცნიერული ძიება, არამედ გამარჯვება მოწინააღმდეგეზე. როცა პოლიტიკოსი ისწრაფვის ძალაუფლებისაკენ, მან უნდა დაამტკიცოს ღია დიალოგში მისი უპირატესობა კონკურენტზე, ირგვლივ მყოფნი უნდა დაარწმუნოს მის შორსმჭვრეტელობაში, გონივრულობაში, ღრმა აზროვნებაში. პოლიტიკური დიალოგის კულტურა ეყრდნობა პარტიულობისა და მეცნიერულობის პრინციპებს. პარტიულობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურ დიალოგში მხარეები იცავენ საკუთარი პარტიების იმ პოზიციებს, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის, ფენის ან კლასის ინტერესებს. მეცნიერულობის პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ დიალოგი წარიმართება მეცნიერული მონაცემების საფუძველზე, რომელიც მიმართულია ჭეშმარიტების მიღწევისაკენ და ყოველმხრივ შეუთვისებელია ვოლუნტარიზმსა და დოგმატიზმთან. ეს პრინციპი დიალოგის მხარეებისაგან მოითხოვს ღრმა ცოდნასა და ფართო აზროვნებას.

პოლიტიკურ დიალოგს აქვს თავისი თეორია, თავისი პრაქტიკა და მისი წარმატების საწინდარი სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაა. დიალოგის საფუძვლიანო-

ბა არგუმენტებზეა დამოკიდებული. დიალოგში იმარჯვებს ის მხარე, რომელსაც საფუძვლიანი არგუმენტები, თეორიულად სწორად ჩამოყალიბებული ფაქტორები გააჩნია. პოლიტიკური დიალოგში დაცული უნდა იქნეს მხარეების თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპი. დიალოგში დიდ როლს ასრულებს თავდაჭერილობა, თავშეკავება, გაუღიზიანებლობა, სტიქიური ან მოულოდნელი ემოციების გარეშე მსჯელობა. პოლიტიკურ დიალოგში უპირატესობა იმის მხარეზეა, რომელსაც მგზნებარე მეტყველების, თავისი მოსაზრებების მართებულობაში მოწინააღმდეგის დარწმუნების უნარი აქვს. ღია პოლიტიკურ დიალოგში ერთი მხარე მეორე მხარესთან პაექრობაში იმარჯვებს არა მხოლოდ არგუმენტებით, არამედ ნებისყოფის სიძლიერით, ერუდიციის სიღრმით, აზროვნების მოქნილობით, მეტყველების სიწმინდით, კულტურის ბრწყინვალებით. პოლიტიკური დიალოგის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აუცილებელი და სასარგებლო, გარდაუვალი და სახიფათო მოსაზრებების ერთმანეთისაგან გარჩევას. დიალოგში იუმორიც სასარგებლოა. ხშირად მსუბუქი ხუმრობა ხსნის დაძაბულობას, დრამატიზმს.

პოლიტიკურ დიალოგში ჰუმანიტარული ხელოვნება დიდ როლს ასრულებს. 60-იანი წლების ბოლოს ამერიკელმა სოციოლოგმა გ. ბლუმერმა (გ. მედის ნაშრომზე დაყრდნობით) ახალი სამეცნიერო მიმართულებისათვის პოლიტიკურ ლიტერატურაში შემოიტანა გამოთქმა 'სიმბოლური ინტერაქციონიზმი". ამ მიმართულების ჩარჩოებში ორ სუბიექტს შორის ურთიერთქმედება განიხილება, როგორც უწყვეტი დიალოგი, რომლის მსვლელობისას პარტნიორები

აკვირდებიან, გებულობენ ერთმანეთის განზრახვას და რეაგირებენ მასზე. ადამიანებს უნარი აქვთ შეასრულონ ასეთი რთული პროცესი იმდენად, რამდენადაც ისინი ჯერ კიდევ ბავშვობაში სწავლობენ მოვალეობასა და მოქმედებას მისცენ შესაბამისი მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, როცა ადამიანები აძლევენ შეფასებას საგნებსა და ქმედებებს, ისინი მათთვის სიმბოლოებად იქცევიან. უფრო მნიშვნელოვანია თვით 'სიტყვა" იმდენად, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ადამიანის ურთიერთქმედება, ურთიერთგაგება. თითოეული კულტურის ტრადიციასა და ჩვეულებაში ღრმა სიმბოლიზმია. კულტურა არის საზოგადოებრივი იმიტომ, რომ იგი შინაარსობრივადაც ასეთია. კულტურა საზოგადოებრივ ურთიერთობებში მჟღავნდება (Geertz C. The Interpretation of the Cabtures. N.Y. 1973). გარკვეული მოსაზრებით, თითოეული ცივილიზაცია სიმბოლური სისტემაა, რომელსაც თავის შესაძლებლობათა ანგარიშზე ტექსტის შესაბამისი ერთობლივი სტრუქტურული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში. პ. რიკერი აღნიშნავს: შეუძლებელია რომელიმე აზრის გაგება, მისი ადგილის განსაზღვრა რიტუალში როგორც ასეთში, ხოლო რიტუალის კონტექსტში და ადგილში ამ უკანასკნელისა – შეთანხმების, რწმენისა და ინსტინქტის გარეშე, დიახ, იმ კომპონენტების გარეშე, რომლის ერთობლიობა ქმნის ამა თუ იმ კულტურის სახეს (Рикёр П. Герменевтика. Этика. Политика. М.: Академия. 1995, стр. 11). ეს კარგად გაიგო ო. შპენგლერმა, რომელმაც წინარე კულტურიდან მსოფლმხედველობის წარმოშობის შესახებ დაწერა – მახვილი და ღრმა მოაზროვნისათვის მაკროკოსმოსი სულთან მიმართებაში სიმბოლური ერთიანობაა (Шпенглер О.

Закат Европы. М. Мысль. 1993, стр. 323-325). როცა ორი ცივილიზაციის წარმომადგენელი ხვდება ერთმანეთს, კულტურის სიმბოლოზე სხვადასხვა შეხედულება ერთობ ართულებს მათ ურთიერთობას. პ. რიკერი ხაზს უსვამს იმ თვისებებს, რომელსაც მოქმედება გადაჰყავს ცრუ ტექსტში. თუ ვხედავთ ადამიანს, რომელმაც ხელი ასწია, ეს სიმბოლო შეიძლება გავიგოთ, როგორც მისალმება ან როგორც ტაქსის გაჩერების მოთხოვნა და ა.შ. ეს ინტერპრეტაციისათვის გამოსადეგი მინიშნება შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ ადამიანური მოქმედება სანამ მიიღებდეს დასაშვებ საგარეო ინტერპრეტაციას, არის 'სიმბოლურად გასაიშვიათებელი" კულტურა. ამ აზრით, თვით ინტერპრეტაცია ადასტურებს მოქმედებას, რომელიც არეგულირებს ქცევას. ამიტომ მოქმედება გადაიქცევა ცრუ ტექსტში, სხვა კულტურის ჩარჩოში, სხვა იერარქიის სიმბოლოდ.

# თავი 3.
# სოციალური კონფლიქტები და პოლიტიკური რევოლუციები

## 3.1. რევოლუციის თეორიული კონცეფცია

ძირითად ფორმებად ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტების და კრიზისების გადაწყვეტისა გვევლინება რეფორმები და რევოლუცია. შედარებით გავრცელებითი განსაზღვრა რევოლუციის მიეკუთვნება ამერიკელ პოლიტოლოგს ს. ჰანტინგტონს, რომელიც თვლიდა მას სწრაფ, ფუნდამენტალურს და ძალდამტანებელს საზოგადოების დომინირებულ ფასეულობის გადაწყვეტაში.

პოლიტიკური რევოლუციები – ეს არის გამოვლენა ახალი დროის. პირველი ფენომენი რევოლუციის, განხორციელებული თავისუფლების დროშის ქვეშ, გამოჩნდა XVIII საუკუნეში. კლასიკურ მაგალითად გახდა ფრანგული უდიდესი რევოლუცია – პოლიტიკური ანალიზი რევოლუციის თავდაპირველად ხდებოდა იდეოლოგიზირებული მიდგომის ჩარჩოში.

კონსერვატიული პოლიტიკური იდეოლოგია წარმოიქმნება მთავარ მაგალითად, როგორც რეაქცია ფრანგულ რევოლუციაზე. მისი სისხლიანი მოვლენების აღწერით, ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კონსერვატიზმისა ედმუნდ ბერკმა ჩამოაყალიბა დამახასიათებელი მოცემულობები იდეოლოგიური შეხედულებები რევოლუციურ პროცესზე; რევოლუცია – საზოგადოებრივი ბოროტებაა, ის აშიშვლებს

ყველაზე ცუდ, სულმდაბალ მხარეს ადამიანის ნატურისა. რევოლუციის მიზეზებს კონსერვატორები ხედავდნენ ყველაზე პირველად წარმოქმნასა და გავრცელებაში ყალბ და საშიში იდეების.

სხვა პოზიციით აფასებდნენ რევოლუციას ადრეული ლიბერალიზმის წარმომადგენლები. ლიბერალური დოქტრინა ამართლებდა რევოლუციას იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფლება არღვევს საზოგადოებრივი ხელშეკრულების პირობებს. კლასიკური ლიბერალიზმი თვლიდა ადამიანის უფლებათა ფუძემდებლად და უფლებას აჯანყებაზე. ყველაზე ფრთხილი შეფასება ამ მოვლენისა იყო ჩამოყალიბება ლიბერალიზმში ეტაპობრივად. რევოლუციური ბრძოლის რეალური პრაქტიკის საფუძველზე.

ერთ-ერთი პირველი თეორიული კონცეფცია რევოლუციის შექმნა კ. მარქსმა. ის რევოლუციას ეძახდა 'ისტორიის ლოკომოტივს" და 'დაჩაგრულების დღესასწაულს". მარქსიზმის თვალთახედვიდან, ღრმა მიზეზები რევოლუციის არის დაკავშირებული კონფლიქტებთან წარმოების შიგნით – მწარმოებელ ძალასა და წარმოების დამოკიდებულებათა შორის. თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მწარმოებელ ძალებს აღარ შეუძლიათ არსებობა არსებული წარმოების დამოკიდებულების ჩარჩოში, საკუთრების დამოკიდებულებაზე. კონფლიქტი მწარმოებელ ძალასა და წარმოების დამოკიდებულებას შორის ნებადართულია 'სოციალური რევოლუციის ეპოქაში", რომლის ქვეშაც მარქსიზმის ფუძემდებელი გულისხმობდა გრძელ პერიოდს ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლას. კულმინაციური პერიოდი ამ დამოკიდებულებისა

– პოლიტიკური რევოლუციაა. პოლიტიკური რევოლუციის მიზეზად კ. მარქსი ხედავდა კონფლიქტში საზოგადოებრივ კლასებს ჩიხის, რომელიც თავისთავად წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას საერთოდ საზოგადოებრივი განვითარებისა. კლასობრივი კონფლიქტები, ძირითადად, მწვავდება ზუსტად სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, გამოწვეულს წარმოებითი ურთიერთობების დაცვით საწარმოო ძალებისგან.

მარქსიზმი ხედავდა რევოლუციაში სოციალური პროგრესის უმაღლეს ფორმას, პოლიტიკური რევოლუცია როგორღაც ავლებდა ხაზს ერთი ასეთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლის პროცესს. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური, რევოლუციის უმაღლესი ტიპი – რევოლუცია პროლეტარული და სოციალური. სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში ყველაზე მოწინავე კლასია – პროლეტარიატი. თავიდან: ჩამოაგდებს ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, და შემდეგ იწყებს გადასვლას ახალ კომუნისტურ საზოგადოებაში. პროლეტარიატის დიქტატურა ამსხვრევს ექსპლუატატორი კლასის წინააღმდეგობებს, ხოლო ვარაუდობდნენ, რომ სოციალისტური რევოლუცია გარდუვალად მიიღებს მთელ მსოფლიოს ხასიათს უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებში, რადგან მისთვის აუცილებელია უმაღლესი ხარისხის მოწიფულობა კაპიტალისტური საზოგადოების და უმაღლესი ხარისხის მოწიფულობა ახალ საზოგადოების მშენებლობაში.

რეალურად საზოგადოებრივი განვითარება წავიდა სულ სხვა მიმართულებით, ვიდრე წარმოიდგენდა კ. მარქსი. მუშათა მოძრაობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უმეტეს

შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებდა რევოლუციის სოციალურ რეფორმებს. რევოლუციური მარქსიზმის იდეებმა მხარდაჭერა მოიპოვეს ისეთ ქვეყნებსა და რეგიონებში, რომელშიც თვითონ ფუძემდებლები მოცემული მიმართულების თვლიდნენ გამოუსადეგარს კომუნისტური ექსპერიმენტის დასაწყებად. მარქსიზმის დოქტრინის შეგუება ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში ვ.ი. ლენინის დამსახურებაა. ლენინი თვლიდა, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ რევოლუციას სჭირდება თავისი გამარჯვებისთვის განსაკუთრებული კრიზისის არსებობა, რომლის დროსაც არა მარტო 'ქვედა ფენებს არ სურდათ ცხოვრება ძველებურად", არამედ 'ზედა ფენებსაც არ შეეძლოთ" მართვა ძველი მეთოდებით. მეორე პირობას – ლენინი ახასიათებდა როგორც 'გამწვავებას უმაღლეს ჩვეულებრივ მოთხოვნილების და სიღარიბეს ჩვეულებრივი ხალხისას". და მესამე – საგრძნობლად ამაღლება სოციალური აქტივობისა ხალხთა მასებში. ასეთი შეხამება პირობების რევოლუციური სიტუაციის წარმოქმნისათვის მიაჩნდა დასაბუთებულად არა მარტო მარქსისტებს, არამედ როგორღაც მკვლევარებსაც, რომლებიც შორის იყვნენ კომუნისტური იდეოლოგებისაგან.

რევოლუციის მარქსისტული თეორია მრავალი ათწლეულის გაგრძელებაზე იყო მეტად მიმზიდველი, როგორც სამეცნიერო მეთოდოლოგიის სახით, ისე როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოქმედების კონკრეტული პროგრამა. დღეს რევოლუციის მარქსისტულმა თეორიამ დაკარგა თავისი მიმზიდველობა, ფაქტობრივად სოციალისტური ექსპერიმენტების ჩაშლის გამო, რომელიც ტარდებოდა კ. მარ-

ქსისა და ვ. ლენინის იდეების ზემოქმედებით ბევრ ქვეყანაში.

ტოკვილს მიაჩნდა, რომ რევოლუციური აფეთქებები შეიძლება მოხდეს საზოგადოებაში სიტუაციის გართულების გარეშე. ხალხი ეჩვევა გაჭირვებას და მოთმინებით იტანდნენ მას, თუ მიაჩნიათ გარდუვალად. მაგრამ, როდესაც კი გამოჩნდება გაუმჯობესების იმედი, ეს გაჭირვება აღიქმება როგორც გაუსაძლისი. ე.ი. რევოლუციური მოძრაობის მიზეზი ხდება არა თვითონ ხარისხი ეკონომიკური მოთხოვნილებისა, არამედ ფსიქოლოგიური აღქმა. ა. ტოკველის თვალთახედვიდან ასე იყო საფრანგეთი დიადი რევოლუციის წინ, როდესაც ფრანგების დიდმა ნაწილმა აღიქვა თავისი მდგომარეობა აუტანლად, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ლუდოვიკო XVIII-ის პერიოდში მდგომარეობა ბევრად უფრო კარგი იყო, ვიდრე მისი მმართველობის დაწყების წინა ათწლეულში.

ა. ტოკველი აღიარებდა, რომ საფრანგეთი იდგა ეკონომიკისა და პოლიტიკური რეჟიმის სერიოზული ცვლის ზღვარზე, მაგრამ არ თვლიდა ამ პირობებში რევოლუციას გარდუვალს. სინამდვილეში რევოლუციამ, ასე ვთქვათ, 'გააკეთა" იგივე სამუშაო, რომელიც მიმდინარეობდა მის გარეშეც, მაგრამ საზოგადოებისთვის დიდი დანახარჯით. რევოლუციის კულმინაცია გახდა დიქტატორის დაყენება, რომელმაც გადააჭარბა თავისი სიმკაცრით ყველა რევოლუციის წინ მყოფ მონარქიულ მთავრობას.

XIX ს-ის მეორე ნახევარში პოზიციური სოციოლოგიის ჩარჩოში რევოლუცია განიხილებოდა, როგორც გადახრა საზოგადოების განვითარების ნორმალური მსვლელო-

ბიდან. ო. კონტი და გ. სპენსერი ერთმანეთს უპირისპირებდნენ რევოლუციის იდეებსა და ევოლუციის იდეებს – თანდათანობით საზოგადოების ცვლილებას, შესრულებულს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების შედეგად.

ფართოდ გაითქვა სახელი გ. ლებონის სოციალურ-ფსიქოლოგიურმა კონცეფციამ, რასაც საფუძვლად დაედო მის მიერ გამოკვლეული მასების მოქმედება რევოლუციის პერიოდში. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია 'ძალაუფლება ბრბოსი", როდესაც ხალხის მოქმედება, ძალიან განსხვავდებოდა მათი ინდივიდუალურად ან პატარა ჯგუფებად მოქმედებისგან. ამდაგვარი მოქცევის მაგალითად გ. ლებონი ხედავდა პარიზის ხალხთა ქვედა ფენების მოქმედებაში საფრანგეთის დიადი რევოლუციის დროს. უკეთებდნენ რა ანალიზს ამ მოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს, ფრანგი მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ ხალხი, შეპყრობილი კოლექტიური აღელვებით, კარგავენ კრიტიკულ შესაძლებლობებს. დამახასიათებელს მათი ყოველდღიური ცხოვრებისთვის. ისინი ადვილად ექვემდებარებიან ნებისმიერ, მათ შორის აბსურდულ, მოწოდებებს ბრბოს ლიდერებისა და დემაგოგების. წარმოიქმნება გონების მასობრივი დაბინდება. ლებონის იდეები ატარებდნენ კონსერვატიულ ხასიათს, მათი კრიტიკა მიმართული იყო არა მარტო რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ, არამედ პარლამენტის ინსტიტუტების დემოკრატიის წინააღმდეგაც. მაგრამ რევოლუციის გამოცდილებამ უკვე XX ს-ის ასწლეულში გვიჩვენა, რომ

დაკვირვებები და დასკვნები ფრანგი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის სიმართლესთან ახლოს იყო.

პოლიტიკურ მეცნიერებაზე და სოციოლოგიაზე XX ს-ში დიდი გავლენა მოახდინა ვ. პარეტოს ელიტარულმა კონცეფციამ. პარეტოს მიაჩნდა, რომ ელიტა გამორჩეული ნაწილია საზოგადოების, რომელსაც უნდა შეეგუოს დანარჩენი ყველა მისი წევრი. ელიტა, მისი აზრით, ხასიათდება დიდი თავდაჭერილობის ხარისხით და ანგარიშიანობით. მათ შეუძლიათ დაინახონ სუსტი და მგრძნობიარე ადგილები გარშემომყოფების და გამოიყენონ ისინი თავისი ინტერესებისთვის. მასები კი, თავისი ემოციების, ვერგამკლავებით ხასიათდებიან. მმართველი ელიტასთვის აუცილებელია ორი ძირითადი ხასიათი. პირველ რიგში, ცოდნა შეძლონ დარწმუნება, ადამიანთა ემოციის მანიპულირებით, ხოლო მეორე, გამოიყენონ ძალა იქ, სადაც ეს საჭიროა. პირველი რიგის ხარისხის თვისებებს ფლობენ ხალხი, რომელთაც პარეტო ეძახდა 'მელიებს". მათ აქვთ საბაზო ინსტინქტი. პარეტოს დასახელებით 'კომბინაციის ხელოვნებით",ე.წ. ლავირების ნიჭით არიან დაჯილდოებული, ნახულობენ ყველანაირ ვარიანტებს არსებული სიტუაციიდან გამოსასვლელად. მეორე ტიპი ე.წ. 'ლომები" — ხალხი, რომლებიც არიან გაბედულები, მაგრები, სასტიკები არ ჩერდებიან ძალადობის წინაშე. სხვადასხვა ისტორიული ეპოქა სხვადასხვა ტიპის ელიტის მოთხოვნილებას აყენებს.

ელიტის ცვლის მექანიზმი პარეტოს წარმოდგენილი აქვს შემდეგნაირად: ელიტასა და მასებს შორის ხდება მუდმივი ცირკულაცია. ყველაზე კარგი წარმომადგენლები მასების ავსებენ ელიტის რიგებს, ხოლო რომლებმაც დაკარგ-

ეს ხარისხი ტოვებენ ამ რიგს. თუ ცირკულაციის პროცესი არ ხდება ელიტა გადაგვარდება, ეცემა მისი სახელისუფლებო მოღვაწეობის შედეგიანობა, რის კვალზეც მწვავდება საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. იყენებს რა ხალხის უკმაყოფილებას არსებული ხელისუფლება, გადაიბირებს მას თავის მხარეზე ელიტის წინააღმდეგ. საზოგადოებრივი კრიზისის სიტუაციაში ის ჩამოაგდებს მმართველ ელიტას და მოდის მთავრობაში. მაგრამ შემდეგში, პარეტოს აზრით, ყველაფრის გამეორება გარდუვალია. ახალი მმართველი ელიტა ნელ-ნელა იღებს უფრო და უფრო ჩაკეტილ ხასიათს, და შემდეგ თავიდან წარმოიქმნება რევოლუციური სიტუაცია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შედეგებით.

გამოჩენილი სოციოლოგი პ.ა. სოროკინი, გამოსული 1925 წ-ს აშშ-ში და წარმოდგენილი მთელ მსოფლიოში ცნობილ წიგნში 'რევოლუციის სოციოლოგია" მიიღო გადაწყვეტილება ესინჯა, ობიექტურად გადმოეცა იდეოლოგიური რევოლუციის ფენომენის სამეცნიერო ანალიზი. რევოლუციის მიზეზების გამოკვლევისას, პ. სოროკონი ეყრდნობა იმ დროს გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებაში ბიჰევიორსკის მეთოდოლოგიას. ის თვლიდა, რომ ადამიანთა მოქმედება განისაზღვრებოდა დადებითი 'საბაზო" ინსტინქტით. საჭმლის მონელების ინსტინქტი, ინსტინქტი თავისუფლების, საკუთრების ინსტინქტი, ინდივიდუალობის ინსტინქტის თვითშენახვაა, საყოველთაო ჩახშობა საბაზო ინსტინქტების, ან როგორც წერდა პ. სოროკინი, 'რეპრესირებული", მათი რიცხვი გარდუვალად მიგვიყვანს რევოლუციურ აფეთქებამდე. აუცილებელ პირობად აფეთქებისას ითვლე-

ბა ის მდგომარეობა, რომ ეს რეპრესიები ვრცელდება მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილზე. მაგრამ მარტო 'ქვედა ფენების კრიზისი" რევოლუციისათვის საკმარისი არ არის, საჭიროა, აგრეთვე, 'კრიზისი მაღალ ფენებში", რომელთა აღწერის დროს, პ. სოროკინი მიჰყვებოდა ვ. პარეტოსი მიდგომასა და დასკვნებს. ისევე, როგორც იტალიელი სოციოლოგი, ის ხედავდა ერთ-ერთ აუცილებელ მიზეზს რევოლუციური კრიზისების გადაგვარებაში მმართველი ელიტისა.

რევოლუციურ პროცესში პ. სოროკინი გამოყოფდა ორ ძირითად სტადიას: პირველი – გადასვლა ნორმალური პერიოდიდან რევოლუციურში და მეორე – გადასვლა რევოლუციური პერიოდიდან ნორმალურში. რევოლუცია, დაბადებული 'რეპრესირებულ" საბაზო ინსტინქტებზე, არ გამორიცხავს ამ 'რეპრესირებას", არამედ უფრო აძლიერებს მას. მაგალითად, შიმშილი იღებს უფრო ფართო გავრცელებას დეზორგანიზაციის კვალდაკვალ მთელი საყოფაცხოვრებო ცხოვრების. ქაოსისა და ანარქიის პირობებში, გარდუვალობა რევოლუციის დაბადებისა, იზრდება საშიშროება ადამიანთა ცხოვრების, თითქოსდა 'რეპრესირდება" თვითშენახვის ინსტინქტი. ფაქტორები, რომლებიც უბიძგებენ ხალხს ძველი რეჟიმთან ბრძოლაში, ხელს უწყობს მათი კონფრონტაცია უკვე ახალ რევოლუციურ ხელისუფლებასთან, რომელიც თავისი დესპოტიზმით კიდევ უფრო აძლიერებს ამ კონფრონტაციას. მოთხოვნილება უსაზღვრო თავისუფლების, დამახასიათებელი რევოლუციის დაწყების პერიოდისთვის, იცვლება შემდეგ ეტაპზე მისწრაფებით წესრიგისა და სტაბილურობისკენ.

პ. სოროკინის აზრით, მეორე ეტაპი რევოლუციის თავის მხრივ დააბრუნებს შეგუებულ, გამოცდილ დროის ფორმას. ხშირად რევოლუციები არ მთავრდება ისე, როგორც გვპირდებიან მათი ბელადები და ამიტომ პ. სოროკინი მნიშვნელობას ანიჭებდა თანდათანობით ევოლუციურ განვითარებას. იგი მიიჩნევდა, რომ პროგრესული პროცესი ბაზირდება სოლიდარობაზე, კოოპერაციაზე და სიყვარულზე, და არა სიძულვილსა და შეურიგებელ ბრძოლაზე.

მეორე მსოფლიო ომის წინ ფართოდ ცნობილი გახდა ამერიკელი სოციოლოგის კ. ბრინტონის წიგნი 'რევოლუციის ანატომია" დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, პირველ რიგში საფრანგეთსა და რუსეთში. კ. ბრინტონი გამოყოფდა რამდენიმე ეტაპს, რომელსაც გადის ყველა დიდი რევოლუცია. მას წინ უძღვის დაგროვება სოციალური და ეკონომიკური წინააღმდეგობებისა მოსახლეობის დიდ ნაწილში. იზრდება ოპოზიციური ხასიათი ინტელექტუალებს შორის, გამოჩნდება და ვრცელდება რადიკალური და რევოლუციური იდეები. მმართველი კლასის მცდელობა განახორციელოს რეფორმები აღმოჩნდება დაგვიანებული, არა ეფექტური და კიდევ უფრო ამძაფრებენ საზოგადოებრივ მოძრაობებს. კრიზისის პირობებში რევოლუციის ხელმძღვანელობას აქვს შესაძლებლობა შეინარჩუნოს გამარჯვება, ძველი რეჟიმი ინგრევა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ ლიდერებსა და აქტივისტებს შორის ხდება გამიჯვნა ზომიერ და რადიკალურ ფრთებს შორის. ზომიერები მიისწრაფვიან შეინარჩუნონ რევოლუცია განსაზღვრულ ჩარჩოში. ამავე დროს როგორც რადიკალური მიმართულების მასებს სურთ

დაიკმაყოფილოს ყველა თავისი იმედი, მათ შორის შეუსრულებელიც. ამ უკუქმედებაზე დაყრდნობით რევოლუციური მასები მოდიან ხელისუფლებაში, და დგება რევოლუციის განვითარების კულმინაციური მომენტი. უმაღლესი სტადია რევოლუციის – სტადია 'ტეროსის" – ხასიათდება მცდელობით მთლიანად და საბოლოოდ განთავისუფლდეს ძველი რეჟიმის ყველანაირ კვალისგან. დამამთავრებელ სტადიად რევოლუციისა კ. ბრინტონი თვლიდა 'ტერმიდორის" სტადიას. 'ტერმიდორი" მოდის რევოლუციის აფორიაქებით საზოგადოება ასევე, როგორც უკუქცევა იცვლის მოქცევას. ამგვარად, რევოლუცია უფრო ხშირად უბრუნდება იმ წერტილს, საიდანაც იწყება. სოციალურ-პოლიტიკურმა რყევებმა XX ს-ში გააძლიერეს ყურადღება თეორიული შესწავლისა რევოლუციური პროცესის პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიაში. უფრო მეტად ცნობილი კონცეფციები მიეკუთვნება: ჩ. ჯონსონს, ჯ. დევისს და ტ. გურას, ჩ. ტილდის.

ჩ. ჯონსონის რევოლუციის კონცეფცია აისახება სოციოლოგიურ იდეების სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალიზზე. გარდუვალ პირობად რევოლუციის განვითარებისა ჩ. ჯონსონს მიაჩნდა გამოსვლა საზოგადოებისა წონასწორობის მდგომარეობიდან. საზოგადოებრივი არამდგრადობა კულტურულ სისტემებს შორის. წარმოქმნილი არამდგრადობა მოქმედებს მასების შეგნებაზე, რომელიც ხდება შემთვისებელი სოციალური ცვლილებების იდეების და პოლიტიკური ლიდერების – ამ იდეების მომხრეების. თუმცა ძველი რეჟიმი ნელ-ნელა კარგავს ლეგიტიმურ მხარდაჭერას მოსახლეობისა, თვითონ რევოლუცია არ არის გარ-

დუქალი, თუ მმართველი ელიტა მოძებნის თავისთავში ძალას განახორციელოს მომწიფებული ცვლილებები და ამით აღადგინონ თანასწორობა ძირითად საზოგადოებრივ ინსტიტუტებს შორის. სხვამხრივ ცვლილებებს გაატარებენ მთავრობაში რევოლუციის შედეგად მოსული პოლიტიკური ძალები. ჩ. ჯონსონის კონცეფციებში დიდი ყურადღება ეთმობა ე.წ. რევოლუციის აქსელერატორებს (დამაჩქარებლებს), ომს, ეკონომიკური კრიზისები, სტიქიური უბედურება და სხვა განსაკუთრებული და მოულოდნელი მოვლენები.

ჯ. დევისა და ტ. გურასის კონცეფცია – სინამდვილეში მოდიფიცირება ა. დე ტოკველის შეხედულებების. ის ცნობილია 'ფარდობითი დეპრივაციის" სახელით.

ფარდობითი დეპრივაციის ქვეშ იგულისხმება განხეთქილება მნიშვნელოვან მოლოდინსა (მატერიალური და სხვა პირობები ცხოვრების) და მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შორის (ცხოვრების კეთილდღეობის მოცულობა, რომელიც შეიძლება ხალხმა რეალურად მიიღოს).

დ. დევისი უჩვენებს, რომ კაცობრიობის ისტორიაში შეიძლება მოიძებნოს ბევრი პერიოდიო, როდესაც ხალხი ცხოვრობდა სიღარიბეში ან ექვემდებარებოდნენ ძალიან ძლიერს, მაგრამ ღიად არ ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. მუდმივი სიღარიბე არ ხდის ხალხს რევოლუციონერებს; მხოლოდ როცა ხალხი დაიწყებს კითხვების დასმას იმაზე, რომ რა უნდა ჰქონდეთ და რა აქვთ, მაშინ წარმოიქმნება 'დეპრივაციის" სინდრომი.

დ. დევისი და ტ. გურასი გამოყოფენ ისტორიული განვითარების სამ ძირითად მიმართულებას, რომელთაც

მივყავართ მსგავსი სინდრომის წარმოქმნისაკენ, და რევოლუციურ სიტუაციასთან. წარმოქმნა და გავრცელება ახალი იდეების, რელიგიური დოქტრინის, ფასეული სისტემის წყალობით უფრო მაღალი ცხოვრების სტანდარტების მოლოდინი, შეგნებული ხალხის მიერ, როგორც სამართლიანი, მაგრამ რეალური პირობების არარსებობის გამო ასეთი სტანდარტების რეალიზაციას მივყავართ მასების უკმაყოფილებისკენ. მეორე გზა ბევრ რამეში ურთიერთსაწინააღმდეგოა პირველთან. მოლოდინი რჩება იგივე, მაგრამ მიმდინარეობს შემცირება შესაძლებლობებისა დაკმაყოფილდეს ძირითადი მოთხოვნილება ეკონომიკური და ფინანსური კრიზისისა, ან ლაპარაკი მიდის თავდაპირველად არა მატერიალურ ფაქტორებზე, მიზეზი არის ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს მისაღები დონე საზოგადოებრივი უსაფრთხოების. ასეთი სიტუაცია დ. დევისის მიერ დასახელებულია როგორც ' სარგებლობის ჩამორთმევის რევოლუცია". მესამე გზა წარმოადგენს პირველი ორის შერწყმას. იმედი გაუმჯობესებისა და შესაძლებლობისა რეალური დაკმაყოფილების მოთხოვნილებისა იზრდება ერთდროულად. ეს ხდება პროგრესული ეკონომიკის ზრდის პერიოდში: ცხოვრებისეული სტანდარტები იწყებენ ზრდას, მაღლდება აგრეთვე მოლოდინის დონე. მაგრამ თუკი ასეთი აყვავების ფონზე რაღაცა მიზეზების გამო (ომი, ეკონომიკური ვარდნა, სტიქიური უბედურება და სხვა) მკვეთრად ეცემა შესაძლებლობა დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, ამას მივყავართ იქამდე, რომ მას არქმევენ 'რევოლუციით პროგრესის დამსხვრევას". მოლოდინი ინერცი-

ით იწყებს ზრდას, და ბზარი მათ შორის სინამდვილეში ხდება კიდევ უფრო აუტანელი.

ჩ. ტილიმ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მობილიზაციის მექანიზმზე მიაპყრო ყურადღება, რათა მიაღწიოს რევოლუციურ მიზანს. მუშაობაში 'მობილიზაციიდან რევოლუციამდე" ის განიხილავს რევოლუციას, როგორც კოლექტიური მოქმედების განსაკუთრებულ ფორმას, ოთხი ძირითადი ელემენტის ჩართვით. ორგანიზაციას, მობილიზაციას, საერთო ინტერესებს და შესაძლებლობას. პროტესტის მოძრაობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს დასაწყისი რევოლუციურ კოლექტიური მოქმედების, მიიჩნევს ჩ. ტილი, როდესაც იქნება რევოლუციის ჯგუფები გაფორმებულები მკაცრი დისციპლინით. იმისათვის, რომ კოლექტიური მოქმედება შედგეს, ასეთ ჯგუფებში აუცილებელია მოხდეს რესურსების მობილიზაცია (მატერიალური, პოლიტიკური, მორალური და სხვა მობილიზაცია ხდება მათი საერთო ინტერესების გაერთიანების საფუძველზე, რომლებიც ჩართულნი არიან კოლექტიურ მოქმედებაში. სოციალური მოძრაობა ჯგუფური რესურსების მობილიზაციის, როგორც საშუალება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხალხს ჩამორთმეული აქვს ინსტიტუციონალური საშუალებები თავისი ინტერესების გამოსახატავად, მაშინ მთავრობაში აღმოჩნდებიან უძლურნი, რომ შეასრულონ მოსახლეობის მოთხოვნები.

კონფლიქტის ხასიათს მმართველ ელიტასა და ოპოზიციას შორის განაპირობებს ხელისუფლების გადაცემის ხარისხს. თუ კონფლიქტი იღებს ფორმას უბრალო ურთიერთგამორიცხვის ალტერნატივისა, მაშინ ხდება ხელისუ-

ფლების სრული გადაცემა, ყოველგვარი შემდგომი კონტაქ-ტისა წამსვლელი პოლიტიკური რეჟიმის წარმომადგენლებ-ისა და პოსტრევოლუციურ ხელმძღვანელებს შორის. თუ კოალიციები რთავენ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, ეს ამსუბუქებს ძალაუფლების გადაცემის პროცესს, მაგრამ საერთო ჯამში ახალი რევოლუციური ხელისუფლება იქნება დაყრდნობილი ფართო პოლიტიკურ ბაზაზე, მათ რიცხვში ახლებური რეჟიმის თითოეულ წარმომადგენლებზე.

## 3.2. რუსეთის პოლიტიკური ისტორიის რევოლუციები

XX ს-ის ასწლეულში ჩვენმა ქვეყანამ გადაიტანა რამ-დენიმე მასშტაბური სოციალურ-პოლიტიკური კრიზისები. პირველი ასეთი კრიზისი იყო 1905-1907 წწ-ის რევოლუცია. რუსეთმა გასულ საუკუნეში გადაიტანა არა უბრალო და საწინააღმდეგო ეპოქის მოდერნიზაციის გადასვლა ტრადი-ციონალურიდან, აგრარული საზოგადოება თანამედროვეო-ბისკენ, ინდუსტრიალისკენ, შემდეგ კი პოსტინდუსტრიალ-ისკენ. მოდერნიზაციის პერიოდი დაკავშირებულია ძირეუ-ლი მსხვრევით და გარდაქმნით ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების, სისტემაში საზოგადოების სულიერი ფასეულობის შეცვლით. ამიტომ მოდერნიზაციის პერიოდში მწიფდება და მწვავდება მრავალნაირი სოციალ-ურ-პოლიტიკური კონფლიქტები და ეს კონფლიქტები შეი-ძლება ნებადართული იყოს, მათ რიცხვში უფრო სწრაფი და რადიკალური გზებით ე.წ. რევოლუციით. მოიძებნება კიდევ პოლიტიკური ძალები, რომელნიც შეგნებულად ირჩევენ

რევოლუციურ სტრატეგიას და ტაქტიკას თავისი მიზნების მისაღწევად.

ყველაზე უფრო ვრცელი მექანიზმი სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტების განვითარების და მომწიფება რევოლუციური სიტუაციის მოდერნიზაციის პირობებში იყო განხილული გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგის ს. ჰანტინგტონის ნაშრომში 'პოლიტიკური წესრიგი ცვალებადი საზოგადოებაში". ს. ჰანტინგტონს მიაჩნდა, რომ ტრადიციული საზოგადოების მოდერნიზაციის დასაწყისად შეიძლება გამოვიყენოთ ზოგიერთი გაერთიანება შინაგანი და გარეგანი ფაქტორების, მათ შორის პოლიტიკური ელიტის სურვილი დაიწყონ რეფორმები. გარდაქმნა შეიძლება შეეხოს ეკონომიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს, მაგრამ არ ეხება ტრადიციულ პოლიტიკურ სისტემას. შედეგად, არის პრინციპული მოდერნიზაცია "ზევიდან",ძველი პოლიტიკური ტრადიციული ინსტიტუტების ჩარჩოში ელიტის ხელმძღვანელობით. საჭიროა მომზადება მმართველი ელიტისა რათა განახორციელონ არა მხოლოდ ტექნო-ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მოდერნიზაციაც.

პოლიტიკური მოდერნიზაცია, რომელსაც ს. ჰანტინგტონი ცნობს, როგორც დემოკრატიზაციას საზოგადოების პოლიტიკური ინსტიტუტების და მის პოლიტიკურ შეგნებას, განპირობებულს მთელი რიგი სოციალური ხასიათის ფაქტორებით.

ინდუსტრიალიზაცია, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი გარდუვალად ხელს უწყობს განათლების სისტემის განვითარებას, მოწინავე ტექნიკური და ბუნებრივ-მეცნიერული იდეების სესხებას, მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორ-

მაციის ნაცვლად საზოგადოება ითვისებს ახალ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ იდეებს, და რამდენადაც შემადგენელ ნაწილად მოდერნიზაციის პროცესისა ვლინდება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ევოლუცია, ეს იდეები მზადდება ფრიად მომზადებულ ნიადაგზე.

ინდუსტრიალიზაციას და ურბანიზაციას თან მოჰყვება ფორმირება და სწრაფი ზრდა ახალი სოციალური ჯგუფების. ს. ჰანტინგტონი განსაკუთრებით აღნიშნავს საშუალო კლასის ფორმირებას, შემდგარს მეწარმეებისგან, მმართველებისგან, ინჟინერ-ტექნიკურ სპეციალისტების და ოფიცრებისგან, იურისტებისგან, მასწავლებლებისგან, სახელდობრ ინტელიგენცია პირველი ითვისებს ახალ პოლიტიკურ იდეებს და შესწევს უნარი გაავრცელოს ის საზოგადოებაში. რის შედეგადაც ხალხის და სოციალური ჯგუფების უფრო დიდი რაოდენობა იწყებენ შეგნებას, რომ პოლიტიკა პირდაპირ ეხება მათ პირად ინტერესებს. პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მათი პირადი ბედი. წარმოიქმნება უფრო მეტი შეგნება სწრაფვისა მონაწილეობის მისაღებად პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა მოიძებნოს მექანიზმები და მეთოდები ზემოქმედებისა სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

რამდენადაც ტრადიციული პოლიტიკური ინსტიტუტები არ აკმაყოფილებენ შესაძლებლობას პოლიტიკური მონაწილეობისა აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის ნაწილის, მათზე ვრცელდება საზოგადოებრივი უკმაყოფილება. დგება კრიტიკული სიტუაცია. თუ მმართველი ელიტა არ გადაწყვეტს მომწიფებული პოლიტიკურ რე-

ფორმებს, მაშინ წარმოიქმნება და გაფართოვდება განხეთქილება მზარდი პოლიტიკური აქტიურობის დონეთი ფართო სოციალურ ფენებსა და მისგან ჩამორჩენილ რეალურად მიღწეულ ხარისხს პოლიტიკურ მოდერნიზაციისა საზოგადოებაში. ასეთ სიტუაციაში რევოლუცია უფრო მეტად სწრაფი და რადიკალური მეთოდით ხელს უწყობს ამდაგვარი განხეთქილების ძალდატანებით გაუქმებას. ძველი პოლიტიკური სისტემის ნგრევით, ის ქმნის ახალ პოლიტიკურ ინსტიტუტებს უფლებრივ და პოლიტიკურ ნორმებს, რომელსაც აქვს უნარი ხალხთა მასების მონაწილეობის გარანტიისა საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმავდროულად მმართველი ელიტა, რომელსაც არ შესწევს უნარი მის წინაშე დაყენებული ამოცანების შესრულებისა, იცვლება ახალი ელიტით, უფრო დინამიკურით და გახსნილით ამ დროისთვის.

ს. ჰანტინგტონის აზრით, რევოლუციის შედეგებმა შეიძლება მიიღოს ორპირი ხასიათი. ერთი მხრივ, ეს არის შედეგი არასაკმაოდ სწრაფ და კომპლექსურად მოდერნიზაციის განვითარებით, მეორე მხრივ – მასში გამოიხატება პროტესტი მოდერნიზაციის პროცესის და მისი სოციალური შედეგების წინააღმდეგ. ამიტომ რეალური პოლიტიკური შედეგები რევოლუციის შეიძლება იყოს საწინააღმდეგო იმ ლოზუნგების,რითაც ისინი იწყება. თუკი ლაპარაკი მიდის სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის ამოცანებზე, მაშინ რევოლუციას კიდევაც შესწევს უნარი შეაჩეროს და გაართულოს მათი რეალიზაცია.

ბევრი მათ შორის, რასაც აღწერს ს. ჰანტინგტონი თავის თეორეტიკულ მოდელში, წინ უძღოდა 1905-1907 წწ-

ის რევოლუციას. დაშორება რეფორმის კურსიდან და შემობრუნება პოლიტიკურ რეაქციისაკენ ალექსანდრე II-ის სიკვდილი შემდეგ დაემთხვა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარების ინტენსიურ ზრდას, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპით გამოვიდა პირველ ადგილზე მსოფლიოში. იმავე პერიოდში ფართოდ გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რიცხვი, მიმდინარეობდა საშუალო კლასის ფორმირების პროცესი, სხვა სოციალურ ჯგუფებს, გამოძახილს სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის ცხოვრებაში, სამრეწველო მუშების ფენა.

გასული ასწლეულის დასაწყისში სოციალურმა გარდაქმნებმა გამოხატულება პოვეს პოლიტიკურ სფეროში. გაიზარდა პოლიტიკური აქტივობა ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების. 1905-1907 წ-ის მოვლენების წინ პოლიტიკური თავისუფლების მოწოდებები, კონსტიტუციები და პარლამენტარობა პირდაპირ ავსებდნენ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, ეს იყო ტიპური რევოლუციური კრიზისის გამოვლენა, გამოწვეული პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესის ჩამორჩენით.

რეფორმები, განვითარებული 'ქვედა ფენების" ზეწოლით, შეგვიძლია შევაფასოთ ორნაირად. ერთი მხრივ, ისინი ფეხდაფეხ მისდევდნენ პოლიტიკური მოდერნიზაციას, ხოლო მეორე მხრივ – ამ რეფორმების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური ინსტიტუტები ჯერ კიდევ ძნელი იყო დაგვეხასიათებინა, როგორც ინსტიტუტი პარლამენტარული დემოკრატიის განვითარების. საკანონმდებლო უფლება სახელმწიფო 'დუმ"-ას ჰქონდა შეზღუდული. მას არ ჰქონდა მთავრობის ფორმირების უფლება, მისი შესაძლებლობაც

კი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოწმება-კონტროლზე რჩებოდა მინიმალური. სრულიად არადემოკრატიული იყო არჩევითი სისტემა. ამავე დროს, უმაღლესი სახელმწიფო მთავრობა დასაწყისიდანვე მტრულად ეკიდებოდა სახელმწიფო 'დუმ"-ას, ხედავდა რა მასში დროებით და საშიშ საზოგადოების სიმშვიდისათვის, როგორც კი მდგომარეობამ მისცა საშუალება თვითმპყრობლებმა დაიწყეს ნაწილ-ნაწილ გამოძალვა ადრე მიცემული უფლებების, ამან შეცვალა ამორჩევითი სისტემა კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული მიმართულებისკენ.

სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები რუსეთში კიდევ უფრო გამწვავდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, ამიტომ 1917 წ-ის რევოლუციური მოვლენები სრულიად კანონიერი იყო. თუმცა თავდაპირველად რევოლუციური კრიზისის ხასიათი იყო დეტერმინირებული არა მარტო სოციალური კონფლიქტებით 'ქვედა ფენებიდან". რუსეთის სინამდვილეში XX ს-ის დასაწყისში ასეთი კონფლიქტების ნიშანი შეინიშნებოდა საკმაოდ გარკვევით. მმართველი ელიტა თვითმპყრობელი რუსეთისა თავისი წარმოშობით იყო არისტოკრატიული. შემადგენლობამ მმართველი ელიტისა მაშინდელი რუსეთის, უნარმა რეკრუტირებისა გამოავლინა მისი ძირითადი ხარისხი. პირველ რიგში, მისი კონსერვატიზმი გამოვლენილი უნდობლობით და აგრეთვე მტრული დამოკიდებულებით ნებისმიერ ინოვაციებზე, თუ გინდ ის გამოსულიყო თვით იმპერატორისგან. ელიტის ჩაკეტვას ის მიჰყავდა დეგრადაციისკენ გამოხატულს მეტად საპასუხისხმგებლო სახელმწიფო პოსტზე გამოჩენის ფრიად სუსტ და მცირე კომპეტენტური

ხალხის, დაცემა დონის და ხარისხის მმართველი გადაწყვეტილების მიღებაში, გამწვავებისა სიტუაციის იმ სფეროში, სადაც მათი გადაწყვეტა პირდაპირ ეხებოდათ.

ტენდენცია მმართველი ელიტის დეგრადიაციის ყველაზე მეტად გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის წლებში. რუსეთის ომისთვის მოუმზადებლობა, დეზორგანიზაცია მოსახლეობის და არმიის მომარაგებაში, პროგრესული კრიზისი სატრანსპორტო სისტემაში იყო დაკავშირებული მმართველი წრეების გათვლასთან, იმპერიის ბიუროკრატიული აპარატის არცოდნა თუ როგორ გამკლავებოდნენ მომწიფებულ პრობლემებს. ასეთმა სიტუაციამ მკვეთრად გაამწვავა კონფლიქტი არისტოკრატიულ-ბიუროკრატიულ ელიტას, და აქტიურად ჩამოყალიბებულ წინა წლებში ოპოზიციური, საკმაოდ ფართო თავისი შემადგენლობით კონტრელიტას შორის.

კონტრელიტის ინტეგრაციისა და პოლიტიკურ-ორგანიზაციური გაფორმებისათვის 1905-1907 წ-ის რევოლუციის საფუძველზე შეიქმნა სასიამოვნო სიტუაცია. ერთი მხრივ, წარმოქმნა პირობები არარადიკალური პოლიტიკური პარტიების ლეგალური მოღვაწეობის. ინსტიტუტი პარლამენტარიზმის სახე, სახელმწიფო 'დუმის" პირველად შექმნილი სახელმწიფო სფეროსგან დამოუკიდებელი ავტონომია. ხოლო მეორე მხრივ, მთავრობის სტრუქტურის ფორმირების პრინციპი უცვლელი რჩება. ამგვარად, შეიქმნა სიტუაცია, რომლითაც ზოგიერთი ლიბერალური პოლიტიკოსები აძლევდნენ თავის თავს უფლებებს ღიად გაეკეთებინათ თავის შეხედულებების და წინადადებების დეკლარირება საზოგადოების განვითარების საკითხებზე, მაგრამ არ აქვთ უფლება

რათა მოახდინონ რაიმე რეალური ზემოქმედება ამ პრობლემების გადასაწყვეტად.

ბევრი სიძნელე, თავსდატეხილი რუსეთზე საომარი მოქმედების დაწყებით, გახდა შედეგები არასაკმარისი კომპეტენტურობის და მმართველობის არარაციონალური გადაწყვეტილების მაშინდელი მმართველი ელიტის. ბუნებრივია, კონტრელიტას არ შეეძლო არ გამოეყენებინა ეს მდგომარეობა იმისათვის, რომ უფრო ხმამაღლა განეცხადებინათ თავის პრეტენზიებზე მიიღონ მონაწილეობა ყველაზე მეტად საჭირო პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც დგას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ეს პრეტენზიები იყო ინსტიტულირებული ორ ძირითად ფორმად. პირველი, წარმოდგენილი იყო შექმნილი ლიბერალების და მარჯვენა ცენტრისტების კავშირით ერობასა და ქალაქებს შორის აქტიური მონაწილეობით. ხოლო მეორე სახით სახელმწიფო 'დუმის" პროგრესული ბლოკის, რომელშიც შედიოდნენ ქვედა პალატის დეპუტატები, პირველ რიგში წარმომადგენლები კადეტების პარტიის და ოქტიაბრისტების წარმომადგენლები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მხარს უჭერდნენ ომის გაგრძელების კურსს, და მოკავშირეთა ვალის ერთგულებას, პროგრესულმა ბლოკმა ასეთი მხარდაჭერისათვის წამოაყენა მოთხოვნა შეექმნა 'პასუხისმგებელი სამინისტრო". ანუ გაცხარებული საომარი მოქმედებების დროს ერთხელ კიდევ იყო გამოქვეყნებული ომამდე არსებული მოთხოვნა კონტრელიტის თავის მონაწილეობაზე ხელისუფლებაში მთავრობის ფორმირების გზაზე, წარმოქმნილ სახელმწიფო 'დუმა"-ში.

თავისი მიზნებით ოპოზიციური პარტია მიისწრაფოდა მიეღწია გადატრიალებისთვის. პროგრესული ბლოკის ლიდერებს შორის არაერთხელ წარმოიქმნა იდეა შეთქმულებ-ის მიზნით ჩამოეცილებინა მთავრობისთვის ნიკოლოზ II. თავის იმედებს ამყარებდნენ იმპერატორის ძმაზე – მიხეილ ალექსანდრეს ძეზე. ის იყო დანიშნული რეგენტად მცირ-ეწლოვან მემკვიდრის, ვალდებული იყო წასულიყო 'საზოგა-დოების" დათმობაზე დაეკმაყოფილებინა პროგრესული ბლოკის ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნე-ბი, ამასთან ინარჩუნებდა მოკავშირეების ერთგულებას და მიჰყავდა ომი გამარჯვებისკენ.

1917 წლის თებერვალში ქვეყანაში აგორდა დიდი პოტენციალი სოციალური აფეთქებისთვის. გამოწვეული საომარი კრიზისი დაემთხვა კონფლიქტს ძველი და ახალი ელიტის. შექმნილი მდგომარეობის გამო 'დუმის" ოპოზიცი-ის მოღვაწეებმა გადაწყვიტეს გადაერჩინა მდგომარეობა კომბინაციით ნიკოლოზ II-ს ჩამოშორება ტახტიდან. მა-გრამ მდგომარეობამ მიიღო ისეთი შემობრუნება, რომ ყვე-ლა ადრე შემუშავებული გეგმა შეცვლილიყო. ნიკოლოზ II-მ მოულოდნელად უარი თქვა ტახტზე არა მარტო თავის, არამედ თავისი შვილის სასარგებლოდაც. ძველი ხელისუ-ფლება დაინგრა, განთავისუფლდა ადგილები მათთვის, ვისაც დიდი ხანია ჰქონდა სურვილი გამოეცადა თავის თავი ქვეყ-ნის მართვაში. თავდაპირველად თებერვლის რევოლუცია პირდაპირ გამოიყურება, როგორც კლასიკური ცვლა მმართვე-ლი ელიტის. მაგრამ თეორიული კონცეფციის მსგავსება ამით მთავრდება. დროებითი მთავრობის მოღვაწეობა არ აღმოჩნდა ეფექტური. უნივერსიტეტები, პროფესორები და

დედაქალაქის ადვოკატები არ აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე მეფის ბიუროკრატები. რა თქმა უნდა, წარუმატებლობა დროებითი მთავრობის აიხსნებოდა ქვეყანაში მძიმე მდგომარეობით.

რუსულმა რევოლუციამ გაიარა თავისი განვითარების ყველა ეტაპი, საერთოდ ყველა დიდი რევოლუციისათვის დამახასიათებელი, მაგრამ მისი განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ სუბიექტური ფაქტორის როლი იყო მეტისმეტად მაღალი. 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების გამარჯვება ეყრდნობოდა მთლიანად სტრატეგიის შეგნებას და კარგ ორგანიზაციას. ვ. ლენინი და ლ. ტროცკი – მთავარი ბელადები ბოლშევიზმის – თვლიდნენ, რომ გამარჯვება 'პროლეტარიატის" რევოლუციის რუსეთში მისცემს ბიძგს ევროპაში, და შემდეგ მსოფლიო რევოლუციას, რომლებსაც შეუძლიათ გარანტირება. გაწელილი სოციალური ექსპერიმენტის საბოლოო დამთავრების. ბოლშევიკებმა შეძლეს დაეპყროთ ხელისუფლება, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალების შედეგად პოლიტიკურმა სისტემამ დროთა განმავლობაში მიიღო ტოტალიტარული ხასიათი, კარდინალურად განსხვავებული კ. მარქსისა და ვ. ლენინის თავდაპირველი იდეებისაგან.

### 3.3. პოლიტიკური რევოლუცია და თანამედროვეობა

მრავალი ათასწლეულის განმავლობაში პოლიტიკური რევოლუცია, როგორც საშუალება წარმოადგენს საზოგადოებრივი მოწყობის მიღწევას, მარქსიზმის და სხვა მარცხენა რადიკალური იდეოლოგიის კონცეფციის მომხრეებების. ბევრ ქვეყანაში კომუნისტების მიერ ხელში ჩაგდებული

გახდა მოვლენის შედეგი და პროცესი, განვითარებული არა იმ სქემით, რომელიც იყო მიჩნეული მარქსის რევოლუციის თეორიაში. კომუნისტური რეჟიმი აღმოსავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმისგან განთავისუფლებულ ქვეყნებში. აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში კომუნისტური პარტიები იყო ნაკლებ გავლენიანი და მათი მოსვლა ხელისუფლებაში შეუძლებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის ჩარევის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენს ალბანეთი და იუგოსლავია. მაგრამ იქ მართალია მათ მოიგეს ხელისუფლება დამოუკიდებლად, მაგრამ არა კლასობრივი ბრძოლით, არამედ ნაციონალ-გამათავისუფლებელი მოძრაობით და ანტიფაშისტური პარტიზანულ ომში გამარჯვებით, რომელსაც ისინი ხელმძღვანელობდნენ ორივე ქვეყანაში. პარტიზანული ომი, რომელიც ეყრდნობოდა არა იმდენად ქალაქის მუშებზე, არამედ უფრო სოფლის მოსახლეობას, ამან მიიყვანა ჩინეთი კომუნისტურ მთავრობამდე და შემდეგ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულიც. კომუნისტური რეჟიმის გამოჩენას კუბაში წინ უძღოდა პარტიზანული ომი სოფლის მოსახლეობაში, რომელსაც სათავეში ედგა ფ. კასტრო და მისი თანამებრძოლები, რომლებიც არ ახმაურებდნენ თავიანთ მიკერძოებას კომუნისტურ იდეოლოგიაზე.

თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული ურთიერთწინააღმდეგობის მიუხედავად, სოციალური ბანაკის ქვეყნებსა და იქ არსებული კომუნისტური მოძრაობის სახელობის აბსოლუტირება ითვლება სოციალურ-პოლიტიკური რევოლუციის ფენომენის და საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლეს ფორმად. კ. მარქსის სიტყვებით 'ისტორიის

ლოკომოტივად“, ‘დაჩაგრულების დღესასწაულად“. ამავე დროს განხილვა რევოლუციის, როგორც უაღრესად პოზიტიური იქნებოდა არამართლზომიერი, მაინც თუ რევოლუციური სოციალურ-პოლიტიკური გადატრიალება იძლევა დადებით ეფექტს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში, არ არის გარანტია, რომ მიღებული შედეგი თანაზომიერია ‘ფასით“, რომელსაც ერთეული ხალხი და საზოგადოება იხდიან რევოლუციისთვის.

ისტორიულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არ არის საფუძველი იმისთვის, რომ გაიგივდეს ნებისმიერი რევოლუცია იდეების და პრინციპების გამარჯვებასთან,დამახასიათებელი მარცხენა პოლიტიკური იდეოლოგებისათვის. მარქსისტები ტრადიციულად უპირისპირებდნენ ‘რევოლუციას“ და ‘კონტრრევოლუციას“, დადებითად ახასიათებდნენ პირველს, ხოლო ნეგატიურად მეორეს, პოლიტოლოგისა და კონფლიქტოლოგისთვის ასეთი დაპირისპირება არაკორექტულია, რამდენადაც დაყრდნობილია განსაკუთრებულ ფასეულობით ასპექტზე და არ ითვალისწინებს იდენტურობას მექანიზმებისა და ხერხებისა როგორც ‘რევოლუციური“, ისე ‘კონტრრევოლუციური“ გადატრიალების განხორციელებისთვის.

შეუიარაღებელი აჯანყება ქალაქში შეიძლება იყოს მიმართული მეფის მთაერობის წინააღმდეგ, როგორც ეს იყო მოსკოვში 1905 წ-ს; მაგრამ შეიძლება მიიღოს ანტიკომუნისტური ხასიათი, როგორც ეს იყო ბუდაპეშტში 1956 წ-ის ოქტომბერში. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ბუდაპეშტის მოვლენები ფასდებოდნენ, როგორც ‘კონტრრევოლუცია“. პარტიზანულ ომებს XX ს-ში ახორციელებდნენ არა მარ-

ტო ჩინელი და ვიეტნამელი კომუნისტები და სხვა ანტიიმპერიალური პროგრესული ძალები, აგრეთვე ავღანელი მოჯაჰედები, მებრძოლები კომუნისტური მმართველობის წინააღმდეგ ქაბულში და ამიტომ ფასდებოდნენ საბჭოთა პროპაგანდის მიერ როგორც 'კონტრრევოლუციურნი".

გასული საუკუნის ბოლო გაჯერებული იყო ისეთი მოვლენებით მსოფლიო პოლიტიკაში, რომელთაც შეარყიეს შექმნილი წარმოდგენა 'პროგრესზე", 'რეგრესზე", 'რევოლუციებსა" და 'კონტრრევოლუციებზე". ასეთი მოვლენა გახდა 'ისლამური რევოლუცია ირანში". მასშტაბებით და სოციალურ-პოლიტიკური შედეგით ისლამური რევოლუცია სრულიად შეედრება 'უდიდეს რევოლუციებს" XIX ს-ის და XX ს-ის დასაწყისში, ხოლო ბაზისის ფასეულობის ხასიათით, დაყენებულს საფუძვლად ახალი რეჟიმისთვის, ის მისგან მკვეთრად განსხვავდება, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ირანში 1970 წლის ბოლოს წარმოიქმნა მრავალი კონფლიქტი, რომელმაც მოიცვა ქალაქებიც და სოფლებიც, პოლიტიკაც და ეკონომიკაც, სოციალური, კულტურული და სულიერი სფეროები. ირანის შაჰი მუჰამედ რეზა პეჰვალი ატარებდა მოდერნიზაციას ავტორიტარული პირადი ძალაუფლების რეჟიმის პირობებში. ოპოზიციის დევნით და სხვაგვარად მოაზროვნე როგორც 'მარჯვნივ", ისევე 'მარცხნივ". მიზანი გამოცხადებული ხელისუფლებისა 'შაჰის თეთრი რევოლუციის და ხალხის" იყო შექმნილი აყვავებული სახელმწიფო ძლიერი ჯარით, განვითარებული ეკონომიკით, მაღალი ცხოვრებისეული დონით, მსგავსი მოწინავე სახელმწიფოებით დასავლეთის, ამიტომ მოდერნიზაცია ირანის ხორციელდებოდა ვესტერნიზაციის ფორმით, ანუ

სესხებით დასავლეთის სულიერი ფასეულების ელემენტე-ბით და ცხოვრების წესით.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში, მიღწეულ ბოლო რიგში ნავთობის ექსპორტით მიღებული მოგებებით, კონფლიქტური პოტენციალი ირანის საზოგადოებაში 1970 წლებში გაძლიერ-და უკმაყოფილონი დარჩნენ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა სხვადახვა მიზეზების გამო. ქალაქის მოსახლეობის საშუალო ფენა და განსაკუთრებულად ევროპელად განათლე-ბული ინტელიგენცია განიცდიდა პოლიტიკური თავისუ-ფლების დეფიციტს და ოცნებობდა ლიბერალურ რეფორმე-ბზე. ტრადიციული მოხელეების, ვაჭრების უკმაყოფილების მიზეზი უცხოური სავაჭრო კაპიტალის ექსპანსირება გახ-და. ვესტერნიზირებული ელიტის და მოსახლეობის უდიდე-სი ნაწილი, რომელიც ცხოვრობდა ტრადიციული რელიგიური ნორმებით და სოციალურ ინსტიტუტებში იზრდებოდა მეტად გამწვავდა განხეთქილება. მზარდი სოციალური დაძაბუ-ლობის პირობებში ირანის საზოგადოებაში ემატებოდა კიდევ პოლიტიკური კონფლიქტები შაჰის რეჟიმსა და ოპოზიციას შორის. ამ რეჟიმს სათავეში ედგა განდევნილი აიათოლა ხომეინი.

ასეთი კონფიგურაცია შიდაპოლიტიკური კონფლიქ-ტისა ირანში გამოიწვია შემდეგმა ფაქტორებმა. ჯერ კიდევ 50-60-იან წლებში XX ს-ის რეპრესიების შედეგად მემარცხ-ენე ძალები და ყველაზე მეტად ირანის კომუნისტური პარ-ტია 'ტუდე"-დან იყვნენ განადგურებული. დევნას ექვემდე-ბარებოდნენ აგრეთვე ლიბერალური ოპოზიცია და სამ-ღვდელოების წარმომადგენლები, შაჰის რეფორმებით უკ-

მაყოფილონი. აიათოლა ხომეინის გამოხატულმა უკმაყოფილებამ მიიყვანა იქამდე, რომ იგი ჩასვეს ციხეში, შემდეგ გაგზავნეს ერაყში, საიდანაც იგი გადავიდა საფრანგეთში. იმის გამო, რომ არ იყო ადგილი პოლიტიკური მოღვაწეობისა, ამისთვის გამოიყენეს მეჩეთი, სადაც იკრიბებოდნენ უკმაყოფილონი და მათი მომხრენი. ამგვარად, პოლიტიკურმა კონფლიქტმა მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის მიიღო რელიგიური სახე.

1978 წლის შემოდგომაზე ეს კონფლიქტი გადაიზარდა მასობრივ გამოსვლებში ხალხის მიერ შაჰის სიძულვილში. ირანის მოვლენებმა დაგვანახა, რომ რევოლუციის სიტუაციის მომწიფებაში აუცილებელია არა მარტო 'გამწვავება" აუცილებელი მოთხოვნებისა და სიღარიბე ხალხთა მასების, არამედ ფსიქოლოგიურად აღქმა გაუსაძლისი მდგომარეობის შეფარდებით. დ. დევისის სიტყვებით, ვ. ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ რევოლუცია არ ხდება 'ზედას" შემოვლის და 'ქვედას" სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის გარეშე. ასეთ კრიზისს ადგილი ჰქონდა ირანში ზამთარში და შემოდგომაზე 1979 წ-ს. თუმცა შეიარაღებულ აჯანყებამ, რომელმაც წერტილი დაუსვა მონარქიას, აქტიური როლი ითამაშა მემარცხენე რადიკალურმა ჯგუფმა 'ფედაინების" და 'მოჯახედლების". დათრგუნული ხალხი მხურვალედ მიესალმებოდა თეირანში აიტოლა ხომეინის დაბრუნებას.

ირანის რევოლუციის შემაჯამებელი გახდა ფორმირება თეორიული რეჟიმის ადრეული მოდელის. 'ისლამური დემოკრატია", რა თქმა უნდა, განსხვავდება წინამდებარე შაჰის ავტორიტარული რეჟიმისაგან, როგორც რევოლუცი-

ის შემდგომი ირანი განსხვავდება რევოლუციამდელთან, მაგრამ შეფასება ამ განსხვავების, ევროპული შეგნების გამოყენებით 'პროგრესი" და 'რეგრესი", რთულია თუკი საეროდ შეიძლება.

განსაკუთრებულმა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებამ სოციალიზმიდან კაპიტალიზმისკენ, და არა პირიქით, როგორც ეს იყო მიღებული ადრე, მოაბრუნეს განვითარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რევოლუციური მდგომარეობა 1989 წლის შემოდგომაზე. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად ჩეხოსლოვაკიის რევოლუცია ე.წ 'ხავერდოვანი" იყო. მასობრივი გამოსვლა მოსახლეობის დამთავრდა ძალადობისა და მსხვერპლის გარეშე ორივე მხრიდან. იყო სხვა მაგალითებიც. რუმინეთში გამეორდა კლასიკური რევოლუციური სცენარით განვითარდა (დახვრეტა ყოფილი პარტიული და სახელმწიფო ლიდერის და მისი მეუღლის ნიკოლას ჩაუშესკუ).

ყოფილი სოციალისტური ბანაკის სოციალურ-პოლიტიკური მექანიზმის ცვლილება კარგად აიხსნება მარქსისტული თეორიით. კ. მარქსის იდეებზე შექმნილი ეკონომიკური სისტემა პრაქტიკაში აღმოჩნდა არაეფექტური და წააგო საბაზრო ეკონომიკასთან შეჯიბრება. შედეგად მივიღეთ კრიზისი სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებში 'რეალურად სოციალიზმის. საგარეო იმპულსად, ამ კრიზისის რადიკალურად გადაწყვეტის, გახდა საბჭოთა 'პერესტროიკა". 'პერესტროიკის" იდეოლოგები სსრკ-ში ადრეულ ეტაპზე უყვარდათ მისი შედარება რევოლუციისათვის, 'გაგრძელება დიადი ოქტომბრის". გარდაქმნის პროცესი, რომელ-

იც მ. გორბაჩოვმა 1985 წ-ის აპრილში დაასრულა, ცვლილებით, მაგრამ არა ‘დიადი ოქტომბრის საქმეები“ გაგრძელება, არამედ დაუსვა მას წერტილი.

XX ს-ის 80-90 წ-ში მოვლენების შედეგად დამტკიცებული იყო ‘ტოკვილის კანონი“, რამდენადაც საბჭოთა სისტემა დაიმსხვრა არა მაშინ, როდესაც იგი გამოვლინდა ყველაზე უფრო დესპოტურ ფორმაში სტალინიზმის წლებში, არამედ მაშინ, როცა მოინდომეს მისი გარდაქმნა მისთვის ‘ადამიანის სახის“ მიცემით. 1990 წ-ის დასაწყისში საბჭოთა კავშირის მოსახლეობაში გამოიწვია მასობრივი უკმაყოფილება, რომელიც გამოიწვეია იმან, რომ საბჭოთა ლიდერების მიერ გარდაქმნის შედეგად მიცემული დაპირებები და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შეეჯახა ცხოვრების პირობების გაუარესების რეალობას.

კომუნისტური სისტემის და საბჭოთა კავშირის დანგრევაში დიდი როლი ითამაშა ელიტის და ლიდერების ურთიერთსაწინააღმდეგო ბრძოლამ. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო თვეებში წარმოიქმნა კონფლიქტი ცენტრსა, მ. გორბაჩოვის ხელმძღვანელობით, და ახალ ‘დემოკრატიულ“ კონტრელიტას შორის, რომლის ლიდერიც იყო რუსეთის პრეზიდენტი ბ. ელცინი. არსებობა ხელისუფლების ორი ცენტრისა გარდუვალად წარმოშობდა მწვავე მეტოქეობას. ჯამში ეს მეტოქეობა გახდა მიზეზი კრახისა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის, არამედ მთელი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოსი.

პოსტკომუნისტური განვითარება აღმოსავლეთ ევროპული და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, ბადებდნენ ახალ პრობ-

ლემებსა და კონფლიქტებს, ამან გამოიწვია ხალხის იმედების გაცრუება. ეს გახდა ძირითადი ტენდენცია საზოგადოების განვითარებისა, რომელიც წარსულში რევოლუციური მოვლენებით აღინიშნებოდა 'ტერმიდორის კანინი" ანუ დაბრუნება ადრეული ფასეულობები, ინსტიტუტები ყოველდღიური არსებობისათვის. ეს ტენდენციები გამოჩნდნენ პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევისას აღმოსავლეთ ქვეყნებში.

'ტერმიდორას კანონი" არ გულისხმობს გარდუვალ რესტავრაციას არსებული წესების, ის გამოხატავს დაბრუნებულ ტენდენციას, რის შედეგადაც შეიძლება იყოს კორექტირება პოლიტიკური კურსის, აღდგენა დაჩქარებულად დანგრეული ინსტიტუტების.

სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში წარმოიქმნა XX ს-ში. ისეთი ახალი ფენომენი, როგორიც 'ფერადი რევოლუციები" პირველი ასეთი რევოლუცია, რომელსაც ინერციით ეწოდა 'ხავერდის" მოხდა ციმბირში. შემდეგ ამდაგვარი სცენარი განმეორდა საქართველოში, უკრაინაში, ყირგიზეთში. განსხვავებით 'ხავერდოვანი" რევოლუციის, 'ფერადი რევოლუციები" იყვნენ არა მარტო შედეგი მასობრივი სტიქიური გამოსვლების, არამედ შედეგი სპეციალურად მომზადებული და გათამაშებული სცენარის, დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლის ზურგს უკან იდგა აგრეთვე ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურა. მათი ორგანიზატორების განზრახვით, მიზანი 'ფერადი რევოლუციის" იყო მოცილება გამოუსადეგრის, ჩამოყალიბება პოლიტიკური რეჟიმისა,

რომელიც დასავლეთის ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესებს დააკმაყოფილებს.

'ფერადი რევოლუციის" განვითარების პოლიტიკური ტექნოლოგიებია: ახლახან შემდგარი არჩევნების გამოცხადება ფალსიფიცირებულად და არალეგიტიმურად, რის შემდეგადაც ქუჩაში გამოდიოდნენ ორგანიზებული მოწინააღმდეგენი არსებული რეჟიმისა, ეწყობოდა მასიური აქცია პროტესტის (ციმბირში, საქართველოში, ყირგიზეთში), იპყრობდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს. ამ მოვლენებში აქტიური როლი ითამაშეს სტუდენტურმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც ჰქონდა მჭიდრო კავშირი და მხარდაჭერა დასავლეთის არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. ციმბირში ამ ორგანიზაციას ერქვა 'ოტპორ", საქართველოში – 'კმარა", უკრაინაში – 'პორა". შიგა არეულობები ივსებოდნენ საგარეო პოლიტიკის ზეწოლით და პირდაპირი ჩარევით, ევროკავშირის ქვეყნების და ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციების. შედეგი ყველაფერი ამისა იყო ის, რომ თავიდან ხდებოდა ხმების დათვლა, ახალი არჩევნები, რომელსაც მოჰქონდა გამარჯვება 'ფერადი რევოლუციის" ლიდერებისთვის და უხსნიდა მათ გზას ხელისუფლებისკენ.

'ფერადი რევოლუციის" სცენარის განხორციელება შესაძლებელი იყო არა მარტო უცხოელების ჩარევით, არამედ აგრეთვე მანიპულირების ტექნოლოგიის გამოყენებით პოლიტიკურ შეგნებაში და ხალხის მასის გამოყენებით. რევოლუციური მოძრაობის წყარო იყო აგრეთვე კონფლიქტი ელიტისა და ლიდერის და კრიზისი 'მაღლების" და 'დაბლების". არ ახდა ყველა ის იმედი, რასაც ამყარებდნენ მასზე 'ფერადი რევოლუციის" ლიდერები და ორგანიზატორები.

ამას ადასტურებს მოვლენები 'ნარინჯისფერი რევოლუციის" უკრაინაში და 'ტიტების რევოლუციისა" ყირგიზეთში. 'ვერაგმა რევოლუციებმა" გვიჩვენა, რომ ყოველთვის არ სრულდება დაპირებები ლიდერების და შედეგად ყოველთვის არ ხდება ქვეყნის აყვავება. 'ვარდების რევოლუციამ" ვერ გადაწყვიტა მძიმე ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ნაწილი მოსახლეობისა ძველებურად ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ. თუ 'ნარინჯისფერ რევოლუციამდე" უკრაინა ლიდერობდა ეკონომიკის განვითარების ზრდით საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, 'ნარინჯისფერი" კოალიციის მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში ეს ტემპი მკვეთრად დაეცა, რაც გახდა მიზეზი რეგიონის პარტიების გამარჯვებისა პარლამენტის არჩევნებზე 2006 წ-ში. რთული და ფეთქებადი რჩება სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ყირგიზეთსა და საქართველოში.

# თავი 4.
# ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები

## 4.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი

ეთნონაციონალურ-ეთნიკური დიფერენციაცია და იდენტურობა – არის სოციალური რეალობა, მაგრამ ისეთი რეალობა, რომელიც არ რჩება შეუცვლელი. თავისთავად ნაციონალური გრძნობა აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც ამბივალენტურები არიან. თითოეულ ადამიანს გააჩნია ეთნიკური პოტენციალი. მაგ: ჩვენ ვსაუბრობთ განსაზღვრულ ენაზე, გაგვაჩნია რასობრივი ნიშნები, მივეკუთვნებით ეთნიკურ საზოგადოებას, რომელსაც საკუთარი ისტორია გააჩნია და ა.შ. მაგრამ ეს ეთნიკური პოტენციალი მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში აქტიურდება. ამ პოტენციალის აქტუალიზაციის დონე, ნაციონალური გრძნობების ინტენსიურობა ბევრადაა დამოკიდებული პოლიტიკაზე, დაწყებული მისი გახსნილი ურთიერთობებით სხვა ერებთან ან პირიქით, საკუთარ პრობლემებზე კონცენტრირება, შინაგანი მტრის ძიება, რომელიც თითქოსდა რჩება მოცემული საზოგადოების სოციალური უბედურების პასუხისმგებლად. განსაზღვრულ პირობებში (საზოგადოების სისტემის კრიზისი, სახელმწიფოებრიობის დაშლა, ეთნიკური ჯგუფის სოციალური სტატუსის ცვლილება და ა.შ.) ხდება ეთნიკური ჯგუფის პოლიტიზირება, მისი როგორც მოტივირებული პოლიტიკური ძალის გამოყენება, მძაფრი პოლიტიკური საფუძვლების გამიჯვნა და როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება. ჩნდება ფენომენი, რომელიც სამეცნიერო ლიტ-

ერატურაში იძენს 'ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის" სახელწოდებას, რომელიც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის აღმოცენების გარდაუვალი ფაქტორი ხდება. პოლიტიკური პროცესის მობილიზაციის 'გაშეებისათვის" აუცილებელია მოწინააღმდეგე მხარე. სასურველი მიზნის მისაღწევად ხელშემშლელი ფაქტორები (მხარეები), რადგან 'სოციალური კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ორი ან მეტი რაოდენობის მხარე დარწმუნებულია იმაში, რომ მათი მოღვაწეობის მიზანი შეუთავსებელია ან გააჩნიათ ჩვენს ინტერესებთან შეუთავსებელი ინტერესები და ღირებულებები".

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში რუსეთში, ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში ეთნიკური ფენომენი ხდება პოლიტიკური წინააღმდეგობების მთავარი მიზეზი. ამ პროცესებში ეთნიკური თვითშემეცნების აქტუალიზაცია, მიმართულია ჯგუფური სოლიდარობის და ეთნიკური წინააღმდეგობებისაკენ. მ. გუბოლევის აზრით: ეთნიკური მობილიზაციის მნიშვნელოვანი ტენდენციები და პროცესების გამოვლენა რუსეთის ფედერაციას და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანას შორის მიმდინარეობდა ორ – ინსტიტუციონალურ და პიროვნულ დონეზე, არსებულ სიტუაციაში უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა ვლინდება. ისე როგორც რეფორმატორული და კონსერვატორული ძალების წინააღმდეგობების კვალდაკვალ, საზოგადოებრივი განვითარების ვარიანტების არჩევა მცირდება და წარმოიშობა ახალი საფრთხე – მეტ-ნაკლებად დემოკრატიული განვითარების გამომხატველი კურსიდან გადასვლა ავტორიტარიზმისაკენ, რომელ-

იც მოკლებულია ყოველგვარ იმედს ხალხის, მოქალაქეების თავისუფლებისა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი – სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ იმავდროულად გამოირჩევა საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლებით.

პირველ რიგში, ეთნიკური კონფლიქტების უმრავლესობას გააჩნიათ პოლიტიკური ასპექტები, დიდი თუ მცირე დოზით ისინი გვევლინებიან ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებად. უნდა განვასხვაოთ ჰორიზონტალური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტები (კონფლიქტი უზბეკებს და თურქ-მესხებს შორის ან კონფლიქტი ყირიმულ თათრებსა და დანარჩენ ყირიმს შორის) და ვერტიკალური – ეს არის კონფლიქტი ეთნიკურ ჯგუფებსა და ხელისუფლებას შორის (მაგალითად: ჩეჩნეთის, ყარაბაღის, კოსოვოს კონფლიქტები). ეს განსხვავება საკმაოდ პირობითა, რამდენადაც ჰორიზონტალურ კონფლიქტებში ადრე თუ გვიან ერევა სახელმწიფო, როგორც მშვიდობისმყოფელი შუამავალი ან როგორც კონფლიქტის სუბიექტი.

მეორე რიგში, მნიშვნელოვანია ვიგულისხმოთ, რომ ერთ შემთხვევაში ეთნიკურობა შეიძლება იყოს 'სამხედრო ფორმა", პოლიტიკური ბრძოლის 'კომუფლაჟი". მაგალითად, ჩრდილოელი ხალხის 'ეროვნული თვითგამორკვევისათვის" ბრძოლა, რომელსაც მე-20 საუკუნის 90-იან წლებში აწარმოებდნენ რუსეთის ჩრდილოეთ ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერები თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოებისათვის. სხვა შემთხვევაში შეიძლება საუბარი იყოს 'უკუღმა, პირიქით კომუფლაჟზე", როდესაც პოლიტიკური

ლოზუნგებისა და დეკლარირებული მიზნების მიღმა იმალება მძაფრი ეთნიკური კონფლიქტი.

მესამე – ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს ხშირ შემთხვევაში გააჩნიათ ბუნებრივი სტატუსი, მაგალითად: ასეთი კონფლიქტების ძირითადი მიზეზი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური სტატუსი ხდება, ამიტომაც კონფლიქტის დარეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ხდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების შეცვლა, რომლის შემდეგაც ერთ-ერთი მათგანის ეკონომიკური და პოლიტიკური სტატუსი სხვა ჯგუფების მიერ აღიქმება, როგორც გარდაუვალი. ამასთან კონფლიქტის მიზეზი, შეიძლება გახდეს არა მარტო ბრძოლა, სტატუსის ამაღლებისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ასევე არსებული სტატუსის დაკარგვის საშიშროება.

მეოთხე – ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები – არა მარტო ინტერესების კონფლიქტი არის, არამედ იდენტურობის კონფლიქტებია. რამდენადაც კონფლიქტში მონაწილეობა უპირატესად ჯგუფურ მოტივებზეა დაფუძნებული აუცილებლად გვთავაზობს კონფლიქტში მონაწილე ადამიანის გამოყოფას ჯგუფისაგან, მის ეთნიკურ იდენტიფიკაციას. როგორც აღნიშნავს ამერიკელი პოლიტოლოგი ტ. გური:

‘ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში ბრძოლა წარმოებს არა მხოლოდ მატერიალურ ან ძალაუფლებრივ პრობლემებზე, არამედ ჯგუფის კულტურის, სტატუსისა და იდენტურობის დაცვისათვის“.

ეს ბადებს ‘კულტურული ტრადიციების კონკურენციის“ ფენომენს. ძალიან ხშირად მრავალეროვანი სოციუმის

ჩარჩოებში ბრძოლა ნაციონალურ ან ეთნიკურ ტრადიციებს შორის, ბრძოლა 'ისტორიული მემკვიდრეობისათვის" ან კონფლიქტები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის. არსებობს მძაფრი მეტოქეობა რელიგიური, ეთნიკური მრავალკონფესურ ან მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, რელიგიური ტრადიციების ურთიერთწინააღმდეგობა და ა.შ.

მეხუთე, პოლიტიკურმა კონფლიქტმა თავისი განვითარების პროცესში შეიძლება შეიძინოს ეთნიკური ხასიათი. სხვადასხვა დონის პოლიტიკური ელიტების კონფლიქტები, მაგალითად სახელმწიფოებრივი და რეგიონალური, შეიძლება აღმოცენდეს როგორც რესურსული, მაგრამ მათი იგნორირებისა და მათი მოგვარების უიღბლო მცდელობების შემდეგ ისინი შეიძლება იდენტურ კონფლიქტებად გადაიქცნენ. ამასთან რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება კონფლიქტი, მით უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება ამ კონფლიქტში.

მეექვსე – ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები მაღალი ხარისხის ირაციონალურობით გამოირჩევა, რომელიც აგრესიულობის დიდი პოტენციალით გამოიხატება, სიძულვილითა და ღვარძლით, რომელიც კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესების და ურთიერთქმედების სტრატეგიების არჩევის რაციონალური ცნობიერების ჩარჩოებიდან გამოდის.

მეშვიდე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დინამიკის სპეციფიკური მახასიათებელი დაკავშირებულია მის ირაციონალურობასთან, ჩნდება კონფლიქტის ესკალაციის დიდი პოტენციალი და, როგორც წესი, მისი სწრაფი ესკალაცია.

მერვე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისათვის დამახასიათებელია დესტრუქციული პოტენციალის სრული დომინირება კონსტრუქციულზე, რამდენადაც კონფლიქტის მონაწილეები, როგორც წესი, 'ფასეულობების კოორდინატების" სხვადასხვა სისტემებში არსებობენ.

მეცხრე – პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი მრავალფაქტორიანია, მათ გააჩნიათ კონფლიქტის რამდენიმე ობიექტი და პრობლემური ზონა, მაგალითად ტერიტორიული დავა, ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკური ან სოც-ეკონომიკური სტატუსი. ისეთი სოციალური რესურსი როგორიც განათლება არის, რთავს თავის თავში როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ სიმბოლურ შემადგენელს. ერთი მხრივ, განათლების ხელმისაწვდომობა დაკავშირებულია ჯგუფის წევრების სოციალური სტატუსის ამაღლებასთან. მეორე მხრივ – ეროვნული სკოლებისა და უნივერსიტეტების მრავალფეროვნება სიმბოლური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეთნიკური საზოგადოებისათვის. საკუთარი უნივერსიტეტი ჯგუფის სიამაყის საგანია. არ არის შემთხვევითი, რომ უნივერსიტეტის დახურვა ხშირ შემთხვევაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ხდება, ან მისი ესკალაციის. ასე მოხდა 1990 წ. დასაწყისში სოხუმში (აფხაზეთი) და პრიშტინა (კოსოვო). ამიტომაც კრიტიკული რეფლექსიები ითხოვენ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების როგორც ეკონომიკური, ისე კულტუროცენტრისტულ მოდელებს, რომლებიც კონფლიქტის წარმოქმნას ერთი 'გადამწყვეტი" ფაქტორით ხსნიან.

მეათე – ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მიზეზები რთულად მოგვარებადია, რთულია დაკმაყოფილების გზების პოვნა, როგორც არამატერიალური რესურსებისა, ასევე სტატუსის ამაღლების მოთხოვნა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოება, პოლიტიკური ძალაუფლებისადმი ხელმისაწვდომობა და ა.შ. ამიტომ უნდა ვისაუბროთ კონფლიქტის დარეგულირებაზე, 'გაყინვაზე" ან ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დესტრუქციულად გადაქცევაზე, ვიდრე მის გადაწყვეტაზე.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის როგორც სოციალურ-პოლიტიკური კონფლიქტის ნაირსახეობა, სუბიექტები, რომლებიც ახდენენ საკუთარი თავისა და მოპირდაპირე მხარის ეთნიკურ კატეგორიებში იდენტიფიცირებას, რომლის შემადგენელიც არის ბრძოლა, პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილით.

## 4.2. ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია, როგორც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ჩასახვისა და განვითარების ფაქტორი

'მობილიზაციის" საერთო გაგება ფართოდ იხმარება სოციოლოგიაში საზოგადოებრივ მოძრაობებში, და უბრალოდ პოლიტიკურ ლექსიკაშიც. ის აღნიშნავს მზადყოფნას მოქმედებებისათვის ან თვითონ მოქმედებებს. პოლიტოლოგიაში ტერმინი 'მობილიზაციის' არსი ახლოს დგას 'პოლი-

ტიზაციის“ ცნებასთან. კ. ჯენიკსი მობილიზაციას განსაზღვრავს, როგორც პროცესს, რისი საშუალებითაც ჯგუფი იღებს და იყენებს რესურსებს დასახული მიზნების მისაღწევად. რუსი ეთნოლოგი მ.ნ. გუბოგლი ეთნიკურობას უწოდებს დასახული მიზნების მიღწევის ორგანიზებულ საშუალებას, 'მობილიზირებული ეთნიკურობით“.

თავის მხრივ 'რესურსები“ არის მობილიზაციის პოტენციალი, ეგრეთ წოდებული საშინაო რესურსები (საშუალება, მეთოდები, ორგანიზაციის ფორმები, ლიდერობის სტილი, ჯგუფის მიერ გამოყენებადი იდეოლოგიების) და საგარეო რესურსები (სოც-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები), რომლებიც დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას უწყობენ ხელს.

საშინაო და საგარეო რესურსების და ფაქტორების თავსებადობა, რომლებიც ხელს უწყობენ ან ეღობებიან, ხელს უშლიან მიზნების მიღწევას, ამერიკელი სოციოლოგების მიერ ჩ. ტილი, ს. ტეროუსა და სხვების მიერ შემოღებულ იქნა ცნება 'პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურა“, რომლებიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რესურსების სტრუქტურა, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივი მოძრაობების შექმნის ალბათობას, მათი საქმიანობის ფორმებს (კონფლიქტი თუ კონსესუსი) და ეფექტურობას.

პოლიტიკური მობილიზაციის პროცესის ანალიზი უნდა შედგებოდეს შემდეგი აუცილებელი ნიშნებისაგან:

1) რესურსების გამოვლენა, იმ რესურსების გამოვლენა, რომლებიც მობილიზაციის პროცესის დაწყებამდე ჯგუფის განკარგულებაში იყვნენ.

2) ამ რესურსების გამოყენების პროცესის ანალიზი.

3) რესურსების გაზრდის შესაძლებლობების ანალიზი.

ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია – ეს არის პროცესი, როლის საშუალებითაც ჯგუფი, რომელიც ერთ ეთნიკურ კატეგორიას განეკუთვნება, პოლიტიკური ძალაუფლების და ლიდერობის მოსაპოვებლად მანიპულირებს მეორე ეთნიკურ ჯგუფთან ან სახელმწიფოსთან ეთნიკური წეს-ჩვეულებებით, ფასეულობებით, მითებითა და სიმბოლოებით პოლიტიკური მიზნებისათვის, იყენებენ მათ როგორც მთავარ რესურსს საერთო იდენტურობისა და სახელმწიფო პოლიტიკური ორგანიზაციის მოპოვებისათვის.

'პოლიტიკური შესაძლებლობის სტრუქტურაში" პირველი კომპონენტი ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია შეიძლება ვუწოდოთ ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის საშინაო რესურსების გამოყენების პროცესს. ეს პროცესი, როგორც წესი, ეტაპებად მიმდინარეობს.

პირველი ეტაპი – ტრადიციების კონსტრუირება და 'ეროვნულობის" მობილიზაცია. ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის ეს ეტაპი გვთავაზობს ინტელექტუალების მიერ ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, სიმბოლოების და განსაკუთრებით ენის აღდგენასა და რეკონსტრუირებას. ამ ფასეულობების ფართო მასებში პოპულარიზაცია და გავრცელება განსაკუთრებული ეთნიკური, ეროვნული იდენტურობის მოსაპოვებლად.

მეორე ეტაპი – ეთნიკური/ნაციონალური მემკვიდრეობის პოლიტიზირება. ამ ეტაპზე ეთნიკური საზოგადოების ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ენაც კი, იძენენ პოლიტიკური რესურსის ფუნქციებს. ეთნიკურობის ინსტი-

ტუალიზაცია ხდება. იწყება ეროვნული მოძრაობის ფორმირების პროცესი, ეს პროცესი გამოიყენება პოლიტიკურ ბრძოლაში. ის რაც ადრე ტრადიციულად ითვლებოდა, ახლა კულტურული და პოლიტიკური ბრძოლის იარაღი ხდება ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისა და მოპოვებისათვის. ამასთან, თაობიდან თაობას გადაცემული ისტორია არის მხოლოდ 'ნედლეული", რომელიც საფუძვლად უდევს ნაციის ჭეშმარიტი (უტყუარი) ისტორიის კონსტრუირებას. ხდება 'სიძველის ხატების" ფორმირება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული თვითშეგნებისათვის. ერის ადრინდელი ისტორია ახლა ნაციონალურ კატეგორიებში განისაზღვრება. ამ ეტაპზე ჯგუფურ აზროვნებაში ვლინდება შინაგანი ეთნოპოლიტიკური არასრულფასოვნება, ან 'მსხვერპლი" ერის კომპლექსი. ამის საფუძველზე ხდება ეთნოპოლიტიკური ელიტების ფორმირება და იმ ეთნიკურ საზოგადოებაში ინსტიტუალიზაცია, რომელსაც არ გააჩნია ეთნიკური ელიტა. სხვა სიტუაციებში წარმოქმნილი ეთნიკური მოძრაობის ლიდერებმა შეიძლება განახორციელონ აქტიური შესაბამისი ხელისუფლების (სახელმწიფოს შემადგენელი რეგიონი) ეთნიკური პრობლემების დაინტერესების მიზნით, აიძულონ აღიარონ და მიიღონ ის, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსი. ამგვარად ეთნიკური ფაქტორი ხდება პრობლემა არსებული ხელისუფლებისათვის.

მესამე ეტაპი – 'ეთნიკური წმენდა". ეთნიკურ საზოგადოებას, მის კულტურას ამ ეტაპზე აქცევენ, აქცევენ აბსოლუტურ საკრალურ ფასეულობად, რომელიც უნდა დაიცვან სხვა კულტურების და ჯგუფების ზეგავლენისაგან. ის ნებისმიერი ძალით უნდა დარჩეს ფასეულობა, მასსა და

სხვებს შორის უნდა გატარდეს მკვეთრი საზღვარი. ამ სიტუაციაში ეთნონაციონალიზმისათვის დამახასიათებელი საერთო წარმომავლობის იდეა იღებს კონფრონტალურ ხასიათს. ეთნოცენტრიზმი ლოგიკურად 'ეთნიკური სისუფთავის" მოტივს ექვემდებარება.

ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის სამფაზიანი სქემის მსგავს სქემას გვთავაზობს ჩეხი მეცნიერი გროხი. ფაზა A (ნაციონალური) ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის დამკვიდრების და რაციონალური მოძრაობის აღმოსავლობის აღწერისას. პირველი (ფაზა A) ხასიათდებოდა ცალკეულ პატრიოტულად განწყობილი იდეოლოგების გამოჩენით, რომლებიც თავიანთი ერის, კულტურის და ისტორიის პრობლემებზე მუშაობდნენ. ნაციონაულრი მოძრაობის აღმავლობამ გამოიწვია ნაციონალურპატრიოტული აგიტაცია (B ფაზა), როდესაც ნაციონალური ინტელიგენციის აქტივობა ხდებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების ფაქტი. ოპტიმალურ შემთხვევებში ეს ევოლუცია სრულდება მასობრივი ნაციონალური მოძრაობის წარმოქმნით, რომლებიც ეროვნული სახელმწიფოს შექმნის იდეით გამოდიოდნენ (C ფაზა).

გროხის აზრით, ეთნიკურ განვითარებაზე ყველაზე მეტად მოქმედებს ' ფაზა". გროხის მიერ წარმოდგენილი თეორიული სქემა გახდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ერის ჩამოყალიბების ორიენტირი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი კომპონენტია – 'მობილიზაციის საშინაო რესურსები".

ს. ოლზაკი და ჯ. ნეიჯელი გამოყოფენ ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის პროცესზე მოქმედ ფაქტორებს, რომლებიც საზოგადოებაში სოციალ-ეკონომიკური ცვლილებებს განაპირო-ბებენ.

ა) სოციუმის ურბანიზაცია, რომელიც ამძაფრებს საცხოვრებლად რაიონიდან ქალაქში გადასული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კონკურენციას.

ბ) ინდუსტრიალიზაცია, კონკურენციის გამძაფრება სამუშაო ადგილებზე.

გ) პერიფერიული რაიონების ეკონომიკური განვითარება ან პერიფერიებზე ეკონომიკური ზრდისათვის ახალი რესურსების აღმოცენება, კომპაქტური ეთნიკური პოპულაციებით დაკავებული, ეს, როგორც წესი, საფუძველს უდებს ეთნიკური პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების აღმოცენებას.

დ) ბოლოს, მობილიზაციას ადგილი აქვს ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დროს — ეთნოსის პოლიტიკური სტატუსის რადიკალური ცვლილება ზემოქმედებს ეთნიკურ ცნობიერებაზე და გარდაუვალს ხდის მასობრივ ეთნოპოლიტიკურ მოძრაობას.

რუსი მკვლევარი სიკევიჩი ამ სიას ავსებს ე.წ. 'ეთნიკური რისკით", რომელსაც განმარტავს ეთნიკური ფაქტორის ნეგატიურ ზემოქმედებას სოციალური სისტემის მდგრადობაზე.

ეს შემადგენელია

1. ტერიტორიების ეთნიკური შემადგენლობა, სახელმწიფოს ტიტულოვანი მოსახლეობის ან რეგიონის ეთ-

ნიკური უმრავლესობის ურთიერთობა ეროვნულ უმცირ-ესობებთან.

2. ეთნოტერიტორიული პრეტენზიების სხვადასხვაობა, განსაკუთრებით როდესაც ხდება მათი გამოყენება სახელმწიფოს პოლიტიკური ინსტრუმენტის სახით.

3. ადამიანთა უფლებების დარღვევა, სამოქალაქო უფლებების დარღვევა ეთნიკური ნიშნით ან ეროვნული უმცირესობის ნიშნით (სახელმწიფო ენის ცოდნა და სხვა).

4. ეროვნული უმცირესობის მისწრაფება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევი-სათვის, განსაკუთრებით თუ ეს ანკლავი ემეზობლება მცხოვრები ძირითადი ეთნოსის ტერიტო-რიას.

5. მეზობელი ეთნიკური საზოგადოების ეთნოკულტურული და კონფესიური განსხვავე-ბები.

6. ნახევრადეთნიკური საზოგადოების პირობებში ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის კურსი.

ეს მისია, აუცილებელია განვავრცოთ შემდეგი 'ეთნიკური რისკის" შემადგენლობით:

7. ლეგიტიმურობის ხარისხი, სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობა და სტაბილურობა, 'ცენტრალური" მმართველი პოლიტიკური ელიტის ორგანიზებულობა.

8. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ხასიათი და შემადგენლობა.

9. საგარეო გავლენა, საგარეო დახმარების იმედი და პირიქით, გაკიცხვის შიში, მაგალითად, მსოფლიო თანამეგობრობა ზემოქმედებას ახდენს ეროვნული მოძრაობის ლიდერების ქმედებებზე.

10. ტერიტორიული მდგომარეობა. თუ რესპუბლიკას ან ეთნიკურ საზოგადოებას არ გააჩნია საზღვრები, ის მიზნად ვერ დაისახავს სეცესიას რადიკალური სეპარატიზმს. საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკები, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები, ისევე როგორც აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ყარაბაღი, ჩეჩნეთი გააჩნიათ საგარეო საზღვრები. ასეთი საზღვრების არარსებობა ზღუდავს სეპარატიზმის ესკალაციას და აძლევს მშვიდობიანი, კონსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღების სტიმულირების საშუალებას.

11. პოტენციური კონფლიქტური რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შეცვლა (გაზრდა). გეოპოლიტიკური ფაქტორი კონფლიქტის მონაწილე მხარეებისათვის გახდა მიზნების მიღწევისა და კონფლიქტის ბაზების გაფართოების ინსტრუმენტი. საერთაშორისო მხარდაჭერა ბაზების გაფართოების ინსტრუმენტი. საერთაშორისო მხარდაჭერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია ეთნიკურ კონფლიქტებში, ყველაზე მნიშვნელოვანი სეპარატიზმზე აღმოცენებული კონფლიქტებია. კავკასიას დასავლურ ანგლო-ამერიკულ კვლევებში სულ უფრო აიგივებენ ახლო აღმოსავლეთთან (Middle East), უფრო ზუსტად, როგორც 'ახლო" ან 'დიდი" ახლო აღმოსავლეთი, ეს კი რადიკალურად ცვლის რეგიონის გეოპოლიტიკურ კონსტრუქციას. დაჩქარდა რუსეთის გამოძევების პროცესი ამ გეოპოლიტიკური არეალიდან, რაც გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიაში ეთნოპოლიტიკურ სიტუაციაზე. ამიტომ მოსალოდნელია არა მარტო გამძაფრება, არამედ მოცემულ რეგიონში არსებული ყველა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია.

12. საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური დაყოფა (კლასობრივი, სტატუსობრივი), რაც ღებულობს ეთნიკურ ფორმას, ასევე ზრდის კონფლიქტურ პოტენციალს, რამდენადაც სოციალ-ეკონომიკური ძალაუფლება ემყარება ეთნოპოლიტიკურ ძალაუფლებას და ემატება ეთნოკრატიის ელემენტები. ინტელექტუალური რესურსი უზრუნველყოფს დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობის ცივილიზებულ ხასიათს, საერთო ინტერესების გათვალისწინებას, კომპრომისის შესაძლებლობა, მაგრამ რიგ შეიარაღებულ ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებს წინ უსწრებდა ისტორიკოსებისა და მეცნიერების დავები. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, 1990 წელს წინ უსწრებდა დავა იმის შესახებ, თუ რა ენაზე იყო შესრულებული წარწერა უძველეს ძეგლებზე, მონაწილეობას ღებულობდნენ ვლადისლავ არძინბა (განათლებით – ისტორიკოსი) და ზვიად გამსახურდია (ფილოლოგი). ასეთივე დავა უსწრებდა წინ კონფლიქტებს მთიან ყარაბაღსა და კოსოვოში.

13. განათლებული ადამიანების გარდაქმნა.

14. რეგიონებიდან მასობრივი მიგრაცია – სერიოზული რასობრივი და კულტურული განსხვავებებით. ამ პრობლემას შეეჯახნენ დასავლეთის განვითარებული ქვეყნები, რუსეთშიც არსებობს იგივე პრობლემა.

ეს სია არ არის ამომწურავი და შეიძლება მისი განვრცობა, მაგრამ ამ ფაქტორების სახესხვაობა – გარდაუვალს ხდის ეთნოპოლიტიკურ მობილიზაციას და კონფლიქტის ესკალაციას. 'საგარეო რესურსების“ მოცემული ჩამონათვალიდან, ყველა სოციუმის მოდერნიზაციის შედე-

გად გაჩნდა, დღეს კი ეკონომიკური და კულტურული გლობალიზაციის პროცესთან ერთად ღრმავდება.

პირველ რიგში მოდერნიზაციის პროცესები, ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია და ერის ფორმირება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მეორე ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის საბოლოო მიზანი (ხშირ შემთხვევაში არის ერი-სახელმწიფო). მესამე – პოლიტიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალური, ეროვნული, რელიგიური და ეთნიკური მოთხოვნების ერთობლიობა – მასების ეთნოპოლიტიკური მობილიზაციის უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე ნაციონალისტური ლოზუნგები. მეოთხე – მასობრივი ეთნიკური მობილიზაციის შემთხვევაშიც მოსახლეობის გამოსვლა, ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ არის მხოლოდ გავრცელებული პოლიტიკური მითი. მეექვსე – ეთნოპოლიტიკური მობილიზაციისა და კონფლიქტების სხვადასხვა ვარიანტები შეიძლება აღმოვაჩინოთ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, ყოფილ საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკებში. როგორც ტიშკოვი აღნიშნავს, პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანა აგრძელებს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას 'ტიტულოვანი" ეთნიკური საზოგადოების სახელით და ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას ანიჭებენ არა ნაციის წევრის სტატუსს ან არც კი არიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები. ეს ეთნიკური გამონაკლისს პოლიტიკა, თუმცა შეიძლება მას ოფიციალურად ზოგიერთ ქვეყანაში უწოდებდნენ 'ინტეგრაციის პოლიტიკას" (ფაქტობრივად ასიმილაცია ან ჯგუფის სტატუსს არ აღიარებს), გახდა ძირითადი შინაგანი გამოწვევა არსებული სამოქალაქო პოლიტიკური თანამეგობრობის.

## 4.3. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების თავისებურებანი

ეთნოპოლიტიკური მობილიზაციასთან ერთად შესაძლებელია ეთნოპოლიტიკური დემობილი-ზაცია. ამ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს:

– დროის ფაქტორი: მასობრივ ორიენტაციაში და ხალხის წარმოდგენებში ეთნოპოლიტი-კური წესების მოკლევადიანი დომინირება.

– სუბიექტური ფაქტორი – პოლიტიკური ელიტის კომპრომისზე წასვლის მზადყოფნა, წარმოქმნილი კრიზისის დროული გადაჭრა და ა.შ.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირების 5 ძირითადი ხერხი არსებობს:

1. კონსოციაცია – ეთნიკური ჯგუფების ინკორპორაცია და, უპირველეს ყოვლისა, ელიტების სახელმწიფოს პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში.

2. სინკრეტიზმი – ეთნიკური მრავალფეროვნება, ფაქტობრივად ეთნიკურობის დეპოლიტი-ზაციის პირობებში.

3. ფედერალიზაცია – ხელისუფლების დეცენტრალიზაცია და მისი დაყოფა ვერტიკალურად, ძალაუფლების გადაცემა რეგიონალური, ფაქტობრივად ეთნიკურ საზოგადოებას.

4. მოქალაქეობის მინიჭება არა სისხლით, არამედ დაბადებით, რაც ნებისმიერ ადამიანს აძლევს საშუალებას მოქალაქეობის მინიჭებისა, რომელიც დაიბადა ეროვნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სიმბოლიკური პოლიტიკა – საერთო ისტორიული სიმბოლურის, საერთო გმირების ძიება.

იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის დარეგულირებაში, საჭიროა მთელი რიგი წინასიტყვაობისა. ეთნიკურობა უნდა იყოს მაქსიმალურად დეპოლიტიზირებული, მას პრიორიტეტად ადამიანის უფლებები და პიროვნების თავისუფლება უნდა ჰქონდეს. ნაციონალიზმი არ უნდა გადავიდეს ეთნონაციონალიზმში, პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში ეთნიკურმა ფაქტორმა არ უნდა ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, არამედ პოლიტიკური სფეროდან საერთოდ უნდა გამოირიცხოს.

უნდა გახსოვდეს, რომ ღია ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების არდაშვება, მათი დარეგულირების პრევენციული ზომები უფრო ეფექტურია, ვიდრე მხარეების კონსტრუქციული ურთიერთობების ფორმირება. თუმცა მრავალეთნიკური ქვეყნების უმრავლესობისათვის ამ პრინციპების რეალიზაცია – შორეული მომავლის საქმეა.

## თავი 5.

## რელიგიური ფაქტორი პოლიტიკურ კონფლიქტებში

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს უამრავი რელიგია და რელიგიური რწმენა. ისეთი მსოფლიო რელიგიების ასაკი როგორიც არის ქრისტიანობა და ბუდიზმი, იუდაიზმი ითვლის ათასწლეულებს. კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე რელიგია რჩებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან შემდგენელ ელემენტად. სულიერი ორიენტირების, საყრდენი წერტილების ძიებას მივყავართ თანამედროვე მსოფლიოში რელიგიური ფაქტორის ზრდამდე. ეს უფრო მეტად დაკავშირებულია იმაზე, რომ რელიგია არის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს სოციალურ სისტემების ნორმებს, ღირებულებებს, ჩვეულებებს, რწმენას, რიტუალებს, ქცევის სტანდარტებს.

ცნება რელიგიის მრავალი განმარტება არსებობს. სოციოლოგიურ მეცნიერებაში შეიძლება გამოვყოთ ამ რელიგიის განსაზღვრების ორი ძირითადი მიდგომა – შინაარსობრივი და ფუნქციონალური. შინაარსობრივ მიდგომაში ყურადღება ეთმობა რელიგიის არსს. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ე. დურკეიმი აღნიშნავდა, რომ რელიგია დაკავშირებულია 'წმინდა საგნებთან". ის კოლექტიური საქმიანობა, რომელშიც ჩართულია სოციალური ჯგუფი. ასე რომ, რელიგია უნდა განვიხილოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სოციალური ფენომენი, რომელსაც შესწევს საზოგადოების გაერთიანების უნარი. ფუნქციონალური მიდგ-

ომა დაკავშირებულია რელიგიური ქმედებებისათვის დამახასიათებელი თვისებების შესწავლით. ფუნქციონალური თეორიის თანახმად, ნებისმიერ მტკიცებულებასა და რწმენაში, რომელშიც ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური საკითხები წყდება შეიძლება ვუწოდოთ რელიგია. ამ მიდგომის ფუძემდებლად ითვლება მაქს ვებერი. მის გამოკვლევებში შესწავლის ობიექტია პიროვნება, რომელიც თავისი ღირებულებებით გავლენას ახდენს რელიგიაზე.

ამ მიდგომის საფუძველზე ფორმულირდება რელიგიის საერთო სოციოლოგიური განმარტება – რელიგია ეს არის ფენომენი, რომელიც აერთიანებს კულტურულ, სოციალურ და პიროვნულ სისტემებს ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურაში, რომელიც ახდენს გავლენას საზოგადოების შეცვლასა და განვითარებაზე. რელიგია არის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანული ნაწილი, ადამიანთა სოციუმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე კავშირები რელიგიასა და საზოგადოებას შორის ვარირებს. რელიგია ასევე შედის კულტურის გაგებაში – ერთი მხრივ რელიგიური ცხოვრების ტიპი დაკავშირებულია განსაზღვრული რეგიონის კულტურასთან, მეორე მხრივ კულტურა ერწყმება რელიგიას და ფუნქციონირებს მის საფუძველზე.

რელიგიას, როგორც სოციალურ ინსტიტუტს აქვს საკუთარი სტრუქტურა. რელიგიური სწავლება, რომელიც ჩვეულებრივ ფიქსირებულია წმინდა წერილში წარმოადგენს რელიგიის მნიშვნელოვან ნაწილს. ქრისტიანულ რელიგიაში ასეთი წმინდა წერილი არის 'ბიბლია", ისლამში 'ყურანი". რელიგიური სტრუქტურის ცენტრში არის კულტი – რიტუალების სისტემა, რომელიც სამღვდელოებისა და მორ-

წმუნეების მიერ ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთქმედების მიზნით ხორციელდება. ასეთი სახის რიტუალებს განეკუთვნება საეკლესიო მსახურება: ლოცვები,მსვლელობები, ქადაგებები. რელიგიის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკლესიას – რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც მორწმუნეებს აერთიანებს. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეკლესია განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებდა, მაგრამ მისი როლი ყოველთვის დიდი იყო.

ისევე როგორც სხვა დანარჩენი ინსტიტუტი, რელიგიაც ასრულებს საზოგადოებაში განსაზღვრულ ფუნქციებს. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფუნქციები:

1) მსოფლმხედველური. რელიგია გვიჩვენებს აბსოლუტებს, რომელთა დახმარებითაც შეიცნობა მსოფლიო და ხდება საზოგადოების შეფასება.

2) კომპენსატორული. რელიგია და რელიგიური რწმენა ავსებს შეზღუდულობას, ეხმარება ადამიანებს საკუთარი უსუსურობის განცდის გათავისუფლებაში, ხსნის ფსიქოლოგიურ დაძაბულობას.

3) კომუნიკაციური. კომუნიკაციის ორი დონე გამოიყოფა: 1) მორწმუნეების ურთიერთობა ერთმანეთთან. 2) მორწმუნეების ურთიერთობა ღმერთთან ლოცვით.

4) მარეგულირებელი. ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების,სტერეოტიპების,წეს-ჩვეულებების მეშვეობით ხდება. ინდივიდებისა და ჯგუფების საქმიანობის მართვა.

5) ინტეგრირებული. რელიგია ახდენს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფაქტორზე სტაბილურობის შენარჩუნებას.

6) კულტურის გამტარებელი. რელიგია არამარტო უწყობდა ხელს კულტურის განსაზღვრული ფენების განვითარებას (ხატწერა, დამწერლობა, ხელოვნება), რამედ ახდენდა ამ მემკვიდრეობის თაობიდან თაობაზე გადაცემას.

7) ლეგიტიმური. რელიგიამ შეიძლება მოახდინოს ზოგიერთი საზოგადოებრივი წესების, ინსტიტუტების, ურთიერთობების, ნორმების ლეგიტიმაცია.

რელიგია ზემოქმედებს სახელმწიფოსა და პოლიტიკაზე, ეროვნებათშორის ურთიერთობებსა დაა ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და ოჯახებზე ინდივიდების, ორგანიზაციების, ჯგუფების მეშვეობით. მაგრამ რელიგიის ზემოქმედება იცვლება საკრალიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესებთან ერთად. საკრალიზაციის პროცესი აღნიშნავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესიის როლის გაზრდას, მაშინ როცა სეკულარიზაციის პროცესი ნიშნავს საზოგადოებრივი ინსტიტუტების გათავისუფლებას საეკლესიო გავლენისაგან.

## 5.1. რელიგია და პოლიტიკა

საზოგადოებაში კითხვა რელიგიისა და პოლიტიკის თავსებადობის შესახებ არა არის მარტივი. რა არის პოლიტიკა? ამ ცნების ერთიანი განმარტება არ არსებობს. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი თვლიდა, რომ პოლიტიკა განსაზღვრავს როგორც ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. ცნობილი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი ბისმარკი პოლიტიკას განმარტავს როგორც შესაძლებლობების ხელოვნებას. ერთი მხრივ პოლიტიკა აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას, არეგულირებს ურთიერთობებს

სოციალურად დიფერენცირებულ საზოგადოებაში. მეორე მხრივ, პოლიტიკა არის სწრაფვა ძალაუფლებისაკენ განსხვავებული სოციალური ჯგუფებისა და ცალკეული ინდივიდების ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობას მივყავართ იქამდე, რომ პოლიტიკის სფერო ეს არის პოლიტიკური ბრძოლის, კონფლიქტების და კონკურენციის სფერო.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რელიგია საზოგადოებაში ასრულებს მარეგულირებელ ფუნქციას, ცდილობს უზრუნველყოს თანასწორობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება. ბევრ რელიგიაში შეიძლება აღმოვაჩინოთ კავშირი პოლიტიკურ და საეკლესიო ძალაუფლებას შორის. საუკუნეების განმავლობაში ტრადიციული მუსლიმანური სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იყო სახელმწიფო და საეკლესიო ძალაუფლების შერწყმა. სახელმწიფოს მეთაური ხალიფა-ფადიშაჰი ითვლებოდა.

'მუჰამედის" მოციქულად უმაღლესი სამღვდელოება ასრულებდა პოლიტიკურ მრჩევლის როლს, სისხლისა და სამოქალაქო სამართალი აღმოცენებული იყო რელიგიურ კანონებზე – შარიათზე. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო: ოჯახი, კულტურა, სამართალი, პოლიტიკა – განიცდიდნენ ისლამის ზეწოლას. რაც უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში რელიგიური ფაქტორი, მით უფრო დიდ ზეგავლენას ახდენდა ის სახელმწიფოზე.

შეიძლება გამოვყოთ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის სამი ძირითადი ისტორიული ტიპი.

1) ასე მაგალითად, მეთოთხმეტე საუკუნეში ფრანგი მეფის ფილიპე VI-ის ბრძანებით რომაელი პაპების რეზიდენცია გადატანილ იქნა ქ. ავინიონში, რომელიც საფრანგეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ფრანგი მონარქები პაპებს პოლიტიკური მიზნებისათვის იყენებდნენ. ეს პერიოდი, რომელიც 1309-1377 წლამდე გრძელდებოდა 'ავინიონის ტყვეობად" იწოდება.

2) სახელმწიფოს დაქვემდებარება ეკლესიისადმი. ტრადიციულ ისლამურ სახელმწიფოებში სამღვდელოება ასრულებდა უმაღლესი ხელისუფლების ფუნქციებს, რომლებიც ბოლომდე აკონტროლებდნენ პოლიტიკურ სფეროს.

3) ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობლივი ჩაურევლობა. ასეთი სიტუაცია დამახასიათებელია თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში სახელმწიფო და რელიგია არსებობენ ერთმანეთის პარალელურად. რელიგია უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ღირებულებების აღმოცენას და მათ მხარდაჭერას, მათ შორის პოლიტიკურიც, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების დამოკიდებულებას კანონებსა და ხელისუფლებაზე. რელიგიური ორგანიზაციები აქტიური იდეოლოგიური საქმიანობით იღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში.

რელიგიისა და პოლიტიკის ასეთი ურთიერთქმედება განპირობებულია იმით, რომ რელიგიური რწმენა ადამიანთა უმრავლესობისათვის არის ეროვნული კულტურის ნაწილი და განუყოფელია მათი ცხოვრების წესისაგან.

თანამედროვე მსოფლიოში შეიძლება ვისაუბროთ რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების სამ ძირითად ფორმაზე.

პირველ რიგში, რელიგიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. მაგ. 1991 წელს ერაყის ლიდერმა სადამ ჰუსეინმა კუვეიტზე თავდასხმა ახსნა იმით, რომ კუვეიტის სამეფო ოჯახი არ იქცეოდა ისლამის ნორმების შესაბამისად.

მეორე, რელიგიის ზეგავლენა პოლიტიკაზე. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეკლესია ცდილობს კანონმდებლობაზე ზემოქმედების მოხდენას საერთო მიღებული დემოკრატიული არხების მეშვეობით ისეთ სახელმწიფოებში, როგორიც არის ესპანეთი, პორტუგალია, იტალია – ეკლესია სახელმწიფოსთან კამათობს ოჯახისა და განათლების საკითხებზე.

მესამე, პოლიტიკური ინსტიტუტების საკრალიზაცია. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ იაპონია, სადაც ეროვნული რელიგია სინტოიზმი – იაპონური პოლიტიკური ინსტიტუტების სულიერი საფუძველია.

თანამედროვე მსოფლიოში რელიგია ისევ აგრძელებს იდეოლოგიური ფუნქციების შესრულებას, რაც ახდენს მის პოლიტიზირებას. ძალიან ხშირად განსაკუთრებით მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, სადაც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური უკმაყოფილება რელიგიური მღელვარებების ფორმით გამოიხატება. ასეთ შემთხვევაში რელიგია შეიძლება გამოვიდეს თანამედროვე იდეოლოგიების ალტერნატივად, კონსერვატიზმი ლიბერალიზმი და სოციალიზმი. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, რელიგიური რწმენა ნაციონალური კულტურის ორგანული ნაწილია. გლობალიზაციის პროცესებს, რომლებიც ტრადიციული საზოგადოების ვესტერნიზაციას ითვალისწინებენ, ნაციონალური ტენდენციებ-

ის გაძლიერებამდე მივყავართ, რელიგია ამ შემთხვევაში ნაციონალისტური პროგრამების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება.

## 5.2. რელიგიური კონფლიქტები თანამედროვე მსოფლიოში

არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებსაც რელიგიური კონფლიქტების აღმოცენება შეუძლია. ეს ფაქტორებია: სახელმწიფოთა ნახევრად კონფესიური ხასიათი. ასეთი ფაქტორის მოქმედების ნათელი მაგალითია – სიტუაცია ლიბანში. ლიბანი უნიკალური ქვეყანაა კონფესიების შემადგენლობით, მასში თანაცხოვრობდა ოცზე მეტი რელიგიური დაჯგუფება.

მოსახლეობის ნახევარზე მეტს მუსლიმანები შეადგენენ (სუნიტები, შიიტები, დრუზები) ლიბანელი არაბების 25% ქრისტიანი-მარონეტები არიან. ლიბანში ცხოვრობენ სომხები და ბერძნები, რომლებიც ქრისტიანობის მიმდევრები არიან, პალესტინელი ლტოლვილები მუსლიმანები არიან. საუკუნეების განმავლობაში თითოეული რელიგიური გაერთიანება ცდილობდა შეენარჩუნებინათ თავიანთი განსაკუთრებული ხასიათი, ამასთან კლანის მიმართ ლოიალობა უფრო მაღალ იდგა, ვიდრე სახელმწიფოს ერთგულება. 1943 წ. როდესაც ლიბანი სუვერენული სახელმწიფო გახდა, მიღებულ იქნა ნაციონალური პაქტი, რომელიც ითვალისწინებდა უმაღლესი თანამდებობების გადანაწილებას რელიგიური გაერთიანების წევრობის მიხედვით (რესპუბლიკის პრეზიდენტი – ქრისტიანი, პრემიერ-მინისტრი – სუნიტი

მუსლიმანი, პარლამენტის თავმჯდომარე – შიიტი მუსლიმანი) ქრისტიანმა მარონეტებმა, რომლებიც ტრადიციულად შეადგენენ ლიბანელი მოსახლეობის მეტ-ნაკლებად გავლენიან ნაწილს, ძალაუფლების ასეთი გადანაწილების შედეგად გაიმყარეს პოზიციები ქვეყანაში, რამაც გამოიწვია მუსლიმან მოსახლეობაში უკმაყოფილება. 1958 წ. გაერთიანებული არაბეთის საამიროს შექმნამ გაააქტიურა ლიბანში მუსლიმანთა საქმიანობა, რამაც საქმე მიიყვანა შეიარაღებულ კონფლიქტამდე. 1960 წ. ლიბანი ჩათრეულ იქნა არაბეთის კონფლიქტებში, ექვსდღიანი ომის შედეგად 1967 წ. პალესტინელ და იორდანელ ლტოლვილთა ნაკადის შემდეგ ის გახდა ისრაელის საწინააღმდეგო პოლიტიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. 1975-76 წ. შეჯახებები ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის გადაიზარდა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში. მუსლიმანთა კოალიციაში შევიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (ოოპ), მარონეტი ქრისტიანების დასახმარებლად გამოვიდა ისრაელი. არაბეთის სახელმწიფოთა ლიგის შუამავლობის შედეგად ქვეყანაში სიტუაცია დარეგულირდა, ლიბანი-ისრაელის საზღვარზე შეიქმნა ბუფერული ზონა. 1982 წელს ისრაელის ჯარები შეიჭრნენ დასავლეთ ლიბანის ტერიტორიაზე, პალესტინური ორგანიზაციის გამოსაძევებლად და სიტუაციის დარეგულირების მიზნით შეყვანილ იქნა ნაციონალური ძალები (ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და იტალია). მუსლიმანური კოალიცია (მოძრაობა ამალი, რომელსაც მხარს უჭერდა სირია, ხესბოლა, რომელსაც მხარს უჭედა ირანი) არ აღიარა ლიბია-ისრაელის შეთანხმება და განახორციელა უცხოეთის ჯარების მიმა-

რთ დივერსიული ქმედებები, რის შედეგადაც 1984 წელს ლიბანის ტერიტორია დატოვეს უცხოეთის ჯარებმა, ქვეყანაში რჩებოდნენ სირიის შეიარაღებული ძალები, რის შედეგად ლიბანის სუვერენიტეტის ნაწილობრივ შეზღუდული იყო.

2005 წელს როდესაც ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხარირი იქნა მოკლული, ამ მკვლელობით, განპირობებული მასობრივი გამოსვლების შედეგად, დასავლური ქვეყნების შემდეგ სირიის ჯარებმა დატოვეს ლიბანის ტერიტორია. ახალმა პროდასავლურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყანაში სიტუაციის კონტროლი და უთანხმოება კონფესიებს შორის ისევ გამძაფრდა.

საზოგადოებრივი განვითარების ეს თავისებურებები იმაზე მიგვითითებს, რომ რელიგიური ფაქტორი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო კონფლიქტებში.

რა უდევს საფუძვლად ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ჯვაროსნული ლაშქრობები ან თანამედროვე ისლამი ფუნდამენტალისტების ტერორისტული აქტები, ერთი შეხედვით, აგრესიული მოქმედებების საფუძველი რელიგიური რწმენაა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ რელიგია თავიდანვე იმ ნორმებისაგან შედგებოდა, რომლებიც ძალადობისა და ექსპანსიისაკენ მოუწოდებდნენ? მსოფლიო რელიგიები – ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი კლასიკურ ვარიანტში აღმოცენებულნი არიან მოთმინებას და კაცთმოყვარეობაზე, ისინი არ მოუწოდებდნენ ბრძოლისა და ექსპანსიისაკენ. რელიგია და ეკლესია ზემოქმედების მოხდენის განსაკუთრებული შესაძლებლობებს ფლობენ (მღვდელმსახურების

მონოპოლიას იქამდე მივყავართ, რომ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დოგმატებს). მაგალითად, მუსლიმანი ფუნდამენტალისტები ცნება ჯიჰადს იყენებენ – მუსლიმანური რწმენის გასავრცელებლად. არაბული ენიდან ჯიჰადი ითარგმნება როგორც 'ძალისხმევა". თუ პირველ საუკუნეებში ჯიჰადი განიმარტებოდა როგორც თავდაცვითი ომი, XIV საუკუნიდან ჯიჰადის კონცეფცია რთულდება. მისი უმაღლესი გამოვლინებაა სულიერი ჯიჰადი – შინაგანი სრულყოფა ალაჰის გზაზე. ჯიჰადი შეიძლება განვმარტოთ როგორც მაქსიმალური ძალისხმევა სახელმწიფოს ასაყვავებლად და ტერაქტების გამართლება. ყველაფერი დამოკიდებულია ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერის ამოცანებზე. რასაკვირველია, არ შეიძლება უარვყოთ ის ფაქტი, რომ ისლამში თავიდანვე ჩადებულია პროზალტიზმი და გარკვეული აგრესიულობა რწმენის გავრცელების საკითხებში. ისლამის ეს თავისებურებები განაპირობებენ მის გამოყენებას პოლიტიკური პლატფორმის სახით. ბუდიზმი კი პირიქით, უაღრესად მშვიდობიან ხასიათს ატარებს. მაგრამ ზოგიერთი აღმოსავლეთმცოდნე უარყოფს ბუდიზმის მშვიდობიან ხასიათს, კანონიკურ ბუდისტურ ტექსტებში შეიძლება აღმოვაჩინოთ დამპყრობლური პოლიტიკის აუცილებლობა და გამართლება.

გერმანელი ფილოსოფოსი შმიდტი პოლიტიკის განსაზღვრისას პოლიტიკურ ქმედებებსა და მოტივებს ადარებდა მეგობრისა და მტრის დამოკიდებულებას. რელიგიური რწმენისა და სიმბოლოების გამოყენებით ნებისმიერ პოლიტიკურ კონფლიქტს ენიჭება საკრალურობა.

შიიტური პროირანული დაჯგუფება ჰეზბოლარი (ლიდერი შეიხი ნასრალა) აკონტროლებდა ლიბანის სამხრეთ რაიონებს, ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება ამ რაიონებში მინიმალური იყო. 2006 წლის ზაფხულში ჰეზბოლას მებრძოლების მოქმედებებმა ისრაელის ჯარების მორიგი შეჭრა გამოიწვია ლიბანის ტერიტორიაზე. ისრაელის ჯარებმა მასობრივი დაბომბვების სერია განახორციელა, რამაც გამოიწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ჰეზბოლას დაჯგუფების წინააღმდეგობის შედეგად ისრაელის საომარმა მოქმედებებმა ვერ მიაღწიეს თავიანთ საბოლოო მიზნებს. საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შემდეგ ისრაელის ჯარებმა დატოვეს ლიბანის ტერიტორია. რეგიონის სამხრეთ ნაწილებში შეიყვანეს ლიბანის ჯარების რეგულარული ნაწილები და საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, მაგრამ ლიბანის შიდაპოლიტიკური სიტუაცია, უპირველეს ყოვლისა, კონფესიურ სფეროში უკიდურესად დაძაბული დარჩა.

## 5.3. სახელმწიფო აღმშენებლობის თავისებურებანი

დიდი ხნის განმავლობაში აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა ევროპის კოლონია იყო. მათ დაახლოებით 50 წლის წინ მიენიჭათ დამოუკიდებლობა. ახალი სახელმწიფოები მეტროპოლიების სახით იქმნებოდა – ისტორიულად ჩამოყალიბებული გაერთიანებები (მათ შორის რელიგიურიც) გაუთვალისწინებლობით. საზღვრები კი ივლებოდა პოლიტიკური და სამხედრო კონიუქტურაზე დამოკიდებულებ-

ის მიხედვით. საბოლოოდ, გაერთიანებები, რომლებიც ერთი და იმავე რელიგიას აღიარებდნენ, აღმოჩნდნენ განცალკევებულნი. 1993 წ. მრავალწლიანი ომის შემდეგ პროვინცია ერითრია გადაიქცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სადაც ძირითადი რელიგია არის ისლამი, მაშინ როცა ეთიოპიის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანობის მიმდევრები არიან.

მოსახლეობის ცალკეული რელიგიური ჯგუფების დისკრიმინაცია, რომელიც ვლინდება სოციალურ-პოლიტიკურ უთანასწორობაში, ასევე განსაზღვრული კონფესიების წარმომადგენლების მიერ პოლიტიკური ელიტის დაუფლებაა. ასეთი სიტუაცია შეიქმნა, მაგალითად ერაყში, სადაც ისტორიულად არაბი სუნიტების უმცირესობა ბატონობდა, იმ დროს როდესაც, არაბი მოსახლეობის დიდი ნაწილი შიიტები იყვნენ. გარდა ამისა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ქურთები ცხოვრობენ. ასეთი რელიგია იყო როგორც მეფის დროს, ისე 1958 წლის რევოლუციამდე, მის მომდევნო რეჟიმებშიც, სადამ ჰუსეინის მმართველობის ჩათვლით. სუნიტების ბატონობამ უკმაყოფილება გამოიწვია შიიტი მოსახლეობის უმრავლესობაში. 1991 წელს მოხდა შიიტების აჯანყება. სუნიტებსა და შიიტებს შორის კონფლიქტმა თავი იჩინა 2003 წელის მოვლენების დროსაც. სადამ ჰუსეინის რეჟიმის, მთელი მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დაცემა გამოიწვეია იმან, რომ ერაყელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამერიკა-ინგლისის ჯარების შეჭრისას მხარს არ უჭერდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. ბოლო წლებში შიიტები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი დომინირებენ ხე-

ლისუფლების ახალშექმნილ ორგანოებში, სახელმწიფო უსაფრთხოებაში და შეიარაღებულ ძალებში. ეს თავის მხრივ აღვივებს კონფლიქტურ სიტუაციას და სუნიტი ბოევიკების ტერორისტულ საქმიანობას. ამავე ფაქტორმა მოახდინა კონფლიქტის პროვოცირება ფილიპინებში, სადაც დის-კრიმინირებული მუსლიმანი უმცირესობა 1969 წელს აჯან-ყდა 'კოლონიალიზმის" დამხობის ლოზუნგით.

ოპოზიციური რელიგიური მოძრაობის ეკონომიკური, სამხედრო, იდეოლოგიური ან პოლიტიკური მხარდაჭერა გარედან. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი იმ შემთხ-ვევაში შეიძლება ითამაშოს, თუ ორი ან მეტი სახელმწი-ფოს ტერიტორიაზე ერთი რელიგიის მიმდევრები თანაცხ-ოვრობენ. ამ ფაქტორის მოქმედება ნათელი ხდება სეპა-რატისტული მოძრაობის პრობლემების განხილვისას ინ-დოეთის შტატებში ჯამო და კაშმირში. 1947 წ. ინდოეთის იმ ნაწილმა, რომელიც ბრიტანეთს ეკუთვნოდა, მიიღო დამოუკიდებლობა,რელიგიური პრინციპის საფუძველზე ორი სახელმწიფო შეიქმნა – ინდოეთის კავშირი (მოსახლეობის უმრავლესობა – ინდუისტები) და პაკისტანი (მოსახლეო-ბის უმრავლესობა მუსლიმანები). ამასთან ინდოეთის კავ-შირის ტერიტორია პაკისტანს ყოფდა დასავლეთ (თანამედ-როვე პაკისტანი) და აღმოსავლეთ (თანამედროვე ბანგლადე-ში) ნაწილებად. სამთავროების გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება მიენიჭათ ინდოეთის ან პაკისტანის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე, სამთავრო – ქაშმირი ინდოეთის შემადგენლობაში შევიდა, მუსლიმანი მოსახლეობის უმრავლესობის მიუხედავად. კონფლიქტი ქაშმირში გადაიზარდა პირველი ინდო-პაკისტანურ ომში,

რომლის მსვლელობის დროსაც ამ რეგიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი პაკისტანს შეუერთდა, მეორე ნაწილი კი – ინდოეთს. ეს მიწები გარკვეულ რაიონებს შეუერთეს და შეადგინეს ინდური შტატები – ჯამო და კაშმირი. ამ შტატის სეპარატისტული მოძრაობის წარმომადგენლები ითხოვენ ერთმორწმუნეებთან პაკისტანთან შეერთებას. სიტუაციას ის ართულებს, რომ შტატის აღმოსავლეთ ნაწილი ისტორიულად ტიბეტს ეკუთვნოდა. 1949 წ. რევოლუციაში ჩინეთის გამარჯვებამ მასაც გაუჩინა ინტერესები ქაშმირის რეგიონთან დაკავშირებით, რადგანაც ტიბეტი ჩინეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს საქმეებში ერთმორწმუნეების უფლებების დაცვის მიზნით, მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ერაყ-ირანის კონფლიქტი, რომელიც 1980-88 წ. გრძელდებოდა. ამ კონფლიქტის მიზეზი იყო ბრძოლა რეგიონში დომინირებისათვის, ასევე ეკონომიკური ინტერესები – ბრძოლა სანავთობო ინტერესებისათვის სპარსეთის ყურეში. მაგრამ ამ ბრძოლის ერთ-ერთ ოფიციალურ მიზეზად სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირება იქნა დასახელებული. აღსანიშნავია იუგოსლავიის მოვლენები – იარაღის შემოტანაზე ემბარგოს დაწესების მიუხედავად, მუსლიმანები – ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იღებდნენ სხვა მუსლიმანი სახელმწიფოებიდან სამხედრო დახმარებებს, რაც ართულებდა კონფლიქტის გადაჭრის გზებს.

რელიგიის სფეროში პოლიტიკის ჩარევას მივყავართ ერთი და იმავე რელიგიის მიმდევრებს შორის კონფლიქტამდე. ასეთი სიტუაცია ჩამოყალიბდა თანამედროვე უკრაინა-

ში. ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში დამტკიცებულ იქნა უნია, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიას კათოლიკურ რომთან აკავშირებდა. უნიატურმა ეკლესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უკრაინული ნაციონალიზმის ფორმირებაში. საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის დროს უკრაინის ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა უნიატური ეკლესია, მისი შემოსავლები კი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა. გარდაქმნების ბოლო წლებში უნიატური ეკლესიის მომხრეები ეკლესიის ლეგალიზაციის მოთხოვნით გამოვიდნენ და მიაღწიეს კიდეც. საბოლოოდ უკრაინის დასავლეთ ნაწილში წარმოიქმნა წინააღმდეგობა მართლმადიდებლებსა და უნიატებს შორის. ამ რელიგიურ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთნენ ნაციონალისტური ორიენტაციის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მხარს უნიატებს უჭერდნენ. უკრაინული საზოგადოების რელიგიურ ცხოვრებაში პოლიტიკური ძალების ჩარევა ამით არ შემოიფარგლა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, უკრაინელი პოლიტიკური ლიდერები გამოვიდნენ ავტოკეფალიის მოთხოვნით, რუსეთის საპატრიარქოსგან გამოსვლის ლოზუნგით. ამის შედეგი იყო უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესიის დაშლა. უკრაინის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად, რომელიც ექვემდებარება მოსკოვის საპატრიარქოს და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტონომიური ნაწილი იყო, არსებობდა ე.წ. კიევის საპატრიარქოს მართლმადიდებლური ეკლესია. ამ ეკლესიას არ აღიარებდნენ სხვა მართლმადიდებლური ეკლესიები, მაგრამ ის სარგებლობდა მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის მხარდაჭ-

ერით, ზუსტად ამიტომ კიევის საპატრიარქოს მომხრეებს გადაეცემათ ტაძრები, მაშინ როდესაც უკრაინელი მართლმადიდებლების უმრავლესობა რუსული ეკლესიის მრევლია (უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია მოსკოვის საპატრიარქო). სიტუაცია ასეთია, უკრაინის დასავლურ ნაწილში დომინირებს უნიატური ეკლესია (ბერძნულ-კათოლიკური), ცენტრალურ რეგიონებში განსაკუთრებით აქტიურობს უკრაინული მართლმადიდებლური ეკლესია (კიევის საპატრიარქო), აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში არც პირველი და არც მეორე ეკლესიის მიმდევრები არ არიან, მორწმუნეების უმრავლესობა ექვემდებარება კანონიკურ მართლმადიდებლურ ეკლესიას (მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს). მოსახლეობის რელიგიური ორიენტაციის ასეთი ტერიტორიული კონფიგურაცია თითქმის მთლიანად ემთხვევა უკრაინის დაყოფას რეგიონებად, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი პოლიტიკური ორიენტაციით. ამ გარემოებებმა შეიძლება გააღრმავოს პოლიტიკური კონფლიქტები, რომლის გამოვლინება იყო ე.წ. 'ნარინჯისფერი რევოლუცია". ეს რევოლუცია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ უკრაინულ საზოგადოებაში პოლიტიკური დაპირისპირება ჯერ კიდევ შორს არის დასრულებამდე.

# თავი 6.
# ტერორიზმი და პოლიტიკური კონფლიქტები

## 6.1. ტერორიზმის არსი და ტიპოლოგია

ბოლო წლებში პოლიტიკური კონფლიქტოლოგიის აქტუალური ამოცანა გახდა თანამედროვე ტერორიზმის ფენომენის შესწავლა, რათა გამომუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები ურთიერთსაპირისპირო ტერორისტული საშიშროებისა და მისი თავიდან აცილების ძირითადად კონფლიქტურ ზონაში. საერთოდ, აზრობრივად ტერორი ნიშნავს ძალადობის გამოყენებას, იმისათვის რომ გამოიწვიოს შიშის გრძნობა თითოეულ ადამიანსა და ჯგუფებში, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ეს ძალადობა. ტერორი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, მაგრამ შეიძლება იყოს აგრეთვე მასობრივი, როგორც მსხვერპლთა რიცხვით, ისევე შემსრულებელთა რიცხვით. ტერორი შეიძლება იყოს ორგანიზებული, როდესაც მას ახორციელებს ტერორისტული ორგანიზაცია, პარტია ან სახელმწიფო, მაგრამ შეიძლება იყოს სტიქიური, სპონტანური, მაგალითად პროვოცირებული რომელიმე მასობრივი განადგურების ინციდენტით ამა თუ იმ ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების ან მომხრეების განსაზღვრული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების შიდაპოლიტიკური კონფლიქტების პირობებში.

ტერორის მეთოდების გამოყენებას ბადებს ისეთ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, როგორიცაა ტერორიზმი. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება ხედავს ტერორიზმში პოლიტიკური ექსტრემიზმის ერთ-ერთ უკიდურეს

ფორმას. ტერორიზმი თავისთავად წარმოადგენს სისტემატური გამოყენება ძალადობის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, მათ შორის პოლიტიკურიც. განსაზღვრული მიზნის მისაღწევი გზა ითვლის ორ ეტაპს: პირველად განხორციელდეს დაშინების აქტი, ხოლო მეორე ეტაპად ტერორისტები მართავენ და ხალხი მიჰყავთ მათთვის საჭირო მიმართულებით. ნებისმიერი ტერორისტული აქცია თავისთავად სტრუქტურით წარმოადგენს რთულ მოვლენას. პირველ ობიექტად შეიძლება იყოს ცალკე ფიზიკური სახე, სახეთა ჯგუფი და მატერიალური ობიექტი, მეორე ობიექტად – მართვის ობიექტი, რომელთაც შეიძლება ჩაითვალოს, საზოგადოებრივი დამოკიდებულების ფართო გაგებით, მაგალითად მოღვაწეობა სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი წესრიგი, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური წესწყობილება. ტერორიზმის სუბიექტი – განსხვავებულ საერთაშორისო და ნაციონალური ტერორისტული ორგანიზაცია, ასევე ცალკეული ტერორისტები, გამოსულები ამ ორგანიზაციების გადაწყვეტილების შესასრულებლად. ზოგიერთ შემთხვევაში ტერორიზმის სუბიექტად შეიძლება იყოს მთელი სახელმწიფო.

ძირითადად, არსებობს ტერორისტული მოღვაწეობის ოთხი ჯგუფი. პირველ ჯგუფს შეადგენს ტრადიციული ხერხებით განხორციელება ტერორისტული ძალადობის, პირდაპირი ფიზიკური ზიანის მიყენება სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ხალხის თავისუფლების შეზღუდვა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებით და სხვა.

მეორე ჯგუფის მეთოდები – გამანადგურებელი მოქმედება მატერიალურ ობიექტებზე: სამრეწველო დაწესე-

ბულებები, მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფის ობიექტები, ენერგეტიკის და კომუნიკაციების ობიექტები.

მესამე ჯგუფი მეთოდების – ეს არის ფსიქოლოგიური ტერორი. მათ მიეკუთვნებათ გახსნილი ან ანონიმური მუქარები, შედეგით ტერორიზმის ობიექტებისთვის ან მათი ახლობლებისთვის იმ შემთხვევაში, თუ არ შეასრულებენ ტერორისტების მოთხოვნებს.

მეოთხე ჯგუფს შეადგენს ორგანიზაციული ხასიათის მეთოდები. ეს არის აყვანა ტერორისტული ორგანიზაციების მონაწილეების, მათი სწავლა, ტერორისტების ორგანიზება ტერორისტული მოქმედების საშუალებით, ფინანსირება, უზრუნველყოფა დოკუმენტებით და კავშირით, თავშესაფრის მიცემით.

ტერორიზმის ტიპების გამოყოფის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი. სივრცის თვალთახედვიდან, რომელშიც ხდება ტერორისტული აქტები. ტერორიზმი შეიძლება იყოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო. იმისგან დამოკიდებულებით, როგორ პოლიტიკურ მიზნებს აყენებენ ტერორისტები და რით ამართლებენ ისინი თავიანთ მოღვაწეობას. იმასთან დაკავშირებით რომელ ტერიტორიაზე სრულდება ტერორისტული აქტი, გამოყოფენ შიდასახელმწიფო და საერთაშორისო ტერორიზმს. თუ ტერორისტული მოღვაწეობის სუბიექტად გამოდის სახელმწიფო, საუბარია სახელმწიფო ტერორიზმზე. ფარდობითად ახალი მოვლენაა – სისხლიანი ტერორიზმი, რომელიც დღეს დემონსტრაციას უკეთებს პოლიტიზაციის ტენდენციას.

რევოლუციურ ტერორიზმს იყენებენ განვითარებული საზოგადოების რევოლუციური გადაკეთების მიზნით. ეს

ტიპი წარსულში იყო გავრცელებული. ტერორისტული მეთოდები ამ შემთხვევაში მიიღება იმის გამო, რათა დეზორგანიზაცია გაუკეთდეს ძველ საზოგადოებრივ სისტემას, მმართველი ელიტის შეშინება და უზრუნველყოს მისი ჩამოგდება. რევოლუციური ტერორიზმი წარმოიქმნა ფრანგული რევოლუციისგან, მაშინ გამოყენებული ტერორი როგორც რევოლუციონერების, ისე კონტრრევოლუციონერების მიერ გახდა მასიური და მოახდინა დიდი ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესზე საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში რევოლუციის შემდეგ პერიოდში.

მთავარ სუბიექტად რევოლუციური ტერორიზმისა დასავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ ამერიკაში XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში იყვნენ ანარქისტები, მ. ბაკუნინის იდეების მომხრეები. ყველაზე შესამჩნევი ამ პერიოდის რევოლუციური მოვლენა იყო რევოლუციური ტერორიზმი რუსეთში, რომელმაც მოახდინა გავლენა ტერორიზმის მიმდევრებზე მრავალ სხვა ქვეყანაში, აგრეთვე იყო 'გამამდიდრებელი" ხერხების და მეთოდების განხორციელებული ტერორისტული აქტებისა.

XX ს-ის მეორე ნახევარში რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების ნაწილი დაადგა ტერორისტული მოღვაწეობის გზას, რამაც მიიყვანა საზღვარგარეთ 1960-70 წწ-ში მემარცხენე ექსტრემისტული ჯგუფების და ორგანიზაციების შექმნამდე. ფართო საერთაშორისო რეზონანსი მიიღო ტერორისტულმა აქციებმა – ფრანგი 'გოშისტები", იტალიური 'წითელი ბრიგადები" და სხვა.

რევოლუციური ტერორიზმის ფართო გავრცელება მოხდა ლათინურ ამერიკაში კუბის რევოლუციის ზემოქმედების შედეგად. 1960 წ-ში იქ წარმოიქმნა მრავალი

ორგანიზაცია, რომლებიც მიისწრაფოდნენ ტერორიზმის ტაქტიკით შეეხამებინათ ქალაქურ პარტიზანულ ომებთან. შედარებით ყველაზე ცნობილი ტერორისტული ჯგუფები იყო ურუგვაის, 'ტუპო მაროსები", 'კოლუმბიის ნაციონალური განმათავისუფლებელი არმია", 'ტუპაკა ამარაას სახელობის რევოლუციური მოძრაობა".

საბჭოთა კავშირის დანგრევის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ რევოლუციურ-კომუნისტური იდეების პრესტიჟი დაეცა, და რევოლუციური ტერორიზმი აღარ იყო თვალსაჩინო მოვლენა თანამედროვე მსოფლიოში. იდეურად დაპირისპირებული მემარცხენე რევოლუციური ტერორიზმის იყო მემარჯვენე ტერორიზმი. ამ ტიპის ტერორიზმის წარმომადგენლები ასაბუთებენ თავიანთ აქციებს ნაციონალურ, მემარჯვენე რადიკალური იდეებით. მემარჯვენე ტერორიზმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რევოლუციამდელი რუსეთის შავრაზმელები, სხვადასხვა ფაშისტური ორგანიზაციები დასავლეთევროპულ ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მემარჯვენე ტერორიზმის იდეური საფუძველი გახდა ნეოფაშიზმი. ყველაზე გავრცელებული ტიპი ტერორიზმისა თანამედროვე მსოფლიოში – რელიგიური ტერორიზმია. მას საფუძვლად უდევს რელიგიური ფაქტორი, თუმცა ტერორისტების მიზანები ხშირად ატარებს კონკრეტულ-პოლიტიკურ ხასიათს. ტერორისტების მოტივაცია, რომლებიც ასრულებდნენ ძალადობის მოქმედებებს, ასევე ბაზირდება რელიგიურ საფუძველზე წამქეზებელ მოტივად ტერორისტული მოქმედებისა რელიგიური ფანატიზმი ემსახურება. მათი მაგალითია – შახიდები (თვითმკვლელები), მზადყოფნა თვითშეწირულო-

ბისთვის, რომელთაც ხშირად იყენებენ ისლამური ექსტრემისტული დაჯგუფებები. ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა 'ალ-ქაიდა", 'ხამასი" და სხვა, მოიპოვეს სამწუხარო სახელი მრავალრიცხოვანი ტერორისტული აქტების წყალობით, მათ შორის ყველაზე მასშტაბური ტერორიზმის ისტორიაში არის 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული აქტები.

თანამედროვე მიმდინარეობა რელიგიურ ტერორიზმს შორის შეიძლება აღვნიშნოთ სიკჰური ტერორიზმი. სიკჰი – არის ერთ-ერთი რელიგიური უმცირესობა ინდოეთში. (ამ ქვეყნის მორწმუნეთა საერთო რიცხვის 2%) XVI ს-ში თანამედროვე ინდოეთის ტერიტორიის პენჯაბის შტატში არსებობდა დამოუკიდებელი სიკჰის სახელმწიფო, მაგრამ ის იყო დაპყრობილი ინგლისელების მიერ და შეყვანილი ინგლისური ინდოეთის შემადგენლობაში. მას შემდეგ, რაც ინდოეთმა და პაკისტანმა მიიღეს დამოუკიდებლობა, სიკჰებს შორისაც გაძლიერდა სწრაფვა დამოუკიდებლობების აღსადგენად. წარმოიქმნა რამდენიმე სეპარატისტული მიმართულების სიკჰის ორგანიზაციები, რომელთა მიზანი გახდა შეექმნათ ინდოეთსა და პაკისტანს შორის, პენჯაბის დამოუკიდებელი სახელმწიფო ხალისტანი. ზოგიერთმა სიკჰის დაჯგუფებებმა აირჩიეს ტერორიზმი როგორც საშუალება დასახული მიზნის მისაღწევად. სიკჰი ტერორისტები ძალიან ხშირად კლავენ ინდოელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებს, რომლებიც არიან წარმომადგენლები ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოსი და აგრეთვე პენჯაბის შტაბის ორგანოს ხელმძღვანელების. ყველაზე სერიოზული ტერორისტული აქტი ჩადენილი

სიკჰების მიერ არის მკვლელობა ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა – ინდირა განდი, ინდოეთის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ჯავახარლალ ნერუს ქალიშვილის მკვლელობა. სიკჰის ტერორიზმი არის მკვეთრად გამოხატული სეპარატისტული მიმართულება, რომელიც აახლოებს მას ეთნიკურ ტერორიზმთან. მსოფლიოში ეს ორი სახის ტერორიზმი ხშირად იკვეთებიან. ასევე დგას საქმე ჩრდ. ირლანდიაში, სადაც ტერორიზმი შთაგონდება ირლანდიის ნაციონალური იდეებითაა შთაგონებული, მაგრამ აქვს მკვეთრად გამოხატული რელიგიური საფუძველი. მთავარი თავისებურება მოცემული რეგიონისა ის არის, რომ მოსახლეობა კათოლიზმის ან პროტესტანტიზმის ერთგულია. შეიძლება შეინიშნოს ურთიერთშეღწევა რელიგიური და ეთნიკური ტერორიზმისა და თანამედროვე მსოფლიოს სხვა კონფლიქტურ ზონაში.

ეთნიკური ტერორიზმის ქვეშ იგულისხმება არაადეკვატური ფორმა ნამდვილი ან მოჩვენებით შელახვა უფლებებისა და ინტერესების ცალკეული ერებისა და ეთნიკური ჯგუფების. იდეურ-პოლიტიკურ საფუძვლად ეთნიკური ტერორიზმისა ხდება ეთნონაციონალიზმი. ეთნიკური ტერორიზმის მიზანი – სახელმწიფოს მშენებლობის შეცვლა, ქვეყნების მოწყობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თვალსაზრისით. ხშირად ეთნიკურ ტერორიზმს აქვს სეპარატისტული გამოხატულება მისწრაფება ახალი სახელმწიფოს შექმნისა უკვე არსებული ძველის დანაწევრებით. თანამედროვე მსოფლიოში ეთნიკური ტერორიზმი, თანაბრად რელიგიური ტერორიზმის – უფრო მეტად გაფართოებული ტიპია ტერორიზმის. ეთნიკური ტერორიზმის ფენომენთან

დაკავშირებულია როგორც ფართოდ ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციები, ასევე ნაკლებად ცნობილი ორგანიზაციები.

საერთაშორისო ტერორიზმის ცნებას არ აქვს ერთიანი საყოველთაო ტრაქტატი. ხშირად მას აიგივებენ სახელმწიფო ტერორიზმთან, ზოგჯერ ნებისმიერ ტერორისტულ მოღვაწეობასთან. საერთაშორისო ტერორიზმი იყენებს ბრძოლის იმავე მეთოდებსა და საშუალებებს და თავს ავლენს იმავე სახით, როგორც სხვა ნებისმიერი ნაირსახეობა ტერორიზმის, მაგრამ არ აქვს თავისი სპეციფიკური თავისებურებები.

პირველი, საერთაშორისო ტერორიზმს მიაკუთვნებენ ისეთ ტერორისტულ აქტებს, რომელიც ეხება ორი და უფრო მეტი სახელმწიფოს ინტერესებს. მეორე, საერთაშორისო ტერორისტულ მოღვაწეობად ითვლება ტერორისტული მოღვაწეობა, განხორციელებული რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ხოლო მესამე, საერთაშორისო ტერორიზმს მიეკუთვნება კოორდინირებული მოღვაწეობა ტერორისტული მოქმედების სხვადასხვა ქვეყნებში, ფინანსური დახმარება და მორალური მხარდაჭერა, ერთი ქვეყნის ტერორისტების მიერ მეორე ქვეყნის ტერორისტებისათვის გამოხატული. მეოთხე, საერთაშორისო ტერორიზმს მიეკუთვნება საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შექმნა და მოღვაწეობა. ასეთი ორგანიზაციები, განსხვავებით ნაციონალური ტერორისტული დაჯგუფებებისგან წარმოადგენენ განშტოებულ სტრუქტურას, რომელიც არ არის დაკავშირებული სხვა რომელიმე ქვეყანასთან.

საერთაშორისო ტერორიზმს განასხვავებენ სახელმწიფო ტერორიზმისაგან, რომელსაც აქვს ორი ასპექტი: საშინაო პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური. საშინაო პოლიტიკური სახელმწიფო ტერორიზმი წარმოადგენს მოქმედებას სახელმწიფო ორგანოების მართლწესრიგის (პოლიცია, კონტრდაზვერვა) საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ოპოზიციის დათრგუნვისა და შეშინების მიზნით, მაგალითად არაკანონიერი დაპატიმრებები, დევნა, საიდუმლოდ მოტაცება და ხალხის მოკვლა. სახელმწიფო ტერორიზმი, როგორც საგარეო პოლიტიკური მოვლენა განიმარტება სხვადასხვანაირად. სახელმწიფო ასამბლეის გაეროს 39-ე სესიაზე მიღებული რეზოლუციით ‛არ უნდა იქნეს დაშვებული სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა, მიმართული სხვა სუვერენული სახელმწიფოების საზოგადო-პოლიტიკური მშენებლობის შერყევისკენ". ის განიმარტება როგორც მოქმედება, მიმართული ძალადობრივი ცვლილებით და შერყევით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მშენებლობისა სხვა ქვეყნებში. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა გამოიხატება სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოყენებული ტერორისტული ხერხები და წესები ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ან შიდაპოლიტიკური კურსის, პოტენციალის შესუსტება. ამ მიზნების მისაღწევად გამოიყენება უცხო ქვეყნების სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერების ფიზიკური ლიკვიდაცია, დემორალიზება და დაშინება იმ ჯგუფის მოსახლეობისა, რომელთაც მხარს უჭერს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ხელისუფლება, ასევე დეზორგანიზაცია შეიარაღებული ძალების და ამ სახელმწიფოების მმართველი პარტიების.

დღეს სახელმწიფო ტერორიზმს მიეკუთვნება აგრეთვე სახელმწიფო სპონსორების საერთაშორისო ტერორიზმის მოქმედება, რომელიც ალმოუჩენს პირდაპირ ან ირიბად მხარდაჭერას ტერორისტულ ორგანიზაციებს. ასეთი მხარდაჭერა წარმოადგენს ტერიტორიებს, რათა შეიქმნას ბაზები და ტერორისტების სავარჯიშო ბანაკები, თავშესაფარი სხვა ქვეყნების კანონმდამცველი ორგანოების დევნისაგან, ფინანსური და სახელმწიფო დახმარების გაწევა.

საჰაერო ტერორიზმის წარმოქმნა განაპირობა საჰაერო ავიაციის განვითარებამ. საჰაერო ტერორიზმი თავისთავად გულისხმობს დაპყრობას საჰაერო ხომალდებისა და მათ გატაცებას; დაპყრობა მძევლებისა, რომლებიც იმყოფებიან საჰაერო ხომალდებზე. გამოყენება საჰაერო ხომალდებისა დასაპყრობად და მძევლების გადასაყვანად, სხვა ადგილებში მათ მიერ დაპყრობილების და სხვა. საჰაერო ტერორიზმის მიზანია, როგორც წესი, ხელისუფლება აიძულოს შეასრულოს ტერორისტების მოთხოვნები და სხვა. ბოლო ათწლეულში საჰაერო ტერორიზმი იყო ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახე ტერორიზმის. მას იყენებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური მიმდინარეობის მომხრეები როგორც მემარცხენეები, ისე მემარჯვენეები, მაგალითად პალესტინის "შავი სექტემბერი" და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები.

რამდენადაც ძალის გამოყენებით ოპერაციები საჰაერო ხომალდების და მათი მძევლების განთავისუფლებაზე დაკავშირებულია დიდ რისკთან, ამიტომ უფრო მიზანშეწონილია ნაკლებ საშიში ბრძოლა საჰაერო ტერორიზმთან, მაგრამ ამისთვის საჭიროა კეთილსინდისიერი თანამშრომ-

ლობა სახელმწიფოთა შორის. დიდი ხნის განმავლობაში ასეთი თანამშრომლობა არ იყო. ტერორისტები გადიოდნენ თავშესაფრის მიღებით ქვეყნებიდან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზებით ღებულობდნენ მათგან თანაგრძნობას. თანდათანობით მოვიდა გაგება იმისა, რომ არდასჯა საჰაერო ტერორისტების ეწინააღმდეგება ყველა სახელმწიფოს ინტერესებს, განურჩევლად მათი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წყობილებისა. ეს დაეხმარა მიეღოთ უფრო მოქმედი ზომები საჰაერო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ დონეზე.

საზღვაო ტერორიზმის სათავე იყო მეკობრეობა, მათი თავდასხმა საზღვაო ხომალდებზე მათი დაპყრობისა და გაძარცვის მიზნით. თანამედროვე პირობებში საზღვაო ტერორიზმის ქვეშ იგულისხმება დაპყრობა საზღვაო ხომალდების ძალდატანებით მათი კურსის შეცვლის მიზნით, დაპყრობა მძევლების მგზავრთა რიცხვიდან და ეკიპაჟის წევრებიდან, გატაცება საზღვაო ხომალდების. მიზანი მსგავსი აქტებისა, ისევე როგორც სხვა სახის ტერორიზმის, არის გამოხატულება დემონსტრაციული პროტესტისა ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული. ყველაზე მეტად ცნობილი აქტი საზღვაო ტერორიზმისა არის პალესტინელი ტერორისტების მიერ იტალიური საკრუიზო ლაინერ ‘აკელე ლაუროს“ დაპყრობა 750 მგზავრით 1985 წელს.

ბოლო დროს გაჩნდნენ ახალი ობიექტები ტერორისტული მოქმედებისთვის ზღვაზე, მაგალითად სტაციონური პლატფორმები ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად. ეს

უქმნის პოტენციალურ საფრთხეს ეკოლოგიურ კატასტროფას.

განსაკუთრებული ფენომენად შეიძლება ჩაითვალოს სისხლიანი ტერორიზმი ანუ დაშინება და ძალადობა, მიღებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ არაკანონიერ ბიზნესში კონკურენტების ჩამოშორების და ჩახშობის მიზნით. დამაგრება ან გადანაწილება დამნაშავეთა ეკონომიკური გავლენის სფეროში, ასევე ლობირება თავისი ინტერესების სახელმწიფო დაწესებულებაში. ეს შეიძლება იყოს მკვლელობა მეწარმეების, ჩინოვნიკების ან პოლიტიკური მოღვაწეების, სამართალდამცავი ორგანოებს, დაწესებულების, შეიარაღებული შეტაკება კონკურენტული სისხლის დამნაშავეთა დაჯგუფებებს შორის გამოძალვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სისხლის დანაშაულებებია, თუმცა ბოლო წლებში ხდება პოლიტიზირება სისხლიანი ტერორიზმის.

## 6.2. ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები და სიძნელეები

XX-XXI სს-ის მიჯნაზე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემები გახდა მნიშვნელოვანი როგორც ცალკეული სახელმწიფო, ასევე მთელი მსოფლიოს საზოგადოების წინაშე. ეს აიხსნება ბოლო დროის ტერორისტული აქტების მასშტაბებით და ხასიათით. თუკი XIX და XX ს-ის მიჯნაზე ტერორისტები მოქმედებენ ინდივიდუალური ტერორის მეთოდებით, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების მოკვლით, ხშირად კი თანამედროვე ტერორისტული

აქტების ობიექტები ხდებოდნენ დაუცველი მშვიდობიანი მოსახლეობა, წარსულში ტერორისტები არცთუ იშვიათად მიისწრაფოდნენ მოენახათ ეთიკური გამართლება თავის მოქმედების და მიმართავდნენ მას, უპირველეს ყოვლისა, მათ წინააღმდეგ, ვისზეც მათი თვალთახედვიდან იყო პასუხისმგებლობა საგნების არსებული მდგომარეობისა. ფართოდ არის ცნობილი ისტორიული ფაქტი, რომ ესერ-ტერორისტი თვან კალიაევი ერთ-ერთი მცდელობის დროს თავდასხმისა დიდი თავადის სერგეი ალექსანდრეს ძეზე, დაინახა რა მის კარეტაში ქალი და ორი ბავშვი, უარყო თავისი განზრახვა და ბომბი არ ესროლა კარეტას. ესერების პარტიის საბრძოლო ორგანიზაციის წევრები გაგებით მოეკიდნენ მის მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ მოხერხებული შესაძლებლობა ტერორისტული აქტის განხორციელებისთვის, რომლისთვისაც ისინი დიდი ხანია ემზადებოდნენ, ხელიდან გაშვებული იყო.

თანამედროვე ტერორისტები უფრო ხშირად აჩვენებენ ცინიზმს და მზადყოფნას აბუჩად აიგდონ ხალხის უსაფრთხოება და სიცოცხლე. საკმარისია გავიხსენოთ ათასი უდანაშაულო მსხვერპლი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის ნიუ-იორკში და სკოლის მოსწავლეთა ბედი, 2004 წლის 1 სექტემბერს.

იცვლება ტერორისტული აქტის განხორციელების საშუალებებიც. თავიდან ტერორისტები იყენებდნენ ცივ და ცეცხლსასროლ იარაღებს, შემდეგ გამოჩნდა ასაფეთქებელი საშუალებები. დღეს ტენდენციური განვითარება ტერორისტული მოღვაწეობის მოწმობს მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზების ცვლილებას. ტერორისტები იყ-

ენებენ გაზს, საბრძოლო მომწამვლელ საშუალებას, იპყრობენ თვითმფრინავებს მგზავრებთან ერთად, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ფიქრობდნენ, ეს მხოლოდ პირველი ნიშნებია ტერორისტების მოღვაწეობის ტექნოლოგიურ რევოლუციაში. შესაძლებელია შექმნა მცირე სიმძლავრის პორტატული ბირთვული მოწყობილობის, გამოსადეგი ტერორისტული მიზნის განსახორციელებლად. არის კიდევ სხვა, თეორიულად შესაძლებელი და პრაქტიკულად განხორციელებული გზები ტერორისტებისთვის ბირთვული იარაღების მისაწვდომად. დღეს ტერორისტების მოქმედებამ შეიძლება მიგვიყვანოს უდიდეს ნგრევამდე, გამოიწვია ხალხთა მასობრივი მსხვერპლი, ეკოლოგიური კატასტროფა და სხვა. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ტერორის ობიექტად იქნება ქიმიური ქარხნები, ატომური ელექტროსადგურები და სხვა რთული და საშიში ტექნიკური ობიექტები. 'კომპიუტერული ტერორიზმის" ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციული კომუნიკაციები.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ბერძენიშვილი ა. - პოლიტიკური სოციოლოგია. 'მერიდიანი", თბ., 2000.
2. Глухова А.В. - Политические конфликты: основания, типология, динамика (теоретика-методологический анализ). М. 2000.
3. Dahrendorf R. - Class and Clase Conflict in Industrial Society. Stanford University Press. Stanford California. 1963.
4. Deutsch M. - The Resolution of Conflict. New Haven. London. 1977.
5. Коваленко Б.В., Пирогов А.И., Рыжов О.А. - Политическая конфликтология. М. 2002.
6. Ланцов С.А. - Террор и террористы. СПб. 2004.
7. Лебедева М.М. - Мировая политика. М. 2006.
8. Лебедева М.М. - Политическое урегулирование конфликтов. М. 1999.
9. Малишева Д.Б. - Религиозный фактор в вооруженных конфликтах современности. М. 2004.
10. Международные отношения: теории, конфликты, организации. Учебное пособие / Под. ред. П.А. Цыганкова. М. 2006.
11. Фишер Р., Юри У. - Путь к согласию. Минск. "Парадокс" 1995.

## შინაარსი

თავი 1. პოლიტიკური კონფლიქტები ........ 3
1.1. პოლიტიკური კონფლიქტების ტიპოლოგია და წარმომქმნელი მიზეზები ........ 4
1.2. ვერტიკალური პოლიტიკური კონფლიქტები ........ 5
1.3. პოლიტიკური კონფლიქტების სახეები ........ 8
1.4. დაშვება და დარეგულირება პოლიტიკური კონფლიქტების ........ 9
თავი 2. კონფლიქტოლოგიის გლობალურ-პოლიტიკური ასპექტები ........ 13
თავი 3. სოციალური კონფლიქტები და პოლიტიკური რევოლუციები ........ 32
3.1. რევოლუციის თეორიული კონცეფცია ........ 32
3.2. რუსეთის პოლიტიკური ისტორიის რევოლუციები ... 46
3.3. პოლიტიკური რევოლუცია და თანამედროვეობა ........ 55
თავი 4. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები ........ 66
4.1. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის არსი ........ 66
4.2. ეთნოპოლიტიკური მობილიზაცია, როგორც ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ჩასახვისა და განვითარების ფაქტორი ........ 72
4.3. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების თავისებურებანი ........ 82
თავი 5. რელიგიური ფაქტორი პოლიტიკურ კონფლიქტებში ........ 84
5.1. რელიგია და პოლიტიკა ........ 87
5.2. რელიგიური კონფლიქტები თანამედროვე მსოფლიოში ........ 91
5.3. სახელმწიფო აღმშენებლობის თავისებურებანი ........ 95
თავი 6. ტერორიზმი და პოლიტიკური კონფლიქტები ... 101
6.1. ტერორიზმის არსი და ტიპოლოგია ........ 101
6.2. ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემები და სიძნელეები ........ 112
გამოყენებული ლიტერატურა ........ 115